

საქართველოს პარლამენტის  
1992 წლის I9 ნომბრის სხდომის

სტენოგრაფიული ანგარიში

3861

84 ფ

• 3 0 0 0 0 •

საქართველოს  
პოსტალური სისტემა

საფოსტო	მისამართი	
საფოსტო	მისამართი	
საფოსტო	მისამართი	3861

საქართველო

საქართველო

საფოსტო	მისამართი
საფოსტო	მისამართი

საფოსტო	მისამართი	3861
საფოსტო	მისამართი	
საფოსტო	მისამართი	

საქართველოს პარლამენტის  
1992 წლის 19 ნოემბრის სხდომის

სტენოგრაფიული ანგარიში

---

---



სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის სპიკერი  
ვ. გოგუაძე.

თავმჯდომარე. დილა მშვიდობისა. მინდა კეთილი დღე გისურვოთ. გთხოვთ მოემზადოთ რეგისტრაციისათვის. შეგვიძლია დავიწყეთ მუშაობა. ტრადიციული ორწუთიანი მიმობილება დასაწყისისათვის. გუშინდელი დღე ძალიან შიშვე იყო. დიდი დატვირთვა გექონდა. რეგლამენტს კვლავ ვერ ვიცავთ, იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ ის სამუშაო დრო, რომელიც რეგლამენტით არის გათვალისწინებული გულისხმობს ნორმალურ პირობებს, ნორმალურ სოციალურ გარემოს და ცხოვრების წამყვალელებსაც. ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული დატვირთვა. დეპუტატებმა მიიღეთ ეს დატვირთვა და ამ სადღეღამისო შრომას, დიდ ტვირთს, ამ ვაჰანს ეწევით. მაღლობის მეტი არაფერი გვექმის. კიდევ ერთხელ მინდა გაგახსენოთ, რომ პრესა თვალყურს ადევნებს ჩვენი მუშაობის ყველა დეტალს, ჩვენ ურთიერთობას არის მწარე კრიტიკა ჩვენი რეგლამენტის მიმართ. დღესაც 10 წუთის დაგვიანებით დავიწყეთ მუშაობა. საზოგადოებრივ აზრს დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. მე მინდა გითხრათ, რომ როცა გუშინ წინიშენელოვანეს ლოკუმენტს ვიხილავდით, კამათში გამოსვლის გრძელი პროცესი დაიწყო. დღესაც ძალიან გრძელი სია გვაქვს კამათში მონაწილეების მსურველებისა. შეიძლება არ იყოს სასიამოვნო, მაგრამ უნდა გითხრათ, ძალიან ხშირია არაფრისმთქმელი გამოსვლები. თითოეული წუთი ძვირფასია საქართველოსათვის, ჩვენი ქვეყნისათვის. თუ მნიშვნელოვანი სათქმელი არა გვაქვს, დროს ტყუილად ნუ დავკარგავთ. ამიტომ იქნებ ჩამოვწეროთ თეზისებივით რაღაც მნიშვნელოვან კორექტივს შეიტანს პროექტის განხილვაში და უნდა იგრძნობოდეს, რომ ეს აზრი არ მოგვისმენია, სხვა გზით წავიდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში დეპუტატის იმიჯს ჩრდილი მიადგება. კაცი რომ გამოვა, უნდა გრძნობდეს ყველა, რომ მისი აზრი იქნება მნიშვნელოვანი. მე ყველას აზრს პატივსაც ვცემ, მაგრამ ძალიან რთული საკითხია გუშინდელი საკითხი. გუშინ ჩვენ პოლიში მოვიხადეთ და ახლაც ვიხდით, რომ იმდენი დრო არ გექონდა, რამდენიც საჭიროა წინასწარი მომზადებისათვის, რომ ეს კანონი საფუძვლიანად განგვეხილა. გუშინ მთელი დღე კამათის პროცესში ბევრი რამ ჩამოყალიბდა, ბევრი გაირკვა. გუშინ საღამოს გექონდა გარკვეული დრო, რომ უფრო საფუძვლიანი იყოს ჩვენი გამოსვლები. ამიტომ ყველას გთხოვთ, წამო აყენოთ დღეს აბსოლუტურად კონკრეტული წინადადებები. პოლიშს ვიხდი ცოტა ისეთი ტონი თუ გამომივიდა. შემოვდივარ წინადადებით, იქნებ რეგლამენტიც შევამციროთ. კამათში ჩაწერილების სია რომ წაგვიკითხოთ, დარწმუნდებით ჩვენ ვერც დღეს და

საქართველოს  
პარლამენტის  
მარტინული  
ბიზლინთეკა

ვერც ხვალ ვერ აუფალო. იქნებ შევთანხმდეთ, დღევანდელი გამოსვლები 3-წუთიანი იყოს. თანახმა ხართ? ვინ არის მომხრე? გთხოვთ დაუშვათ ხელი. წინააღმდეგი ვინ არის? 8 კაცი. თავი ვინ შეიკავა? 4-მა. მათ შევთანხმდით 3-წუთიან გამოსვლებზე. თუ ძალიან აუცილებელი გახდა, თქვენი დიდსულოვნება ალბათ მისცემს ნებას დეპუტატს, ერთი-ორი წუთი დაუმატოს. ე.ი. ამ საკითხზე შევთანხმდით. ახლა ნოდარ ნათაძეს აქვს განცხადება და ვთხოვთ.

ნ. ნათაძე. თქვენს მსჯელობა ბატონო ვახტანგ ძალიან აქტუალურია. მე მინდა დავუმატო მას შემდეგი. ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ ბევრად უფრო დიდი ეკონომია მოუახდინოთ დროისა, ვიდრე გამოსვლის ეკონომიაა. სახელდობრ, ჩვენ უნდა შემოვიღოთ წესად კანონპროექტი და დადგენილების პროექტი. დარიგდეს წინდაწინ, რომ გავეცნოთ.

ვინც მოინდომებს მასში ცვლილებების შეტანას, უნდა მიაკითხოს კომისიას. არსებითი განხილვა უნდა მოხდეს კომისიაში, ე.ი. არგუმენტები პრო და კონტრა უნდა იყოს აწონილ-დაწონილი კომისიაში. თუ ვერ მოხდა შეთანხმების მიღწევა კომისიაში, მაშინ, და მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, აქვს საფუძველი კრიტიკოსს გამოვიდეს პარლამენტის წინაშე. მაგრამ ეს გამოსვლა ნაკლებად უნდა შევზღუდოთ დროით. შემოვიღოთ ასეთი პროცედურა, მაშინ ჩვენთან რაღაცა გამოჩნდეს შემთხვევების გარდა საჯარო განხილვა მოხდება რაღაცა წინასწარ ცნობილი სახით. გმადლობთ.

თაგმჯღომარე. გმადლობთ. სავსებით ვეთანხმებით. ჩვენ უბრალოდ ამ წესს ვერ დავადექით ჯერჯერობით იმიტომ, რომ სასტარტო მდგომარეობაში ვართ. კომისიები ჩამოყალიბებული არ არის ჯერჯერობით. ხვალ, ზეგ კომისიები ჩამოყალიბდება, ამუშავდება და აუცილებლად ეს გზა უნდა გავიაროთ. მე-7 მიკროფონი.

ი. ორჯონიძე. ბატონო ვახტანგ, მე სათქმელი არ დამიტოვა ბატონმა ნოდარმა. მას აბსოლუტურად ვეთანხმები და დავძენდი. ეს საკითხი სტრუქტურისა, რომელიც მინისტრთა კაბინეტის მიერ არის შემოთავაზებული, იმდენად სერიოზულია, იმდენად კორექტივს მოითხოვს, აუცილებლად უნდა მიეცეს საშუალება ყველას თავისი საკუთარი აზრის გამოთქმისა აქ. დეპუტატების აზრი ჩემთვის ცნობილია და საზოგადოების აზრიც ემთხვევა ჩვენი დეპუტატების აზრს, კრიტიკულად უდგებიან წამოყენებულ პროექტს. გმადლობთ.

თაგმჯღომარე. გმადლობთ. ე.ი. პროცედურასთან დაკავშირებით 1-წუთიანი განცხადება, გთხოვთ მე-4 და მე-2 მიკროფონები.



**ბ. ლომსაძე.** ბატონო ვახტანგ, მე ემოციურად გაგყვივით და მივიცილებ ხმა რეგლამენტის შეცვლას. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ზოგჯერ ჩვენ ვის მენთ დეპუტატებს. ეს თქვენი ფუნქციაა. 5-წუთიანი რეგლამენტი, რომელიც მიღებული იქნა, ის უნდა შენარჩუნებულ იქნეს და დაჟინებით გთხოვთ დეპუტატების კითხვა არ იყოს დეპუტატების გამოსვლის დროს. კონსტრუქციულობას, რასაც თქვენ ამბობთ, მე მივესალმები. წინადადება ყოველთვის მოითხოვს 1-2 წუთს, განმარტება კიდევ 1-2 წუთს. საკმარისია.

**თავმჯდომარე.** ბატონო ზორის ამიტომ ვთქვით, რომ 5 წუთში დეპუტატების წაკითხვის მეტი საშუალება არის და ამიტომ გავიჭირვით და ისე შევამჯიღროთ ჩვენი დრო, რომ 3 წუთში ჩავეტოთ. 3 წუთში გენიალური აზრი შეიძლება ჩამოაყალიბოს კაცმა. შევთანხმდით, კენჭი ვუყარეთ უკვე და დღეს ასე ვიმუშაოთ. მე-2 მიკროფონი.

**ლ. მამალაძე.** ბატონო სპიკერო, ბატონო დეპუტატებო, გარკვეული უკმაყოფილება გამოიჩინა რეგლამენტთან დაკავშირებით. დეპუტატებს შორის იქმნება დაძაბულობა იმის მხრივ, რომ დეპუტატები ეწერებიან გამოცხადება სიაში. ხოლო ის სია გარკვეულწილად ირღვევა, თუ არ ირღვევა, ეგ საკითხავია კიდევ. მე მინდა ბატონ სპიკერს მივმართო, რომ ეს დაძაბულობა მოიხსნას. რეგლამენტის მიხედვით თქვენ უნდა გამოგვცხადებინათ გუშინ დარჩენილ სიაში ჩაწერილ დეპუტატთა სია. არ გამოგვცხადებოდა. ეგ ერთი მხმენტი. მეორე, კარგი იქნებოდა, რომ ის გამოცხადებულა სია წაკითხვით. იცოდნენ დეპუტატებმა როდის უნდა გამოვიდნენ, თორემ ასე შეუძლებელი იქნება გავარკვიოთ ჩვენი პოზიცია - როდის უნდა გამოვიდეთ და ჩვენი აზრი გამოვხატოთ. დავიცვათ რეგლამენტი თუ შეიძლება. გამაღობთ.

**თავმჯდომარე.** გასაგებია. მე ვიღებ შენიშვნას, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ იმის მიხედვით ვინ როდის შემოიტანა განცხადება, მართლად დავარდვიე და ცნობილია, რომ სპიკერს ამის უფლება აქვს. მე მინდოდა, რომ პარტიებიდან ეკონომისტები, მთავრობის წარმომადგენლები, აქ იყო ბატონი რომან გოცირიძე, ბატონო ვალერიან ადვაძე, მინდოდა წინასწარ გამომეყვანა ისინი. მაინც პრიორიტეტული მდგომარეობა ჰქონდა ამ სფეროში მომუშავე ხალხს. ამიტომ არავის არ დავტოვებთ ჩვენ უყურადღებოდ, სიახ გაგაცნობთ, ბევრი არის ჩაწერილი, მათ შორის თქვენც ზრძანდებით და მამატით, იმის მიხედვით - ვინ როდის შემოიტანა, არ ყოფილა. დღესაც შეიძლება ვერ გავაგრძელოთ ამ პრინციპით. ახლა მე სიას წაგიკითხავთ თქვენ აღფაფიტის მიხედვით. უფრო ზნეობრივი იქნება. მოდი, ვინ როდის გამოვა ვის შემდეგ, ეს უფლება დამიტოვებთ მე. უფრო შეიძლება გავაწონასწოროთ პარტიები, ბლოკები. მე

საქართველოს  
პარლამენტის  
მედიის  
მედიის



მგონი ბლოკი „მშვიდობის“ გარდა არსდნ არ დამიჩაგრავს. უნდა ვამო-  
ვიდა ბლოკიდან „მშვიდობა“. მინდა, რომ რადიკალური პოზიციებია, გან-  
საკუთრებული, ის დავიცვათ.

### წამოძახილი დარბაზიდან/.

არა, მოგახსენებთ, რახან ჩვენ ავიღეთ ეს კურსი, რომ ყველას მოვუს-  
მინოთ, ადრე ვამოვად დებუტატი თუ გვიან, ამას დიდ მნიშვნელობას  
გთხოვთ ნუ მიანიჭებთ.

სიტყვა ეძლევა... რა გნებავთ ბატონო ირსკლი? განცხადება პრო-  
ცედურასთან დაკავშირებით? მექნ მიკროფონი.

დ. წიერეთელი. ბრასწორად მუშაობს პარლამენტი. პარლამენტმა კეთი-  
ლ: უნდა ინებოს და პრემიერ-მინისტრს კი არ უნდა დააკისროს სტრუქტურ-  
რის წარმოდგენა მინისტრთა კაბინეტის შესახებ, თვითონ უნდა მიიღოს  
კანონი მინისტრთა კაბინეტის შესახებ და პრემიერ-მინისტრმა და მი-  
ნისტრთა კაბინეტმა უნდა იმუშაოს. სტრუქტურა უნდა შექმნას არა მი-  
ნისტრთა კაბინეტმა, არამედ პარლამენტმა კანონმდებლობის საფუძველზე  
და თვითონ რეფორმის ინიციატივა უნდა მოდიოდეს პარლამენტიდან. ეს  
არ არის მუშაობის სწორი პრინციპი. არსებობს იურიდიული კომისია. კა-  
ნონების დაწერას მე-29 საუკუნეში დიდი დრო არ სჭირდება. შეიძლება  
ნებისმიერი კანონი გადავწეროთ, გადმოვწეროთ, ამის პრაქტიკა არსე-  
ბობს. უნდა მივიღოთ პარლამენტმა კანონი მინისტრთა კაბინეტის ან-  
მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ. ამ კანონში უნდა  
იყოს ჩადებული ტრანსფორმაციის თუ რეფორმაციის სრული... რასაც და-  
ჟინებით მოითხოვს პარლამენტის გარკვეული ნაწილი და მინისტრთა კაბი-  
ნეტი უნდა იყოს უზუსტესი აღმასრულებელი იმ კანონებისა და იმ სტრუქ-  
ტურებისა, რასაც მიიღებს პარლამენტი. მინისტრთა კაბინეტს არ უნდა  
ჰქონდეს იმის ინიციატივა, თვითონ წარმოადგინოს სტრუქტურა პარლამენტ-  
ში. მე ვიმაჩნია, რომ ეს მუშაობა უნდა შეწყდეს. იურიდიულ კომისიას  
უნდა დაევალოს კანონის მიღება მინისტრთა კაბინეტის შესახებ. ამ  
პროექტში უნდა იყოს მოცემული არსი მინისტრთა კაბინეტისა, მისი  
სტრუქტურებისა და რასაც ხმათა გადამწყვეტი უმრავლესობით მიიღებს  
პარლამენტი, ის უფლებები ავტომატურად უნდა განხორციელდეს აღმასრუ-  
ლებელ ხელისუფლებაში. აი ეს არის სწორი პარლამენტთა საკანონმდებლო-  
ორგანო და არა მინისტრთა კაბინეტი.

თავმჯდომარე. გმადლობთ. გასაგებია. ბატონებო, როგორც ვიცით,  
შეთანხმებისამებრ, სახელმწიფოს მეთაურის - პარლამენტის თავმჯდომა-  
რის ინიციატივით, ბატონი ედუარდის ინიციატივით პრემიერ-მინისტრთან

ერთად შეთანხმდა გარკვეული კანონპროექტი და ასე, რომ პარლამენტს კუთვნიან ინიციატივა, რომ წარმოედგინათ თქვენს წინაშე წინადადება. ეხლა სრულებით უფლებამოსილნი ბრძანდებით ნებისმიერ დონეზე შევიტანთ კონსტრუქციული წინადადებები და გნებავთ დაიწყოთ და თქვენი ვარიანტი წარმოადგინოთ. ასე, რომ საწყისი მდგომარეობა ბატონო ირაკლი მაინც არის, ჩვენი ინიციატივა მაინც არის და ეხლა სიტყვა თქვენზეა ბატონო ნოდარ მე-5 მიკროფონი.

ნ. ნათაძე. პარლამენტს, ინიციატივის თვალსაზრისით, თვითონ პარლამენტი და არა მარტო მისი თავმჯდომარე... ამიტომ პარლამენტის ინიციატივა ვერ დაფორმირდება როგორც პარლამენტის ინიციატივა. ჩვენ ვართ მოწმენი იმისა, რომ ეს პროექტი ძალიან დასახვეწია. ამიტომ ტექნიკურად მომგებიანი და დროისათვისაც უფრო მომგებიანი იქნება არა ის, რომ ჩვენ აქ რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი განვიხილოთ, არამედ დავაკისროთ იურიდიულ კომისიას რაღაც ახალი ვარიანტი შეიმუშაოს, დაბვეწოს თუ გინდა სამივე ვარიანტი, შეისწავლოს ეს ყველა ალტერნატიული ვარიანტები და მანამდე, სანამ ეს გაკეთდება, ამას უნდა დღე მეტი არა, იფუნქციოს კაბინეტმა ისე, როგორც არის. ალბათ ასე უკეთესი იქნება. მე ვეთანხმები იმ წინადადებას, რომელიც ბატონმა ირაკლიმ წამოაყენა.

თავმჯდომარე. ბატონო ნოდარ იურიდიული კომისიაც არ იკმარებდა ამისთვის, ჩვენ რომ არ გვეჩქარებოდეს და დროში არ ვიწვევოდეთ, ყოველი წუთი, ყოველი დღე ძვირფასი არ იყოს. იურიდიულ კომისიასთან ერთად ეკონომიკური კომისია და სხვა კომისიები, თითქმის უმეტესი კომისიები...

ნ. ნათაძე. ყველამ მიიღოს მონაწილეობა, ყველა კომისიამ და ყველა პროფესიონალმა, ვისაც რაღაცა აინტერესებს თავისი მიმართულებით.

თავმჯდომარე. გმადლობთ. ბატონო ელუარდი თხოულობს სიტყვას.

ე. შევარდნაძე. მე მაქვს უფლება ხანდახან ჩავერთო ხოლმე, იმ კანონის მიხედვით, რომელიც ჩვენ მივიღეთ. მე უნდა მოგახსენოთ, რომ რამდენი საათითაც და დღითაც გავაჭიანურებთ ჩვენ ამ საკითხების გადაწყვეტას, იმდენად გავართულებთ მდგომარეობას ქვეყანაში. პარლამენტს უნდა წარმოუდგინოთ დეტალური ინფორმაციები და დეტალური მოხსენებები არა მარტო აფხაზეთში არსებულ სიტუაციაზე, საომარ მოქმედებებზე, საომარ ოპერაციებზე, არამედ რა მდგომარეობაშია ქვეყნის ეკონომიკა, როდის გვითავდება ხორბალი, როდის დავრჩებით საერთოდ უსაწვავოდ, როდის დავრჩებით ხელფასისა და ფულის ნიშნების გარეშე. საკითხი ღვას ყოფნა-





არყოფნისა და, რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია კლასიკური გზით ვიაროთ, იმ გზით, რომელსაც თქვენ გვთავაზობთ. ყველა კომისიაში მასალები დამუშავდეს ისე, როგორც საჭიროა, მერე, ვთქვათ, ერთი კვირის შემდეგ ან 10 დღის შემდეგ შევიკრიბოთ, მერე მივიღოთ მთავრობის შესახებ კანონი, მერე დავიწყოთ დაკომპლექტება მთავრობისა. იტალიაში 3, 4, 5 თვე გრძელდება მთავრობის კრიზისი. და ქვეყანა არ ინგრევა, არ იქცევა, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში. ამში-ში რომ იწყება საარჩევნო კომპანია, პრაქტიკულად დეზორგანიზებულია მთელი თეთრი სახლი და აღმასრულებელი ორგანოები, მაგრამ ავტომატურ რეჟიმში მუშაობს სახელმწიფო, რადგან იქ არის სახელმწიფო. მე ვაზივთ გაითვალისწინოთ ის, რომ ჩვენ ვიმყოფებით კატასტროფულ მდგომარეობაში. საჭიროა დროზე ყველა დაადგეს თავის საქმეს. მე უნდა გითხრათ, რომ ჩვენი პრინციპული მოთხოვნაა - კაბინეტი განახლდეს და როცა არ განახლდა, ეს მტკიცებულად იქნა მიღებული საზოგადოების მიერ. როცა ასეთი ტენდენციები დაისახა, ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც დღეს მუშაობს, ის მთელი თავისი დატვირთვით არ მუშაობს. მე გითხარით თქვენ, რომ ქალაქი სოხუმი უკვე 2 კვირაა წყლის გარეშეა, განათების გარეშეა, პური არ ცხევა. მე ჩავედი, მინისტრები ჩავიდნენ, მაინც არ მოგვარდა საქმე. არ მოგვარდა იმიტომ, რომ არ ამოძრავდა ის მექანიზმი, რომელსაც სახელმწიფო მექანიზმი ჰქვია. რაც უფრო გავაჭიანურებთ, მით უფრო შიშიმე იქნება, მით უფრო რთული იქნება. მე კიდევ ვთხოვთ, რომ გაითვალისწინოთ რასაც ჩვენ აქ ვლაპარაკობთ. ამას ჩვენი საზოგადოება უსმენს და კარგია, რომ უსმენს. თუ არ ვიმოქმედებთ ჩქარა, თუ ყველა შეეცდება, იცის თუ არა ეს საკითხი, თავისი აზრი გამოთქვას, ჩვენ ერთი კვირა გავაგრძელებთ ამ დისკუსიას და საქმეს ვერ გავაყვებთ. ამიტომ, მე ვთხოვთ, რაც შემოგთავაზათ ბატონმა სპიკერმა, ისე გავაყვოთ, - 3 წუთის განმავლობაში ყველა შეუძლია თავისი აზრი გამოთქვას. თუ საერთოდ არ ვარგა ეს წარმოდგენილი პროექტი, უარცყოთ და დავაჭალოთ კომისიას სამი დღის განმავლობაში შეადგინოს ახალი. მე გეუბნებით თქვენ, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება, გაგრძელება იმ ვაკუუმისა. ახლა ვაკუუმი ნავდღელი. საომარ მდგომარეობაში ეს დანაშაულია ქვეყნის და ხალხის წინაშე. თუ ეს მთლად მიუღებელია, მაშინ უყარე კენჭი, რომ ეს მიუღებელია. გამოყავით კომისია ვისაც თქვენ ენდობით და იმ კომისიამ წარმოადგინოს თავისი მოსაზრება. გამოვაცხადოთ, რომ მთავრობა არ არის, არ იმუშავებს.

ნ. ნათაძე. აბსოლუტურად გეთანხმებით ბატონო ედუარდ, კონსტატაციებშიც და პრინციპშიც. ერთი ტექნიკური შეკითხვა მაქვს. ხომ არ შეიძლება პირადი შემადგენლობის განახლება მინისტრთა კაბინეტისა დავიწყოთ

ახლავე? არსებულ სტრუქტურაში როგორც არის, ერთი მოვხსნათ, მეორე დაუ-  
ნიშნოთ. ძალიან სასწრაფოა, ახლავე გავაცეთოთ.

ე. შეფარდნაძე. ბატონო ნოდარ, მე ვიფიქრე ამის შესახებაც, მაგ-  
რამ დღეს დავამტკიცეთ მინისტრი და ხვალ ეს სამინისტროს შეიძლება არ  
იქნეს. ამიტომ, რთულია ამ მუშაობის დაწყება. მე სიმართლე გითხრათ  
ასეც მაქვს წარმოდგენილი, რომ როგორც კი მივიღებთ ამ კანონს, ხვალ,  
შეიძლება დღესაც 5-6 სპეციალურ სამინისტროზე მე წარმოვადგინე ბატონ  
სიგუასთან ერთად ჩემი მოსაზრებები. დაიწყოს იმ პიროვნებამ. მუშაობა,  
ვინც იქ უნდა იყოს, ანდა ვინც უნდა დორჩეს, ეს მან უნდა იცოდეს და ის  
პასუხს აგებს ქვეყნისა და პარლამენტის წინაშე. ახლა ერთ რამეზე გეტყ-  
ვით კიდევ. ბატონმა თენგიზმა თავის გამოსვლაში თქვა, რომ გაითვალის-  
წინეთ ეს გაზრდილი პერიოდის მთავრობა არის და გაზრდილი პერი-  
ოდის სტრუქტურა არის. შეიძლება ჩვენ დღეს მივიღოთ ეს სტრუქტურა და  
2 თვის შემდეგ არსებითი ცვლილება შევიტანოთ. მე მაქვს გარკვეული  
მოსაზრებები, თუ მომცემთ უფლებას მერე გეტყვით რამოდენიმე სიტყვას  
ამის შესახებაც. მექნება მე დრო და გეტყვით რა დღეშია ცვრთ ჩვენ  
ციფრებით, ფაქტებით, პროცენტებით, გრამობით და კილოგრამობით. და ბევ-  
რი რამ, რაზეც ახლა ჩვენ დროს ვხარჯავთ, ჩვენი ხალხისათვის ცოტა გა-  
უგებარია. მაპატიეთ, ასე რომ ვლაპარაკობ. ახლა იდეალურ სტრუქტურაზე  
და აკადემიური პირობების შექმნაზე მთავრობის დაკომპლექტებისა, - ამა-  
ზე დაპარაკი არ შეიძლება. ისე, როგორც არ იყო ჩვეულებრივი და ორდი-  
ნალური ის ამბავი, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს დაავალეთ სახელმწი-  
ფოს მეთაურობა და მთავარსარდლობა. არ არის სახელმწიფოებში ასე. ეს  
განპირობებული იყო და მაღლობელი ვარ თქვენ რომ გაიგეთ, განსაკუთრებული  
პირობების გამოა ეს. ასეთივე განსაკუთრებულ პირობებში უნდა მოხდეს  
ამ სტრუქტურების დაკომპლექტებაც. თუ არ გამოდგება, ერთი თვის შემდეგ,  
ორი თვის შემდეგ დაუბრუნდეთ. კომისიები დაკომპლექტდება, ყველა შე-  
უდგება თავის საქმეს და შევიტანოთ კორექტივები. შეიძლება მართლაც დავ-  
შალოთ ეს კაპიტეტი, მაგრამ საქმეს უნდა შევუდგეთ. მე თვითონ სინდისი  
მქეჯნის, რომ გამოვდინჯარქიდან, სადაც უნდა ვიჯდე და ვმუშაობდე. მა-  
პატიეთ, ალბათ თითოეული თქვენგანიც ასეა, მაგრამ მდგომარეობა არის  
ასეთი. აი, ეს განცხადება მინდოდა გამეცეთებინა. ამით არავიან არ  
მინდოდა შემეზღუდა და შემცირებულიყო გამოსვლები, მაგრამ როგორმე შე-  
ვამციდროვოთ დრო და ვიმუშაოთ ისე, როგორც საჭიროა. ქვეყნის პედი  
დღეს წყდება.

თავმჯდომარე. გმადლობთ. პროცედურის შესახებ, რა ვქნათ?

დარბაზიდან. თუ შეიძლება ერთი წუთით.



თავმჯდომარე: მე-5, მე-2. განცხადებებია.

ქ. გაბაშვილი. ბატონო ედუარდ მე მგონი დარბაზში მსხდომთა რაგულსობა, ყოველ შემთხვევაში ვინც ჩემს გარშემო ისხდა, დარწმუნებული ვარ სხვებიც, თანახმაა იმ შეფასებაზე, რაც თქვენ გაუკეთებ კაბინეტის შექმნის პროცესს. მაგრამ მე მინდა ასეთი რამ ვთქვა: გუში აქ ძალიან ინტენსიური და კარგი მსჯელობა იყო, მაგრამ როდესაც თქვენ წაბრძანდით აუცილებლობის გამო, მსჯელობა შეჩერდა. ბუნებრივია ყველას უნდა სახელმწიფოს მეთაურს, პარლამენტს და ხალხს მოასმენინოს თავისი შეხედულება. იქნებ ეხლა არცა აქვს აზრი 3 წუთიან გამოსვლებს მოვისმინოთ თქვენი შეხედულებები და იქნება ადვილად გადავწყვიტოთ ეს საქმე. ბოლოს და ბოლოს ველოდებით თქვენს შეხედულებებს. ეს არც დასაძმად არ არის და არც სასირცხვო. მე მაგალითად წინადადებას ვაძლევ კამათში ჩაწერილებს: შევაჩეროთ ჩვენი 3 წუთიანი გამოსვლები, მოვისმინოთ თქვენი შეხედულებები და შემდეგ კენჭისყრით წავიწიოთ წინ.

მ. შვიდარდნაძე. მაპატიეთ, მაშინ კამათი დაკარგავს თავის მნიშვნელობას იმიტომ, რომ გარკვეულ ნაწილზე, ის რასაც მე ვიტყვი, მოახდენს ზეგავლენას.

ქ. გაბაშვილი. მოახდინოს ბატონო, სახელმწიფოს მეთაური ბრძანდებით.

მ. შვიდარდნაძე. ეს ერთი. მეორე. მე უნდა ვითხრათ, რომ გუშინ რომ არ გავსულიყავი და მერე ბატონი სიგუა არ გამოსულიყო როცა საჭირო იყო, არც ბენზინი და არც საწვავი არ იყო სობუმში, მთელი მექანიზმები იდგა. ახლა მდგომარეობა გამოსწორდა. უცებ რომ რაიმე მომხდარიყო ის გამეორდებოდა, რაც გაგრაში მოხდა.

ქ. გაბაშვილი. არა, მე საყვედური....

მ. შვიდარდნაძე. ამიტომ ყველა უნდა იჯდეს თავის ადგილზე და მუშაობდეს.

ქ. გაბაშვილი. მე საყვედურად ვი არ ვთქვი ეს, არამედ მე ვთქვი, რომ ბუნებრივია მთელი პარლამენტი ველოდებით თქვენს დამოკიდებულებას

ზ. ყვანია. პროცედურასთან დაკავშირებით, მე ვერ დავეთანხმები ბატონ კოტეს წინადადებას ბატონო ედუარდ, იმ გზით, როგორც ჩვენ გადავწყვიტეთ გავაგრძელოთ მუშაობა, მუშაობა არ იქნება ეფექტური, ეს კამათი გაგრძელდება ხანგრძლივად, იგი გასტანს არა მარტო დღეს, ალბად ხვალაც და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ამ კამათს არანაირად არ მოჰყვება პარლამენტში საერთო აზრის ჩამოყალიბება, რაც საშუალებას



მოგვეცემს მივიღოთ ესა თუ ის სტრუქტურა. ამიტომ მე გთავაზობთ, რომ რაკი ოპერატიულად არის მისაღები გადაწყვეტილება, ჩვენ ეხლა შევწყვიტოთ მუშაობა 3-4 საათით, ეს დრო მოვანდომოთ მთლიანად კონსულტაციებს, ისე როგორც არის ამისი პრაქტიკა და მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ ლაპარაკი არის რამდენიმე პრინციპულ საკითხზე, რომელთა გადაწყვეტა ამ გზით, პუნქტურულ სხდომებზე გამოსვლის და კამათის გზით, პრაქტიკულად შეუძლებელი არის. ეს არის 1-2 კვირიანი გაუთავებელი დებატები, რომელიც ვერაფრამდე ვერ მიგვიყვანს. შევწყვიტოთ ეხლა კამათი, ჩავატაროთ კონსულტაციები, ჩამოყალიბდება პოზიცია ძირითადი პოლიტიკური ძალების, კომისიების წარმომადგენლებისა, განგაბხლოთ და უშვათ 4 საათზე ჩვენი სხდომა და მაშინ მე დარწმუნებული ვარ, რომ მთლიანობაში, ზოგადად, ჩვენ შესაძლებლობა გვექნება თუნდაც 1 საათში მივიღოთ ეს კანონპროექტი. გმადლობთ.

თავმჯდომარე. მე გაგაცნობთ სიას იმ დეპუტატებისა, რომლებიც ჯერ არ გამოსულან კამათში. გუშინ ვინც გამოვიდა იმათ არა. ალფავეტიის მიხედვით შევეცადე. შეიძლება გამომჩრჩა თითო-ოროლა. მაპატიეთ და შევავსებ თქვენი კარნახით: აბალაკი, აპესაძე, ადამია რევაზი, ადამია ჯემალი, ანდრიაძე ირაკლი, ბარამიძე, არველაძე, ასათიანი, გაბაშვილი, გვერდწითელი, გელოვანი, მელაძე, დიასამიძე, დოღმაზაშვილი, იაკობიძე, კობახიძე, ლიპარტელიანი, ღრმსაძე, ვარდოსანიძე, ზანკალიანი, თუმანიშვილი, კუბრაძე, მამალაძე, მდინარაძე, მჭედლრიძე, მელია, ნადარაია, ნაკაშიძე, ნიკოლაიშვილი, საყვარელიძე, რუხაძე, ხმალაძე, შენგელია, ჭეიშვილი.

გამომჩრჩა ვინმე? აი პატონი დემურ ჩიტლოვი, პოდის ვიხდი თქვენთან, არ დაგჩაგრავთ. პევერია ძალიან და ნოლიდელი, უფანია.

კამათი დარბაზში/.

ჩვენ რაღაც პრინციპი თუ არ შევიმუშავეთ ასე დღეს და ხვალ გასტანს ეს კამათი.

კამათი დარბაზში/.


თავმჯდომარე. კონსულტაციებზე წასვლამდე რაღაცა თუ სტრუქტურულ მონახაზს გავაკეთებთ ან იქნება პარტიებში, ფრაქციებში დახვეწილი კონსტრუქციული წინადადებები შემუშავდეს, მაშინ აზრი აქვს, თორემ ტყუილად 3 საათის დაკარგვას აზრი არა აქვს. პეტონებო მოგუსმინოთ. პატონი ვალერიან, თქვენ მერე.



ე. შევარდნაძე. რახან დაისვა საკითხი, მე, მართლაც გამუდმებულად ჩემს მოსაზრებას და რა თქმა უნდა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რადიკალურად ეს წინადადება გაუიღეს, თუ კი იქნება სხვა წინადადებები წარმოდგენილი. მე ვეთანხმები ბატონ თენგიზს, მაგრამ ცოტა ხმამაღლა არის ნათქვამი კონცეფცია... რომელიც, როგორც ვითხარით, ხვალვე შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს, თრი-სამი თვის შემდეგ. თუ მივიღებთ ამის ისეთ სტრუქტურად, რომელიც 3 წლის განმავლობაში შეუცვლელად იმუშავებს, იქნება უცვლელი სამინისტროები, როგორც არის სხვა ქვეყანაში. მაგრამ შეიძლება იყოს გარკვეული დროის განმავლობაში სამინისტრო, რამდენიმე ხნის შემდეგ კორპორაცია ან სხვა რაიმე ფორმა. ამიტომ, გამოვდივართ იქედან, რომ დამატებით სტრუქტურებზე არის ლაპარაკი. ჩემი აზრით ამოსავალი წერტილი, პოზიცია უნდა იყოს რა არის საჭირო ეხლა რეფორმატორული საქმიანობასთან ერთად მთავარი. მინისტრთა კაბინეტი უნდა იყოს შედგენილი ისეთნაირად სტრუქტურითაც და დაკომპლექტებული ისე, იყოს, რომ მოგვეცეს რეფორმატორული საქმიანობის გარანტია. მაგრამ ძალიან ვთხოვთ, ნუ დავივიწყებთ იმას, რომ როგორი პერსპექტიული ამოცანაც არ უნდა დავუსახოთ მინისტრთა კაბინეტს, ყველა სამინისტროს, ყველა უწყებას, ისინი დღესვე შეუდგნენ ორგანიზატორულ და ოპერატიულ მუშაობას. მე შემთხვევით არ ვითხარით ხვალ და ზეგ კიდევ უფრო რთული პირობებში ვიქნებით მეთქი. ამიტომ უნდა შევქმნათ ისეთი სტრუქტურა და ისეთი პერსონალური განლაგება, რომ ღრმად დაიკარგოს და ის პიროვნებები, რომლებიც პასუხს აგებენ ამ სტრუქტურაზე, ხვალვე შეუდგნენ მუშაობას ამის მოითხოვს ახლა ქვეყნის ინტერესები. მე ვთხოვთ, რომ ნუ დავხარჯავდნოს იმაზე - ბევრი სამინისტრო უფრო კარგია თუ ცოტა. ეს ცოტა არ იყოს მექანიკური და პრიმიტიული მიდგომაც არის. შეიძლება იყოს 25, ან 26. შეიძლება იყოს 15. თავისთავად ეს რიცხობრივი შემცირება არაფერი არ არის. ჩვენ უნდა მივიღოთ ეფექტი პრაქტიკულ მუშაობაში. შეიძლება იყოს 17, შეიძლება - 27. ეს კაპიციები ბოლოს და ბოლოს იმასთან შედარებით, რაც ამ სტრუქტურებმა უნდა შეასრულონ. ამიტომ ასეთნაირად ნუ დავსვამთ საკითხს - რადგან სამინისტროების რიცხვი შემცირდა, აი, ყოჩაღ ჩვენ, კარგად გვიმუშავია. საკითხი ასე არ უნდა დაისვას. შემდეგ, გუშინ გაისმა: ჩვენ ვურ ვხედავთ იმის გარანტიას, რომ ეს ძველი სტრუქტურები ხელს არ შეუშლიან რეფორმას და წარმოდგენილ ახალ სტრუქტურაში არ იგრძნობა, რომ რეფორმატორული უნდა იყოს ეს კაბინეტი. მე არ ვიცი როგორ შეიძლება შედგეს; მე ვავეცანი ბატონ რომან გოცირიძის პროექტს სხვა პროექტებსაც, არსებითი განსხვავება მათ შორის არ არის. შეიძლება ერთი ბლოკი აქ არის ან მარჯვნივ ან მარცხნივ. საქმე რაშია იცით,



თუ ჩვენ ვერ მოხახერხეთ სამინისტროებს, უწყებებს სათავეში ჩაუყენოთ რეფორმატორები იდეოლოგიით, მსოფლმხედველობით, არაფერი არ გამოვა როგორც სტრუქტურა არ უნდა შევქმნათ. ამიტომ ლაპარაკი იმაზე უნდა იყოს, რომ ყოველი სამინისტროს, ყოველი მინისტრის უმთავრესი ამოცანა იქოს რეფორმის გატარება ცხოვრებაში და არა ის, რაც ახლა ხდება სინამდვილეში, რაცა კაცა, ვხედავთ, ებღაუჭება თავისი მდგომარეობა შეინარჩუნოს და რაც შეიძლება მეტი საწარმოს ბატონ-პატრონი იყოს. ასე არ გვესმის ეს. სახელმწიფოებრივმა სტრუქტურებმა ორგანიზაცია უნდა გაუკეთონ ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ახალი რელსებზე გადასვლას და ეს მოხერხდება მაშინ, თუ შევძლებთ შევარჩიოთ ის ხალხი, რომელიც მძულ სტრუქტურებს ახლებურად აამუშავებს. იმიტომ, რომ შეიძლება იყოს ახალი სტრუქტურა და ძველებურად მუშაობდეს. პრაქტიკულად ვერაფერ ცვლილებას ვერ მივიღებთ. ნუ დავხარჯავთ დროს იმაზე, თუ რამდენი ვიც-პრემიერი უნდა იყოს - ხუთი თუ ექვსი, ოთხი თუ ორი. მე მგონი, ეს ტექნოლოგიის ამბავია, ამაზე პრემიერმა, ქვეყნის მეთაურმა უნდა იზრუნოს. უნდა შეიქმნას ისეთი აპარატი, ისეთი სტრუქტურა, რომელიც უფრო მოსახერხებელი იქნება მთავარი ამოცანის გადასაწყვეტად. ახლა ასეთი აზრები თუ კი არიან განათლების სამინისტროს ზემოთ მდგომი კიდევ ერთი რგოლი არ არის საჭიროო. ასევე სხვა მიმართულებებზეა ლაპარაკი. მე გთხოვთ გაითვალისწინოთ - განათლების ბიი მინისტრი რომ იყოს, ათივეს ეყოფა დღეს სამუშაო. განათლების სასტემო არის ქაოტური მდგომარეობაში. ამას გარდა არის მომიჯნავე ამოცანები არა მარტო განათლებასთან, არამედ მრეწველობასთან დაკავშირებული, დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან და მრავალი სხვა. ამიტომ ვიცე-პრემიერი იქნება თუ არა ან რამდენი იქნება, ამაზე დრო, მე მგონი, არ უნდა დაიხარჯოს. ესეც არ არის არსებითი საკითხი. ისევე კადრებია მთავარი. ვინ იქნება იქ. ვიცე-პრემიერი, რომ იდეოლოგიის კაცია, რომ მსოფლმხედველობა აქვს, რა პოზიციაზე დგას, არის მარაღი რეფორმატორი თავისი ბუნებით. აქ გაიხმა ასეთი შეშფოთება, რომ არ ჩანს რეფორმების სტრუქტურა ისეთი, რომელიც რეფორმებს გაატარებს. მე მგონი თავისთავად ეს საკითხი ასე არ უნდა იყოს. არის შტაბი, არა-ვინ ამ შტაბს არ აუქმებს. პირიქით მისი უფლება უნდა გაიზარდოს. ახლა იქნება ის პირველი ვიცე-პრემიერი თუ ჩვეულებრივი, რა თქმა უნდა, ის მთავარი ფიგურა იქნება თავისთავად, ეს შტაბიც ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იქნება, რომელიც რეფორმას კი არ განახორციელებს, აიძულებს იმ სამინისტროს, რომელიც ისე არ აკეთებს როგორც საჭიროა, ეს კურსი განახორციელდეს, კურსი რეფორმებზე. გუშინ ბატონი რომან გოციჩიძე ლაპარაკობდა. სწორია, ყველაფერში ვითანხმები - სამინისტროს არსი, სამინისტროს



დანიშნულება. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ მინისტრებად შევარჩიოთ რევოლუციონერები თავისი შეგნებით, თავისი გაგებით, მაშინ როგორი გაგებაც არ უნდა ჩადგოთ ამ სამინისტროს წესდებაში თუ დებულებაში, სულ ერთია ვერ მივიღებთ იმას, რაც ჩვენ გვინტერესებს. თვითონ მინისტრი უნდა იყოს დაინტერესებული იმასში, რომ არ შევინარჩუნოთ ის ობიექტი, რომლის შენარჩუნებაც დღეს-დღეობით არ არის საჭირო, რაც შეიძლება ჩქარა უნდა განთავისუფლდეს ამ ობიექტისაგან. მაგრამ მინისტრი ამავე დროს უნდა გაერკვეს ერთ რამეში, - მინისტრმა არ უნდა აიღოს ისეთი კურსი, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოიცილოს ყველა საწარმო. ეს დამღუპველია. სწორი ნაბიჯი გადაიდგა მიწის რეფორმა რომ წამოვიწყეთ. მაგრამ მე გეტყვით თქვენ, რომ მიწის რეფორმა ჩვენ ხვალ და ზეგ შედეგს არ მოგვცემს. აი ის ნაბიჯი, რომელიც გადავდგით, სწორია. ჩვენ რა მივიღეთ წელს. მოსავლიანობა ორ, სამ, ოთხჯერ შემცირდა. გაისად კიდევ უფრო შემცირდება იმიტომ, რომ ის, რაც იმ ძველ სისტემაში მუშაობდა, ვთქვათ მექანიზმებით, საწვავით გარანტირება და სხვა მრავალი, ახლა აღარ მუშაობს, მოიშალა. აი, მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს თუ შევინარჩუნებთ, რაზე უნდა ფიქრობდეს - იმაზე კი არა, რომ რაც შეიძლება მეტი მეურნეობა შეინარჩუნოს, არამედ იმაზე როგორ გარდაიქმნას, როგორ გადავიყვანოთ ახალ რელსებზე სოფლის მეურნეობა, როგორ მივებმაროთ იმ გლეხს, რომელსაც არ უფიქრია თავის ცხოვრებაში არც ბენზინზე, არ შაბიამანზე და არც არაფერზე. თავის თავად მოდიოდა ეს. აი სამინისტრო უნდა დაეხმაროს გლეხს რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ადაპტაცია. აი ასეთი სამინისტროებია საჭირო. იმავე მრეწველობაში, მრეწველობის მინისტრი დღეს იტყვის, რაც შეიძლება ჩქარა მოიცილოთ ეს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. იგი მტერი იქნება. მას არაფერი რეფორმაში არ გაეგება. მაგრამ იგივე მინისტრი, რომელიც იტყვის, რომ 30-40 საწარმო არარენებაბელოვია, ზარალიანია, სახელმწიფო ამას ვერ გაუძღვება, სწრაფად უნდა მოხდეს ასეთი საწარმოების პრივატიზაცია და უნდა ჩაეპაროს ისეთ ხალხს, ისეთ ხალხს მიიყიდოთ, ვინც არ გააჩანაგებს და არ გადაყრის წყალში. იცით, ორ დღეში გაყიდით თბილისში მაღაზიებს, იაფად გაყიდით, ძვირს არადინ არ მოგვებით. მე გეკითხებით თქვენ ვინ იყიდის? ამასზე არადინ არ ფიქრობს. იყიდის ის, ვინც მაღაზიაში დგას დღეს და ვინც იყიდა ეს მაღაზია ხომ? რას შემოიკანს იხ კაცი? ვერაფერს. რადგან ის არ არის იმ რანგის და იმ შესაბამის ბიზნესმენი, რომელსაც აქვს ავტორიტეტი, გავლენა, წონა იმისათვის, რომ პროდუქტები შემოიკანოს უკრაინიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან და სხვა სახელმწიფოებიდან. ამიტომ პრიმიტიული მიდგომა არ შეიძლება. ჩვენ ბევრი გადაჩანაგებთ, ბევრი დაგდებთ უაფოდ და თქვენ წმ

წარმოიდგინეთ ისე, რომ ეს სახელმწიფო ქონება ისეთია, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოვიცილოთ, - არ არის ეს ასე. ერთი ჩაბრძანდით რუსთავის ქიმიურ კომბინატში. და ეს მარტო ჩვენი გამოცდილება არ არის. საფრანგეთში, სხვა ქვეყნებში არის სახელმწიფო სექტორი, ბაზრის პირობებში მუშაობს შესანიშნავად, სახელმწიფოს დამატებითი წყარო არის არსებობისა. ქიმიური კომბინატი, მეტალურგიული ქარხანა სანიმუშო ორგანიზაციით არის დღეს. შეიძლება ვ წლის შემდეგ მოძველდეს ის მეთაღი, არ გამოვდგეს. ე.ი. ასეთი ამოცანის დაყენება - რაც შეიძლება ჩქარა გავთავისუფლდეთ, - ეს სწორი არ იქნება. მინისტრები უნდა შევარჩიოთ ისეთი, ვისაც, ჯერ ერთი, არ დაღატოებს ცოდნა, გამოცდილება და მუშაობის უნარი. ამიტომ ჩემი აზრით არა მარტო სტრუქტურაშია საქმე, არამედ ხარისხობრივ დაკომპლექტებაში იქნება ალბად უმთავრესი ამოცანა. აქ ნუ შევცდებით. აი, არის შემოტანილი წინადადება. მე მაგალითად არ ვიზიარებ მთლად რომ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროები გაერთიანდნენ დღეს. იმიტომ კი არა, რომ ეს პრინციპში არ არის სწორი. ეს სწორია, ვინაიდან პრაცესი გაერთიანებისა უკვე მიდის. ფორმები იქმნება ერთიანი და სოფლის მეურნეობის ხსნა მომავალში ალბად ამაშია, ამ გაერთიანებაში. მაგრამ დღეს ეს მძიმე იქნება. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჯერჯერობით ალბად საჭიროა. იმისათვის, რომ გლებს მოეხმაროს, ასწავლოს, როგორ გადავიდეს სრულიად ახალ რეღსებში. ამიტომ ასეთი გაერთიანებებისათვის ნუ ვიზრუნებთ. ვიზრუნოთ იმაზე, რა საჭიროება დღეს გლებს და რომელი სტრუქტურა მოერგება ამა თუ იმ რეალურად შექმნილ სიტუაციას. აი ბატონმა სუმბათაშვილმა თქვა, თუ არ ვცდები, რათ გვინდა ეს სამინისტრო, უნდა იყოს სახელმწიფო ბირჟა, გეთანხმებით, სავსებით სწორია თქვენი მიდგომა. მაგრამ მას ორგანიზაცია უნდა. ვილაცამ ხომ უნდა გააკეთოს ორგანიზაცია. თუნდაც ორი-სამი თვე არის საჭირო ისეთი სამინისტრო ან კომიტეტი, რომელიც ამის ორგანიზაციას გააკეთებს. პრემიერ-მინისტრი ვერ დაჯდება და ბირჟის ორგანიზაციაზე ვერ იმუშავებს. უნდა ვნახოთ ისეთი კაცი. რა არის ბირჟა? მე ვიცი მოსკოვში როგორ ყალიბდებოდა ბირჟა. ახლანდელი ბირჟები რომ შეადაროთ იმას, რაც იყო პირველი, ეს სასაცილოა. ეს იყო საშინელი პრიმიტივი. მაგრამ იმ პრიმიტივი დაიწყო ის ხალხმა. ალბათ ამ გზას ვერც ჩვენ ავცდებით. მაგრამ ასე რომ დავიწყოთ, ისევე ორგანიზატორი, სტრუქტურა არის საჭირო. ამიტომ ცოტა რეალისტურად შევხედოთ ჩვენს მდგომარეობას. მე მიმაჩნია, რომ ეროვნებათაშორისი კომიტეტი, რა თქმა უნდა, უნდა იყოს სამთავრობო სტრუქტურაში. აქ ერთი უხერხულობა არის. ამ კომიტეტის თავმჯდომარე





შემთხვევით არ ითვლებოდა ვიცე-პრემიერად. მე მხედველობაში მისი მისი  
მივცეთ სტატუსი ეროვნული უშიშროების და თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს  
წევრისა. სამთავრობო სტრუქტურაში უნდა შევინარჩუნოთ და ყველაფერი უნ-  
და გავაყვით იმისათვის, რომ ამ კომიტეტის ავტორიტეტი საზოგადოებაში  
ამაღლდეს. მე ვფიქრობდი, რომ არ შეიძლებოდა შრომის, დასაქმების, სო-  
ციალური უზრუნველყოფის შეერთება ერთ სამინისტროში. შეიძლება ამ კურ-  
სით ვიფიქროს. მე საფსებით ვუჭერ მხარს ჯატონი თენგიზის მოსაზრებას,  
ლტოლვილთა და ადგილგადაცვლებულთა რადაც სისტემა უნდა შეიქმნას. -  
ან სამინისტრო, ან დეპარტამენტი, ან კომიტეტი. არა მარტო იმიტომ, რომ  
ლტოლვილთა პრობლემა არის მწვავე და მთავარი, არამედ იმიტომაც, რომ  
მოსაგვარებელია გადასახლებისა და ჩასახლების პრობლემები, გადასახლება  
ცუდად შედის.

დარბაზიდან. განსახლება.

განსახლებაც არ არის მთლად ზუსტი აღბად. ნუ ვიღავებთ ახლა. თქვენ  
ხედავთ 1000 აშენებული სახლი მიტოვებულია. კაცი არ პატრონობს ამას.  
1000-ზეთ ასაშენებელია, ზოგიერთი გადმოსაყვანია ახალ რაიონებში. მე  
ფიქრობ, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს მოკლე ხანში. კიდევ ერთი  
საკითხი. გთხოვთ ახლა ნუ გახდება დისკუსიის საგნად აი ის პლოკი, თავ-  
დაცვის პლოკი რომ ჰქვია. მე არ მინდოდა დღეს ან ხვალ განსახილველად  
პარლამენტის წინაშე გამომეთანა იგი. ახლა ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს,  
უნდა შევინარჩუნოთ ის, რაც ჩვენ გვაქვს. მე მხედველობაში მყავს ვიცე-  
პრემიერი და აგრეთვე თავდაცვის მინისტრი. ორი ან სამი თვის შემდეგ  
დაფუძრუნდებით. ჩვენ არ შეგვიძლია მუდმივი ომი გვქონდეს აფხაზეთში ან  
სხვა რომელიმე კუთხეში. დაფუძრუნდებით ამ საკითხებს და გადაწყვეტთ  
ისე, როგორც საჭირო იქნება. ჩვენ ზოგჯერ საკალო საკითხებს ვწყვეტთ  
ახლა. მაგალითად, ჩამოვიყვანეთ გენერალი კამკამიძე. განათლებული გე-  
ნერალია. მუშაობდა უკრაინაში. იქ საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. მხე-  
დართმთავრის მოადგილე იყო საბრძოლო და სამხედრო მომზადების დარგში.  
ან წლის კაცია. ერთი დიდი ნაკლი აქვს-ქართული არ იცის. უნდა ვაპატიოთ  
დავნიშნეთ პირველ მოადგილედ და ამითი პირველი ნაბიჯი გადაიდგა იმის-  
კენ, რომ არმიაში უნდა იყვნენ პროფესიონალები. მაგრამ, სანამ ეს პრო-  
ცესი იქნება, მთლად სუგოროვი რომ იყოს ეს კაცი ან კუტუზოვი, ერთ და  
ორ თვეში ახალ არმიას ვერ შექმნის, ეს შეუძლებელია. ელემენტალურად  
უნდა დაიწყოს ჯერჯერობით. მაინც იმ რაზმებმა უნდა მოიგონ ეს ომი,  
რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, ვინც გუშინ იბრძოდა და დღეს იბრძვის.  
ამიტომ მათ არ უნდა იგრძნონ უნდობლობა, ისინიც ღირსეულად უნდა იყვ-  
ნენ წარმოდგენილი სამინისტროში, მხედართმთავრის აპარატში, უშიშროების

საბჭოში და ა.შ. აი, უნდა მოიძებნოს ასეთი მოდელი და ამიტომ გთხოვთ, რომ ეხლა ნუ ავტიქარდებით და ერთი ან ორი თვის შემდეგ კი წარმოგიდგინებთ ჩვენს წინადადებებს. ისევე, როგორც გარკვეული დროის შემდეგ თქვენ უნდა დაამტკიცოთ კანონი ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შესახებ, ისევე როგორც თქვენ უნდა დაამტკიცოთ კანონი თავდაცვის არმიის შესახებ. რა არის ეს, რა ინსტიტუტია ზოგიერთი რომ არას ჩაწერილი იმ კანონში, მაგრამ ყველაფერი არა. აი, ეს პრობლემა გთხოვთ, რომ ძალიან მწვავედ ნუ დაისმება. შემთხვევითი არ არის დღეს აქ ბატონი კიტოვანი რომ არ გვესწრება. არის საკითხები, რომელსაც ვერ მოწყდები და, ბოლოს და ბოლოს, მუ უფრო გვიან, სადამოხსათვის ვემზადებოდი გამოსახსნულად. მე მინდა იმ აზრს დავუბრუნდე, რაც თავიდან მოგახსენეთ. ახლა არა მარტო ჩვენი მიზანი უნდა იყოს იდეალური სისტემის, სტრუქტურის მოტიქრება, ეს შეუძლებელია, არამედ ისიც, რომ მივიღოთ ისეთი სისტემა, რომელიც ნორმალურად გვეჩვენება დღეს ჩვენ და გავაკეთოთ რაც შეიძლება სწრაფად, დანარჩენი თქვენ ხელთ არის, ყველაფერი პარლამენტის განკარგულებაშია. თუ 1-2 თვე შეიძლება წავიმუშაოთ და ახალი სტრუქტურა შევქმნათ გარკვეული დროის შემდეგ ისედაც, რომელიც ჩვენ ერთნაირად წარმოგიდგინებია ასეთ რთულ პირობებში, გთხოვთ მომცეთ საშუალება მეც, ბატონ სიგუასაც, დღეს თუ არა ხვალ, როგორც 6-7 საკვანძო განონმდებლობებზე ჩვენი მოსაზრებები წარმოგიდგინოთ. დღეს 29-ცდანი დედუგაცია არის ჩამოსული მსოფლიო ბანკისა, რომან გოცირიძემ არ იცის ხვალ იქნება თუ არა. ისინი კითხულობენ ვინ იქნება ხვალ. ვიცე-პრემიერი, რომელთანაც ჩვენ რეალურად უნდა დავიკავოთ საქმე. ისინი არ მალავენ, ამბობენ აი, ამ კაცთან ჩვენ შეგვიძლია დავიჭიროთ საქმე; აი, მეორესთან, იმის გამო, რომ მისი შეხედულებები ჩვენთვის მიუღებელია, ჩვენ არ გვინდა საქმის დაჭერა. კი არ გვებოლიშებიან, ისინი ამბობენ ეს ჩემი ფულია, ჩვენი კაპიტალია, თუ გინდათ ჩვენ რომ დაგებმართოთ, ეს ფული იმ ხალხის ხელში უნდა მოხვდეს, რომ ყოველი დოლარი გარკვეულ მიზანში მოხვდება. ამ ენაზე მარტო ჩვენთან კი არ ლაპარაკობენ. ასე ელაპარაკებიან ყველას - რუსეთს, უკრაინას, ამერიკას და ა.შ. ამიტომ ოპერატიული გადაწყვეტა დღეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე იდეალურ სისტემაზე მსჯელობა, რომელიც თქვენ აქ პრძანეთ. აი ეს განცხადება მინდობა გამეცეთებინა.

თავმჯდომარე. გამაღლობთ.

ე. შევარდნაძე. მე მგონი, ჩემი ასეთი გამოსვლა ბატონი სპიკერის საშინაო საქმეებში ჩარევას არ უნდა ნიშნავდეს.

ი. შენგელაძე. ეს ყველაფერი გასაგებია, ყველაფერი მისაღებია, მაგრამ არის რამდენიმე საშიშროება ბატონო ელუარდ. საქმე ის გახლავთ, რომ შეიძლება ჩვენ რეფორმატორი დავნიშნოთ რომელიმე სამინისტროს მინისტრად, მაგრამ იმდენად გაუტყუარები სტრუქტურები იყოს, რომ მან ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს თავად ამ რეფორმატორ მინისტრზე. ეს ერთი საშიშროებაა. ადამიანური ფაქტორი რა თქმა უნდა გასათვალისწინებელია და მნიშვნელოვანია მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალიზმის თვალსაზრისით და არა ამდენად, რომ სტრუქტურა იყოს ადამიანზე დამოკიდებული. აი ეს საშიშროებები არის მხოლოდ და მხოლოდ და ამიტომ არის ჩვენი მოსაზრებები, რაც იქნება დღეს. გადავწყვიტოთ, გარკვეული ნაბიჯები გადავდგათ, თუ რომელი სტრუქტურის შეცვლა შესაძლებელია და იმ სტრუქტურების შეცვლა დავიწყოთ. თორემ ის ყველა ფაქტორი, რაც თქვენ ბრძანეთ გასათვალისწინებელი და მისაღებია, ჩვენ არ ვითხოვთ დღეს იდეალური სტრუქტურის შექმნას. ეს შეუძლებელია, რა თქმა უნდა, მაგრამ ერთად-ერთი პირობა უნდა იყოს - გარდაქმნის პერიოდი რეფორმების პერიოდს დავამთხვიოთ და მერე დავწყიოთ რეფორმები.

ე. შევარდნაძე. ბატონო ირაკლი, თუ არ ვცდები ბატონი სუმბათაშვილის გამოსვლაში იყო ძალიან მნიშვნელოვანი და ძალიან სადი აზრი. თუ სახელმწიფოს მეთაური არ არის რეფორმატორი, ის არ უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი. ჩვენ თუ ვერ შევძელით ვიცე-პრემიერად რეფორმატორები დავნიშნოთ, არაფერი არ გამოვა. ასევე მინისტრები. წინააღმდეგობა იქნება საშინელი, სასტიკი, ხანდახან დაუძლეველიც კი, გარკვეულ ეტაპზე. თუ თქვენ გჯერათ რომ ჩვენ რეფორმატორები ვართ და ამ გზით უნდა ვიაროთ, მაშინ ცოტა უფრო იოლად შეიძლება რაღაც სტრუქტურამდე მივიდეთ, იმ სტრუქტურაში, რომელიც ასე თუ ისე წინააღმდეგობას იმდენს არ გაუწევს.

ი. ხაინდრაძე. ბატონო თავმჯდომარე, მე მესმის და აბსოლუტურად ვეთანხმებით იმ საკითხში, რომ 15 იქნება თუ 25 სამინისტრო, ეს არ წყვეტს თავისთავად პრობლემებს ქვეყანაში. მაგრამ, მაგალითად, როდესაც ჩვენ ვინილავდით პარლამენტის თვითორგანიზაციის საკითხს, ბატონ ქართლოს დარბაზვილთან შემოვიდა წინადადება იყოს 2 სპიკერიო. ჩვენ ეს უარვტყვიდით და შევთანხმდით იმაზე, რომ უნდა იყოს 1 სპიკერი და ის გაუძღვება პარლამენტის მუშაობას. ჩემი აზრით ჩემთვის ასევე გაუგებარია რაში სჭირდება ქვეყანას 5 ვიცე-პრემიერი და ვერ მოვისმინე მე ამის დასაბუთება. ამიტომ მე მგონი, გამოსავალი ამ შექმნილი მდგომარეობიდან უნდა იყოს

ასეთი - ან ჩვენ მიხედვით თანავე სტრუქტურების შეცვლას, შე-  
ვადგინოთ პერსონალებით არსებული ადგილები, დავამტკიცოთ და მივცეთ მათ  
მუშაობის შესაძლებლობა და პარალელურად პარლამენტმა დაიწყოს მუშაობა  
ახალი სტრუქტურების გააზრებასა და შექმნაზე, ვთქვათ 2-3 თვის შემ-  
დეგ, როგორც ეს მზად იქნება, გამოვიდეთ ამ წინადადებით. ან მეორე, აღ-  
ბათ გაგრძელდება ეს საუბარი და მე არა მგონია ამან მიგვიყვანოს ოპ-  
ტიმალურ გადაწყვეტილებამდე მაინც. დიდი-დიდი ნახევარი ნაბიჯი გადავ-  
დგათ წინ, რაღაცა მოვარდეთ, მაგრამ პრინციპულად ცვლილებას ვერ  
შევიტანთ. ეგებ დავადგეთ აი ამ გზას.

თავმჯდომარე. მე-4; მე-6, მე-5 მიკროფონები.

მ. ადვკაძე. მე ვგონებ რომ გუშინდელი მსჯელობა და დღევანდელიც  
ბოლო მომენტამდე მიეტყველებს, რომ ჩვენ წინ ვერ წავიწევთ. მე გთავა-  
ზობთ უფრო ოპერატიულს და პრაქტიკულს. ჩვენ შევთანხმდეთ რიგრიგობით,  
თანდათანობით იმ სამინისტროებზე, რომლებიც ყველა ცივილიზებულ სა-  
ხელმწიფოშია და ჩვენთანაც რომ უნდა იყოს აუცილებელი, როგორი სტრუქ-  
ტურაც არ უნდა დავამტკიცოთ, მთლიანად. ვთქვათ უნდა ჰყავდეს 5 თუ არა  
ერთი ან ორი ვიცე-პრემიერი. შემდეგ რომ უნდა იყოს თავდაცვის მინისტ-  
რი და სამინისტრო, დავამტკიცოთ შინაგან საქმეთა სამინისტრო და მი-  
ნისტრი, საგარეო საქმეთა სამინისტრო და მინისტრი, რაც დავას არ  
იწვევს, ისინი დავამტკიცოთ. შემდეგ, შეთანხმების კვალობაზე, რომელ-  
ზეც შევთანხმდებით რომ ეს აუცილებელია ამ მთავრობაში, იმისდაკვალად  
დავამტკიცოთ სამინისტრო და მინისტრი და ასეთნაირად ვივლით. უკვე  
დღესვე შეიძლება ნაბიჯების გადადგმა.

მ. შევარდნაძე. მე მაინც მგონია, რომ შეიძლება პირდაპირ სიით  
გავყვეთ. რა არის საჭირო და რა არ არის საჭირო. მაგრამ მე უნდა  
გითხრათ, რომ დღევანდელი სტრუქტურა კარგი ცხოვრებით არ არის ნაკარ-  
ნახვევი. ეს სტრუქტურა ნაკარნახევია იმიტაც, რომ ის სისტემა, რომელიც  
არსებობს, ჯერ და არ დანგრეულა, იმ სისტემამ კიდევ უნდა იმუშაოს  
რაღაც გარკვეული დროის განმავლობაში. ამაზეა აქ ლაპარაკი, უნდა  
მოვიდეს ისეთი ხალხი, რომლებიც გარკვეულ დროში მოახდენენ ამ სისტემის  
მოდერნიზაციას. შეიძლება აბსოლუტური წგრევაც. მე ყველას ვუსმენდი  
გუშინ, რამოდენიმე დეპუტატის გარდა, იქნებ ვერ დავიჭირე რაღაც ის  
რგოლი. მე დიდი განსხვავებული ვერაფერი ვერ მოვისმინე, გარდა აი  
ამ ზოგადისა, რომ უნდა იყოს რეფორმატორული კაბინეტი. ეს საერთო  
სურვილია. რომელი იყოს, რომელი დავიტოვოთ, რომელი არა, ჩვენ გუშინ  
ასეთი რჩევები ვერ მოვისმინეთ.

საქართველოს  
პარლამენტის  
მდივანთა  
კამარა



ი. წერეთელი. ბატონო თავმჯდომარე, მე მომეცა პირველი გამოსვლის  
 საშუალება და არ მინდა, ჩემი გამოსვლის შემდეგ რაღაც სხვანაირად დად-  
 ვა საკითხი და განხილვების ვაშლის ჩამოგდებასავით გამოვიდა. მე რა  
 ვიგულისხმებ? აქ იყო წარმოდგენილი 2 სტრუქტურა. ერთი ბატონმა თენგიზ-  
 მა გაგვაცნო და მეორე, რომელიც პარალელურად დარიგდა. არ ვიცი ვისი  
 გაკეთებულია და ვიზიარებ იმ აზრს, რომ დიდი განსხვავება წარმოდგენილ  
 ქმედებს შორის ნამდვილად არ არის. არც ის მიუქცამს, რომ წარმოდგენილი  
 სტრუქტურის განხილვის დროს რაღაცეებზე ვერ შევთანხმდეთ. უბრალოდ მე  
 პარლამენტის მუშაობის პრინციპში აღვნიშნე და ამას გავუსვი ხაზი, რომ  
 ჯობდა ყველაფერი ეს ინიციატივა მოდიოდა პარლამენტისაგან. ეხლა გამო-  
 საფალი მე ასე მესახება, რომ აქ იყო წარმოდგენილი დამოუკიდებელი დე-  
 პუტატების კორპუსი და პარტიების კორპუსი დეპუტატებისა. გარკვეული პე-  
 რიოდის შემდეგ ეს თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ და როგორც გადაწყვეტთ  
 მე იმაში მივიღებ მონაწილეობას, რომ 3 იქნება თუ 4 საათი ყველა პარ-  
 ტიამ კეთილი იწებოს, აიღოს იმის პასუხისმგებლობა, რომ ისეთი კაცი  
 გამოაგზავნოს ამ კონსულტაციებზე, რომ როცა მიუბრუნდებით 3 თუ 4 სა-  
 ათის შემდეგ ამ საკითხს, მისი სხვა პარტიის წევრი არ წამოხტება ადგი-  
 ლიდან და პრინციპულად სხვა მოსაზრებას არ განავითარებს. კონსულტა-  
 ციებზე თუ მიღება საქმე, მაშინ პარტიებს კატეგორიულად უნდა მოეთხო-  
 ვოს, რომ ისეთი კაცი მოვიდეს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მთელი  
 მისი პარტიული კორპუსის საქციელზე... დროის გაყვანის მიზნით მსჯელობის  
 დროს, თუ ოპერატიულად იქნება გადაწყვეტილება. აი, ასე ჯობია კონსულ-  
 ტაციასთან დაკავშირებით. ეხლა რაც შეეხება, თუ ეს კონსულტაციები მა-  
 ინც დაიწყება, ეს უკვე თქვენი გადასაწყვეტია. მე ვიზიარებ თავმჯდო-  
 მარის სულისკვეთებას, რომ ისეთ სიტუაციაში ვართ, რომ მოვლენები  
 ჩქარა ვითარდება და ჩვენც ჩვენი გადაწყვეტილებით არ უნდა ჩამოვრჩეთ.  
 მე მომეცით საშუალება ის საკითხი, რომელიც აფხაზეთს ეხება და საერ-  
 თოდ საქართველოს ეხება, გვაქვს ძალიან კონკრეტული, ეს მინისტრთა კა-  
 ბინეტს არ ეხება, ძალიან კონკრეტულად ჩამოყალიბებული ერთმნიშვნე-  
 ლოვნად გაშუქებული გვაქვს საკითხები და მომეცით იმის საშუალება, ეს  
 თქვენ გადაწყვიტეთ როდის, სასურველია მალე იჯრს ის. და მე არა მგო-  
 ნია იქ ჩამოყალიბებული რომელიმე პუნქტის მიმართ პარლამენტის რომე-  
 ლიმე წევრმა რაღაც საფუძვლიანი საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვას.  
 მე მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოს რაც უჭირს მინისტრთა კაბინეტის  
 სწრაფ დაკომპლექტებაზე უფრო მნიშვნელოვანია. ეს არის კონკრეტული  
 ღონისძიებები, რომელსაც ჩვენი პარტიის სახელით შემოგთავაზებთ. თუ  
 საომარი მდგომარეობაა, საომარ მდგომარეობას ცოტა სხვანაირი მუშაობა  
 სჭირდება. ესეც გაითვალისწინეთ, თუ შეიძლება.



თავმჯდომარე. მე-5, მე-4, მე-3, მე-2 მიკროფონები.

ნ. ნადარაია. ბატონო თავმჯდომარე, ბატივცემულო დეპუტატებო, ჩვენ მოფისმინეთ ხახულმწიფოს მეთაურის კონსტრუქციული წინადადებები არსებული ფიზარებიდან გამომდინარე, რაც ჰაერივით სჭირდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებას, აღმავლობას. ამიტომ დამოუკიდებელ დეპუტატთა წინადადება ვუყაროთ კენჭი ამ წინადადებებს და უმრავლესობის პოზიციით გადავტრძელოთ მუშაობა.

თავმჯდომარე. გმადლობთ, მე-4 მიკროფონი.

მ. გიორგაძე. აქ წარმოდგენილი პროექტი პრაქტიკულად არის გადმოწერილი იმ გეგმიდან, რომელიც მიმდინარე წლის მარტში შეიმუშავა მინისტრთა საბჭომ. პრაქტიკულად აქ რაიმე ცვლილებას ადგილი არა აქვს. ამავდროს აქ იყო დასახელებული ფაქტი, რომ მეტად მნიშვნელოვანი ამბების გამო ჩამოვიდა ფონდის დელეგაცია. ამავდროს ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს სახელით დელეგაცია უნდა გაემგზავროს საფრანგეთში, ქართული ფუნდის მოჭრასთან დაკავშირებით და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ამავდროს იყო ნათქვამი ისიც, რომ გარკვეულწილად დროებით შეიძლება განვიხილოთ ეს სტრუქტურა. შეიძლება იყო კიდევ წინადადებებ, რომ ფაქტიურად ეს არის ის სტრუქტურა, რაც აქამდე იყო და ამავდროს პარლამენტში არის მმართველობის რეფორმის კომისია და ამავდროს ის არის გარკვეული გამოცდილების შესაძენად. შეიძლება ერთი მხრივ, მთავრობამ არსებული, მოტანილი სტრუქტურით, მეორე მხრივ, საპარლამენტო კომისიამ რამდენიმე პერიოდში მივიღეთ ოპტიმალურ ვარიანტამდე, ხოლო წარმოდგენილი სტრუქტურა მივიღოთ შესწორებებით და ეს დავამტკიცოთ, როგორც გარდამავალი პერიოდის სტრუქტურა და როდესაც გვექნება წარმოდგენილი, ჩამოყალიბდება პარლამენტი, იმუშავებს კომისიები. ამას რამოდენიმე თვე აშკარად სჭირდება. დღეს ჩვენ რომ მივიღოთ რეფორმისტული გადაწყვეტილება და 2 თვის შემდეგ ავღავ შევცვალოთ, არ იქნება მართალი. ჩვენ გვინდა, რომ რაღაც, ჩამოყალიბებული სისტემა მივიღოთ. ამიტომ დღეს დავტოვოთ ჩვენ ეს ასე, გავამახვილოთ მასში ყურადღება რეფორმისტული პიროვნებების დანიშვნაზე. ხოლო როცა პარლამენტი წარმოადგენს იმ ოპტიმალურ ვარიანტს, რომელიც სჭირდება საქართველოს, გათვალისწინებით იმ შეცდომებისა, რომელსაც დაუშვებს ან, პირიქით, იმ გამოცდილების, რომელსაც ეს არსებული სტრუქტურა აამუშავებს, - შეგვიძლია მივიღოთ ოპტიმალური გადაწყვეტილება.

თავმჯდომარე. გმადლობთ.



ე. შევარდნაძე. მე ერთი რამ არ ვთქვი, - აქ არის ზოგიერთი გაუმართლებელი ჩამოთვლა. მე მიმაჩნია სახელმწიფო კანცელარიის მმართველ ხუ. სპიკერს არ ესაქმება. პრემიერ-მინისტრმა შეიძლება კანცელარია შექმნას, შეიძლება სამმართველო შექმნას - ეს აპარატია, რომელიც მას ემსახურება და არა ვიღაცის ზევით დავაყენოთ და გამოვიგონოთ ისეთი ინსტიტუტები, როცა მკვიდრდება ის აზრი, რომ ესა და ეს პიროვნება კი არ მართავს, არამედ ის, ვინც კანცელარიაში ზის. ეს ნაკლია ამ სქემისა და ეს უნდა გასწორდეს.

თ. სიგუა. კანცელარია ბატონო ედუარდ სამინისტროების მაღლა აქ არ დგას.

ე. შევარდნაძე. საერთოდ არ უნდა იფოს აქ. მე არ დავიმალავთ აი, პატარა აპარატს ვქმნით, ამის გარეშე არ იქნება, არ გამოვა მუშაობა... სად არის ლოთქიფანიძე, ვთხოვდი მას, რომ დამეხმაროს ამ აპარატის შექმნაში, მაგრამ მე მინდა მის გასაგონად ვთქვა, რომ ის ჩემზე ზევით არ დადგება. მისი ამოცანაა მოემსახუროს ყველას, მათ შორის სახელმწიფოს მეთაურსაც, პარლამენტსაც და სხვებსაც იმისათვის, რომ ჩვენ ხელსაყრელი პირობები გექონდეს მუშაობისათვის. არც ერთ კანცელარიას არსად არ უნდა ჰქონდეს განსაჯუთრებული ადგილი. ეს უნდა გამოირიცხოს.

თავმჯდომარე. მე-3.

თ. გელღანი. ბატონო თავმჯდომარე; მე მიმაჩნია, რომ დღევანდელ ეტაპზე, როდესაც რეფორმები არის ჩასატარებელი, ერთი ფუნქცია უნდა გაიმიჯნოს მტკიცედ - სამეურნეო ფუნქციების და მაკონტროლებელი ფუნქციების მატარებელი ორგანიზაციები უნდა იყოს გამიჯნული. ამიტომ მე მგონია, რომ აი საგარეო დეპარტამენტი უნდა იყოს დაქვემდებარებაში სადაზვერდო და საინფორმაციო ბიუროსი და არა მინისტრთა საბჭოსი, ასევე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უნდა გამოეყოს სანიტარიული სამსახური და ასევე გარემოს დაცვის სამინისტრო უნდა იყოს მაკონტროლებელი ფუნქციის და ესენი უნდა იყვნენ სწორედ პარლამენტის დაქვემდებარებაში, რომ მოხდეს ასევე კადასტრის სამსახურები, რომელზეც გუშინ იყო საუბარი. ეს გამიჯვნა თუ არ მოხდა, რეფორმების გატარება გაძნელდება.

ე. შევარდნაძე. დიახ, შეიძლება, ასეთი კონკრეტული წინადადებები ბევრი იქნება ალბათ. მე არ ვიცი მართლა ხომ არ არის მისაღები ბატონი ირაკლის წინადადება იმის თაობაზე, რომ ჩავატაროთ 2-3 საათიანი კონსულტაციები იმისათვის, რომ კონკრეტული საკითხები განვიხილოთ. მაგალითად ჩვენ შევინარჩუნეთ ტრანსპორტის სამინისტრო იმისათვის კი არა, რომ

იქ ვიღაცა დაგვესვა, არამედ იქ ძალიან ჩქარი ტემპით უნდა წავიდეს პრივატიზაცია. ახლა 2, 3, 4 თვის განმავლობაში საჭიროა ისეთი სტრუქტურა, რომელიც ამის ორგანიზაციას გააკეთებს. მაგრამ აქ ჩვენ შევიტანეთ შესწორებები - გახდეს ავტონომიური რკინიგზა, არ შევიდეს იმ კომპლექსში, რომელშიც ახლა შედის. პრაქტიკულად უმართავია ტრანსპორტის სამინისტრო. ასევე საზღვაო ფლოტი. ჩვენ ჩვენი ფლოტი გვაქვს, საზღვაო ფლოტი, ძლიერი და სანტერესო, 35 გემია; თევზჭერის ფლოტი და ა.შ. დეპარტამენტი იქნება. შეიძლება სხვა სახელი დავარქვათ, მაგრამ ცალკე უნდა იყოს. ასეთი პრინციპული საკითხები ბევრია. ეს ალბათ კონსულტაციებზე უნდა განვიხილოთ და იქ შევთანხმდეთ.

თ. გამყრელიძე. როგორც თქვენ ბრძანეთ განვიხილოთ ეს. როგორც გარდამავალი მოდელი მთავრობის მოწყობისა, გარდამავალი სტრუქტურები იმ ვარაუდით, რომ ჩვენ გარკვეულ ვადაში კვლავ დავუბრუნდებით მსჯელობას ამ სტრუქტურების ჩამოყალიბების თაობაზე. მაგრამ თვითონ ამ მოდელის ფარგლებში, როგორც გაირკვა, რჩება ბევრი რამ ისეთი, რაც მოითხოვს გარკვეულ მსჯელობას. თუნდაც ის საკითხი, რომელიც თქვენ წამოჭერით დღეს. თუნდაც ის საკითხი სად უნდა წავიდეს ან იყოს თუ არა ჩართული აღმასრულებელ სტრუქტურებში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, რომელიც ამჟამად ძალიან ეფექტურად და ნაყოფიერად მუშაობს. ალბათ, წარმოუდგენელია ახალი სტრუქტურები ამ კომიტეტის გარეშე. არის კიდევ მრავალი საკითხი, რაც მოითხოვს დაზუსტებას. თვითონ ამ მოდელის ფარგლებში ალბათ თუ ჩვენ კონსულტაციებს ჩავატარებთ და გადავიტანთ მსჯელობას 4 საათამდე. შეიძლება უკვე....

/წამოძახილი დარბაზიდან/.

თუ შეიძლება შევთანხმდეთ როდის შევიკრიბოთ, რომ იქ იყოს უკვე ფაქტურად მიღება ამ დროებითი პროექტისა.

თავმჯდომარე. მაშინ ერთადერთი ქალბატონია და მივცეთ პრივილეგია განცხადებისათვის.

ლ. შაკიაშვილი. გმადლობთ, ბატონო სპიკერო. მე ვგრძნობ და მიმართინია, 2 დღეს რომ ვუყურებ განხილვას, რომ ჩვენ ვერანაირი კონსულტაციებით ვერანაირ შეთანხმებამდე ვერ მივალთ. ძალიან პესიმიისტურად ვარ განწყობილი კონსულტაციებთან დაკავშირებით და რატომ? იმიტომ, რომ იმდენად წინააღმდეგი ვართ აქ ბევრი შემოთავაზებული სტრუქტურისა, რომ ამას კონსულტაციები არ უშველის. ჩვენ უნდა მივიღეთ ერთ შეთანხმებამდე, ან უნდა ვენდოთ სახელმწიფოს მეთაურს და გავითვალისწინოთ ის





თხოვნა და სურვილი, რაც აქ მან გამოთქვა, უნდა მივცეთ მთავრობის  
 თავმჯდომარეს და სახელმწიფოს მეთაურს იმ 2-3 თვიანი ვადა, რომელსაც  
 ისინი ვგთავაზობენ და ყოველ შემთხვევაში სასწრაფოდ დღესვე და ხვალვე  
 იმ საკვანძო სამინისტროების პრესტებზე უნდა ავირჩიოთ ის კანდიდატურები,  
 რომლებსაც წარმოგვიდგენენ და უფრო კრიტიკულები ვიყოთ იმ კანდიდატურე-  
 ბის მიმართ, რომლებსაც წარმოგვიდგენენ. მე ვეთანხმები ბატონ შევარდ-  
 ნაძეს, რომ ვერანაირი სტრუქტურები პიროვნებას ვერ შევვლიან ისე, როგორც  
 პირიქით. ვინაიდან ჩვენ ეხლა ომის მდგომარეობაში ვართ და შორსს ვართ  
 იმ აზრისაგან, რომ მოკლე ხანში შევქმნით იდეალურ მინისტრთა კაბინეტს.  
 ამისი დრო ჩვენ არა გვაქვს და რომ არ იყო ის ვაკუუმი, რომელზეც  
 ბრძანა ბატონმა სახელმწიფოს მეთაურმა, რომელიც ამუხრუჭებს ისედაც გა-  
 პარტახებულ ჩვენს ცხოვრებას და აუარესებს. და ეს ყველაფერი პარლა-  
 მენტს რომ არ დაბრალდეს, აქ პასუხისმგებლობის მოცილებაზე არ არის ლა-  
 პარაკი და ჩვენი მოსახლეობა ამას ყველაფერს ხედავს და უყურებს და თუ  
 ჩვენი მოსახლეობის 96% გამოუცხადა ნდობა ბატონ ელუარდ შევარდნაძეს და  
 ჩვენც ვენდოთ მას, ეს 2-3 თვე ვაცალეთ და ვნახოთ რას მოიტანს ეს  
 სტრუქტურები და ეს ნდობა. ხოლო 2-3 თვის შემდეგ ჩვენ ვნახავთ, რომ  
 ამასობაში ჩვენც უნდა ვამზადდეთ, რა თქმა უნდა, ჩვენი სტრუქტურები, ჩვე-  
 ნი წინადადებები უნდა შევიმუშაოთ. ჩვენთვისაც ის 2-3 თვე საკმარისია  
 ომისათვის, რომ მაღალ ცივილიზებულ დონეზე ჩამოვყალიბდეთ. შემდეგ ჩვენ  
 ჩვენი პრეტენზიებით, წინადადებებით და სტრუქტურებით წარვსდგეთ მთავ-  
 რობის წინაშე. მე ვთავაზობთ ამ წინადადებას. აქედან გამომდინარე აღ-  
 ბათ, კენჭი ვუყაროთ აი ამ სტრუქტურებს, რაც წარმოდგენილია. მაგალი-  
 თად თავდაცვის სამინისტროს ხომ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ამოვიღებთ  
 სტრუქტურებიდან და დღეს ვთქვათ დავნიშნოთ თავდაცვის მინისტრი, ან ვთქვათ  
 შინაგან საქმეთა მინისტრი, განათლების მინისტრი, განათლების სამი-  
 ნისტროს, ხომ ვერ გავაუქმებთ და არ გავაუქმებთ ეს ხომ ყველამ ვიცით  
 და ა.შ. ერთი სიტყვით საკვანძო თანამდებობებზე დავნიშნოთ ის წარ-  
 მოდგენილი პირები, რომლებსაც მთავრობის ხელმძღვანელი წამოაყენებს.

თავმჯდომარე. გმაღლობთ. მე-2 მიკროფონი.

მ. შევარდნაძე. ბოდიში, ბატონო ვახტანგ, ერთი წუთით. კიდევ ერთი,  
 ჯერ ერთი კონსულტაციები, თვითონ იდეა ამოსადებია. თუ ეს ძნელია, მაშინ  
 ბატონ სიგუასთან ერთად მე დამავალეთ განხილვის შედეგები; დღეს შეიძ-  
 ლება კიდევ გაგრძელდეს კამათი, ჩვენ ეს დღეს დავამუშაოთ და საღამოს  
 სხდომაზე შემოგთავაზოთ და.....

თავმჯდომარე. მე მგონი კარგია  
 /ხმაური დარბაზში/.

თავმჯდომარე. კარგი ვარიანტია.

ე. შევარდნაძე. რომელიც ჩვენ მიგვაჩნია ამ განხილვების, კამათის შემდგომ, რომ მივიღოთ.

თავმჯდომარე. რა ვქნათ? რა ვქნათ? ფეხზე მდგომ კამათში გამომსვლელ მსურველებს მოვუბნო კიდევ ერთხელ ბოდიშს. ბევრჯერ დაგვიჩაგრა ჩვენი დებუტატები. წინადადება ძალიან კარგია, მისაღებია, მაგრამ გათხოვთ, ასეთნაირად ჩამოვყალიბდეთ, რომ პარტიებმა, ფრაქციებმა, დამოუკიდებელი დებუტატების წარმომადგენლებმა შეჯერებული წერილობითი სახით თქვან თავისთავონ კონკრეტული მოსაზრება რა არის მისთვის მისაღები და არ მისაღები.

დარპაზიდან. კომისიების მიხედვით.

თავმჯდომარე. კი, ბატონო, კომისიების მიხედვითაც იყოს და ვნებავთ პარტიების მიხედვით. ეხლა რაც შეეხება მთავარი — ტონალობა არის ნდობის. მუ ვისარგებლებ 1-წუთიანი სიტყვით, როგორც დებუტატი, არ მისარგებლია აქამდე. საკითხი თუ დგას, გვიყურებს ქვეყანა, რომ ჩვენ რა მდგომარეობაშიც ვართ, ასევე დავრჩებით, თუ რაღაც გვეშველება. გვიყურებენ, ცვლილებებში ხალხი ხედავს რაღაც იმედებს. ჯერჯერობით ცვლილებებს ვერ ხედავენ. ბატონომა თავმჯდომარემ გვითხრა, რომ სტრუქტურების მსხვერველს ამ ეტაპზე არა აქვს მნიშვნელობა, ძველ ტიპებში ახალი ღვინის ჩასხმას არა აქვს აზრი. ერთი წუთით, მომიხმინეთ, მე ხომ გისმენთ თქვენ ბატონო დებუტატებო. ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური მიმართულება უკვე მიღებული გვაქვს. ნდობა არის საფუძველი. მაგრამ მე, როგორც დებუტატი, ვსარგებლობ ჩემი რიგით, მოქალაქეობრივი უფლებით და დიდ იმედებს ვამყარებ საკადრო ცვლილებებზე. ცვლილება თვითმიზანი არ არის. ბევრი დარჩება, ბევრი უნდა წავიდეს. საქმეს ცვლილება უნდა დაეყოს. მე, მაგალითად არაფერი მექნება თავდაცვის მინისტრის საწინააღმდეგო, მაგრამ თავდაცვის მინისტრი იმავე დროს ვიცე-პრემიერი იყოს, ნახშირი, გაზი, ნავთი ერთი კაცის ხელში იყოს კონცენტრირებული, არ არის ეს სტრუქტურულად ღირდეს. ჩვენი თავდაცვის მინისტრს ექნება თავისი თავდაცვის მრეწველობა, სხვა რაღაცეები ექნება, იქნება ამას გადაფხედოთ. კეთილმოსურნის პოზიციიდან ვლაპარაკობ მე ამას. ეს სტრუქტურა დღესვე უნდა დამტკიცდეს. კადრების ფიქსაცია ბევრ რაღაცას გააადვილებს და, გარდა ამისა, მე იმის მომხრეც ვარ, ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებიდან შეზღუდვის, შევიწროვების არაფერს მომხრე არა ვარ. მაგრამ გზა უნდა მიეცეს იმ პირებს, რომლებსაც შეუძლიათ შეიტანონ ცვლილებები წესრიგის დამყარებაში, ეკონომიკაში და ჩვენი ცხოვრება გზაზე დადგეს.

დარბაზიდან. ახალგაზრდობა.

ახალგაზრდობასაც და ძველგაზრდობასაც, რომელსაც შეუძლია თავი გასწიროს იმისათვის, რომ წესრიგი დამყარდეს ქვეყანაში. ამის უზღოვება ხალხი ჩვენგან. ამ ეტაპზე კიდევ ერთხელ ხალხის ნდობით ვისარგებლოთ და შემდგომ ეტაპზე შევხედოთ საკადრო, პოლიტიკურ ცვლილებებს, როგორ წარიმართება ეს ამბავი. ეხლა კონსულტაციებისათვის ჩამოყვალბდეთ. 5-6 საათისათვის შეგვეძლება ბატონო ედუარდ?

/კამათი დარბაზში/.

4-საათზე. არა კონსულტაციებზეა დაპარაკი, თუ სხდომის განახლებაზე?

/კამათი დარბაზში/.

სხდომა 4-ზე ხომ! მანამდე კონსულტაციები. ეხლა ქალბატონ რუსუდანს აქვს საორგანიზაციო განცხადება.

რ. პერიძე. ბატონო დეპუტატებო, ძალიან ვთხოვთ კომისიებში შევიტანოთ განცხადებები. ხვალ 3 საათზე კოლეგია გვაქვს და კომისიების თავმჯდომარეებს ვთხოვდით, რომ კომისიის შემადგენლობა წარმოედგინათ, რათა სამშაბათს ეს კომისიის შემადგენლობა დაფამტკიცოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კომისიები მუშაობას ვერ დაიწყებენ. ანალოგიური თხოვნა გვაქვს საპარლამენტო ფრაქციების მიმართაც. გმადლობთ ყურადღებისათვის.

თავმჯდომარე. მე-2 მიკროფონი. ბატონო ნოდარ ერთი ახალგაზრდა დეპუტატი ძალიან გვეჩივრება ხშირად და დაეჭვიანდება.

ლ. მამალაძე. ბატონო ვახტანგ, შე სხდომის დაწყებისთანავე აღვნიშნე ნუ იქნება ესეთი დამოკიდებულება დეპუტატებისადმი.

თავმჯდომარე. ეს რას ნიშნავს.

ლ. მამალაძე. იმას ნიშნავს, რომ თუ გამოვედი, ითქმება ესაა თუ ის მიკროფონი, ჩაირთოს დროულად. მე ყველას პატივსაც ვცემ, მაგრამ ნუ იქნება განსხვავება რადიოების გამო დეპუტატებს შორის. ეს არის შეზღუდვა უფლებების. მე მინდა ეს დაფიქსირდეს. ეს ერთი მომენტი. მეორე რაც ეხება წარმოდგენილ სტრუქტურას და ბატონი ედუარდის გამოსვლასთან დაკავშირებით. მე მინდა აღვნიშნო ერთი გარემოება, - იმასთან დაკავშირებული, როცა ქვეყანაში არის გარდამავალი პერიოდი და ასევე ამ გარდამავალ პერიოდში ვიმყოფებით საომარ მდგომარეობაში, გასამიჯნია 2 მომენტი.

ჩვენ გარკვეული პერიოდით ვირჩევთ რეფორმების შეზღუდულ ფორმას და ვაკეთებთ ე.ი. მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტებას სამხედრო პერიოდთან დაკავშირებით თუ გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებით. ეს არის



ძალიან განსხვავებული მომენტები. იმიტომ, რომ თვითონ გარდამავალი პერიოდული ითვალისწინებს რეფორმას, მაგრამ აქ დებუტატები დამეთანხმებიან, რომ აქ რეფორმაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა, იმიტომ რომ, როცა არის საუბარი რეფორმაზე, უნდა ვიცოდეთ ვინ არის ამ რეფორმის იდეოლოგი, რა იდეოლოგიაზე არის საუბარი და რა გეგმით უნდა მოხდეს ამ რეფორმის განხორციელება? თუ კი არის ასეთი პიროვნება, რომელმაც იცის რა მიმართულებით უნდა წავიდეს რეფორმა საქართველოში, გამოვიდეს და გვითხრას. როდონდ ეს ნუ იქნება პროექტებისა და რადაცეების განხორციელების. გეგმა, როგორც რამდენიმე სხდომის წინ იყო მოხსენებული აქ. უნდა იყოს კონკრეტული გეგმა რეფორმის გატარებისა თავისი იდეოლოგიით და თავისი გეგმებით. ეს ერთი.

პატონ თაგვჯდომარეს ჩვენ გამოვუცხადეთ სრული ნდობა და მე მინდა დავუჭირო მხარი წინ გამოსულ დებუტატებს. აქ იყო გამოთქმული ბევრი აზრი. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ვართ მეტად დაძაბულ სიტუაციაში, ნდობიდან გამომდინარე ჩვენ ასევე უნდა აღვნიშნოთ ის მომენტი, რომ ჩვენ შემოგვთავაზა პატონმა ელუარდმა ბსეთი წინადადება. ჩვენ თუ ვაცხადებთ ნდობას, დავეთანხმეთ გარკვეული ვადით. თუ ვამბობთ იყოს 3 თვე, იყოს 3 თვე. და პარლამენტმა გადაწყვეტილება მიიღოს, რომ 3 თვის შემდეგ განახლდება ამ საკითხებზე მუშაობა. და იქნება კამათიც და იქნება სხვა რამაც. იმიტომ, რომ ჩვენ მივდივართ რეფორმის გზით. თუ პატონ თენგიზს აქვს თავისი იდეოლოგია და ჩამოყალიბებული აქვს ეს აზრები, მაშინ გამოვიდეს და მოგვასენოს ამის შესახებ. მე ასევე მინდა მოგახსენოთ, რომ კონსულტაციების დროს, როდესაც პატონი შევარდნაძე და პატონი სიგუა იმსჯელებენ, ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც განსხვავდება იმ ვარიანტებისაგან, რაც ჩვენ წარმოვადგინეთ სპიკერატში, და აქ მე მინდა ერთ გარემოებას გაუსვა ხაზი. რაც შეეხება გარემოს დაცვის სამსახურს, სამინისტროს. ჩვენ ვარიანტში არ არის შეტანილი ეს, ჩვენი ფრაქცია მსჯელობს ამაზე. გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს და გარკვეულ დროში წარმოვიდგინებთ იმ ვარიანტს, რომელიც უფრო მისაღებია ჩვენთვის. მე მინდოდა, როცა იქნება გამოსვლა პატონი ელუარდისა, პატონი თენგიზისა, ამ იდეოლოგიასთან დაკავშირებით ჰასუბი გაგვცენ. ეს დაძაბულობა იქმნება და დებუტატები რაღაც გაურკვეველ მდგომარეობაში ვვარდებით. გამაღლოპ.

თაგვჯდომარე. გამაღლოპთ. ახლა როგორ მოვიქცეთ. ჩვენ, თუ 4 საათზე ვაპირებთ სხდომის განახლებას, 6 მიკროფონთან დგახართ.

/ხმაური დარბაზში/.

თაგვჯდომარე. ერთწუთიანი განცხადებებისათვის? კონსულტაციები, პატონი თაგვჯდომარე არ მიიღებს მონაწილეობას, ბუნებრივია. კომისიები, პარტიები შეიკრიბებიან, თავიანთ წინადადებებს დაამუშავებენ,

დახვეწავენ და მას წარმოადგენენ. შემდეგ, მოგვიმთ სიტყვას განცხადებ-  
ბისათვის. ისე ნუ გამოვბა, რომ ერთი პარტიიდან 5 კაცი გამოვიდეს სიტყ-  
ვით. ეხლა ვინც დგას, მივცეთ 1 წუთი განცხადებისათვის დრო - ბატონო  
დარს, ბატონო ელოშვილის, ბატონ ირაკლი წერეთელს, მე-7 მიკროფონს, მე-2  
მიკროფონს და ამით დავამთავროთ. მე-5.

წ. ნათაძე. თავდაცვის კომისიის წევრებს ვთხოვ, რომ სხდომის დამ-  
თავრებისთანავე ოვალურ დარბაზში შევიკრიბოთ. თუ სხვაც იქნება, ერთ  
კუთხეში ჩვენ ვიქნებით, მეორეში ისინი. ვთხოვთ ყველას, ვისთანაც კი  
მქონია ლაპარაკი ამ თემაზე.

თავმჯდომარე. მე-6; მე-4; მე-7, მე-2.

ი. წერეთელი. ბატონო სპიკერო, ჩემი წინადადება კონკრეტულია. პარ-  
ლამენტის თავმჯდომარემ და თქვენ დაავალეთ პარტიების წარმომადგენლებს,  
რომ კონსულტაციებისათვის შეიკრიბონ სხდომის შეწყვეტისთანავე, მაქსი-  
მუმ ერთ საათში მოჩვენ კონსულტაციებს, იმიტომ, რომ ბევრი სალაპარაკო  
არ არის.

## შესვენების შემდეგ

სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის სპიკერი  
გ. გოგუაძე.

თავმჯდომარე. გთხოვთ მოემზადოთ რეგისტრაციისათვის. გთხოვთ ჩა-  
ოთ.

აღბათ ამ საკითხთან დაკავშირებით პატარა განცხადება აქვს პატონ  
გიგა ლორთქიფანიძეს. მე-5 მიკროფონი.

გ. ლორთქიფანიძე. გუშინდელ სხდომაზე მე განცხადება გავაკეთე კი-  
ნოს შესახებ. პატონი ეღუარდი ეხლაც არ არის და ამიტომ ვაძლევ მე ჩემს  
თავს ამის უფლებას, რაშიაც მე მართალი არ აღმოვჩნდი, იმიტომ რომ მე  
შემეშინდა როდესაც სტრუქტურა წავიკითხე და იქ არ იყო კინო ნახსენები  
და იყო კულტურის სამინისტრო. ვიფიქრე, ხომ არ მოხდა კინომატოგრაფი-  
ასთან მისი გაერთიანება მეთქი. მე კინომატოგრაფისტებმა მთხოვეს ამ  
დადგენილების, რომელსაც პატონი თენგიზ სიგუა აწერს ხელს, ამის ასეთ-  
ნაირად დაფიქსირების, რომ გაუქმდეს საქართველოს სოქარტველოს რესპუბ-  
ლიკის კულტურის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო კინოკორპორაცია,  
გამოვიდეს იგი კულტურის სამინისტროს სისტემიდან და მის პაზაზე სახელმ-  
წიფოს საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმიად დაფუძნდეს სახელმ-  
წიფო კონცერნი „ქართული ფილმი“, რომელიც კოორდინაციას გაუწევს რესპუბ-  
ლიკაში კინოშემოქმედებას, კინოწარმოებასა და კინოვიდეო მომსახურებას.  
სახელმწიფო კონცერნი „ქართული ფილმის“ საქმიანობის დაფინანსების წყა-  
რობად გამოყენებულ იქნეს სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსა-  
ვალი, კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები, აგრეთვე მიზნობრივი სა-  
ბიუჯეტო ასიგნებანი. ისე, რომ ეს ფორმა არსებობისა არის კინოსათვის  
ყველაზე მორალური და კინომატოგრაფისტებმა მთხოვეს დღეს ეს მე დავა-  
ფიქსირო პარლამენტზე.

თავმჯდომარე. გმადლობთ. ეხლა, როგორც მოგეხსენებათ, მთელი ამ  
2-3 საათის მანძილზე მუშაობდნენ საკონსულტაციო ჯგუფები, კომისიები,  
დებუტატთა ცალკეული წარმომადგენლები და გარკვეული შეთანხმებები იქნა  
მიღწეული; ამის თაობაზე გთხოვთ სიტყვას პატონ ირაკლი შენგელაიას.  
მე-4 მიკროფონი.

გამომსვლელი. ჩვენ აქ რაზედაც შევთანხმდით, ის პატონ ეღუარდს  
მოვახსენეთ და თუ ის უნდა გამოვიდეს ამასთან დაკავშირებით სიტყვით,  
აღბათ მოხსნილი იქნება ეს საკითხი, რომ თავიდან არ გავიმეოროთ. თუ  
საჭიროა მე გავიმეორებ იგივეს.

თავმჯდომარე. როგორ თვლით საჭიროდ? არ არის საჭირო? ბატონო მმარ ელმევილს აქვს განცხადება. მე-3.

თ. ელმევილი. როგორც აქ ითქვა, დღეს, რამდენიმე საათის განმავლობაში, ტარდებოდა კონსულტაცია პარტიებსა, ფრაქციებსა და დამოუკიდებელ დეპუტატებს შორის. ე.ი. ძირითად პრინციპზე და საკითხებზე შეთანხმება მიღწეულია, ამიტომ ვფიქრობთ, რომ დღეს ჩვენი დეპუტატების გამოსვლა შეზღუდული იქნება, არ მოითხოვს არავითარ საჭიროებას. კონსულტაციების შემდეგ შევხვდით ჩვენ ბატონ თენგიზ სიგუას, ბატონ ელუარდ შევარდნაძეს. იქაც გაგრძელდა მუშაობა და იქ მუშაობის შედეგები წერილობით გააჩნია პრეზიდენტს.

თავმჯდომარე. გმადლობთ. ერთადერთი თხოვნა მაქვს - მოვუსმინოთ ახალგაზრდა დეპუტატს პეტრე მამრაცხეს. მოხდა ისე, რომ თავისი გულის სათქმელი ვერ თქვა ბოლომდე. დღის წესრიგთან დაკავშირებით აქვს სათქმელი. მე ამას იმიტომ ვთხოვთ, რომ შემდეგ ასოციაციებით ნულარ გავაგრძელებთ კამათს და ბატონი ელუარდი ალბად შეაჯამებს. ბატონი პეტრე მამრაცხე. მე-2.

პ. მამრაცხე. მე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი კომიტეტის თაობაზე. აპრილის ბოლოდან მე ვმუშაობდი ბატონ სანდრო კავსაძის თანაშემწედ, როგორც ვიცე-პრემიერის თანაშემწედ. კომიტეტის წევრი არ ვყოფილვარ. მინდა მოგახსენოთ, რომ ამ ყოველდღიურმა მუშაობამ ნათლად აჩვენა, რომ კომიტეტი იყო აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ხოლო მისი თავმჯდომარე იმავდროულად არის ვიცე-პრემიერი. ამან განაპირობა ის დიდი წვლილი, რომელიც კომიტეტმა შეიტანა მინისტრთა საბჭოს მუშაობაში და კონფლიქტების მოგვარებაში. ე.ი. თავმჯდომარეს რომ არ შქონოდა უფლება დაეპარებინა თავისთან მინისტრები, მიეცა მათთვის დავალებები, გაეკონტროლებინა ამ დავალებების შესრულება, ჩვენ ვერ მივაღწევდით იმას, რასაც მივალწიეთ. ეს შედეგები ცნობილი არის. ამიტომ მე ვთვლი ძალიან სწორია, რომ არის გამონაკლისი თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემებული, რომ თავდაცვის მინისტრი რჩება ვიცე-პრემიერად ჯერჯერობით და ამას არ ვიხილავთ როგორც ჩანს. ასე იქნება და მე ვითხოვ რომ ეს კომიტეტი გათანაბრდეს თავდაცვის სამინისტროსთან. არანაკლებ მოვალეობას ასრულებს და ალბად ეს იქნება გადამწყვეტი ამ კომიტეტის მუშაობაში. გმადლობთ.

თავმჯდომარე. ახლა სიტყვას ვთხოვთ ბატონ ელუარდ შევარდნაძეს.



მ. შიშვარდნაძე. მე ავიღე სიტყვა-იმიტომ, რომ ჩემს ხელნაწერებში ყველა ასე იწოდებოდა ვერ გაერკვევა და გადავწყვიტე მე მოგახსენოთ იმ მოსაზრებების შესახებ, რომელნიც ჩემი და ბატონი თენგიზის შეხვედრისას შეთანხმდა. როგორც მე დავრწმუნდი რამდენიმე გამოსულიდან საკონსულტაციო შეხვედრაზე, ბევრი რამ, რაც ამ შეხვედრაზე ითქვა, ჩვენს მოსაზრებებში წარმოდგენილია. სამწუხაროდ ამის დაბეჭდვა და გამრავლება არ მოესწრება. თუ პარლამენტი ხვალ აპირებს მუშაობას, ამაღამ იმუშავებენ, თქვენ შეგიძლიათ კიდევ ერთხელ ნახოთ, კიდევ ერთხელ გაეცნოთ და ხვალისათვის, თუ ისეთი აუცილებელი ცვლილებები იქნება შეტანილი, შეიძლება ამოხსნა გაკეთება თუ არა და დღეს გადავწყვიტოთ ეს საკითხები. აი, როგორ გამოიყურება, ჩვენი წარმოდგენით, მინისტრთა კაბინეტი. როცა მე კაბინეტზე ვლაპარაკობ არ მაქვს მხედველობაში, რომ აქ ჩამოთვლილია დეპარტამენტები, რომ ეს დეპარტამენტები და მათი უფროსები ითვლებიან კაბინეტის წევრებად. არ ითვლებიან. და თუ პარლამენტი ჩათვლის, რომ რომელიმე დეპარტამენტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის უნდა იყოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, მაშინ შეიძლება განვიხილოთ საკითხი, დეპარტამენტი კი არ დაერქვას, არამედ სამინისტრო და სამინისტრო, ბუნებრივია, იქნება წარმოდგენილი კაბინეტის შემადგენლობაში. ყველაზე მწვავედ აქ იდგა საკითხი, ხომ არ დაიკარგა რეფორმები, რეფორმებზე ვიზრუნვა, ეს მიმართულება თავისთავად და იმ ბიროვნებასთან, რომელიც უნდა გაუძღვეს ეკონომიკურ სამსახურებს, ფინანსებს და რეფორმებს, იქნება თუ არა დაკავშირებული ეს უმთავრესი მოვლენა ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამიტომ ასეთ მოსაზრებას შემოგთავაზებდით. ვრჩებით იმ პოზიციაზე, რომ პირველი მოადგილეები არ იყოს, - არც ერთი და არც მრავალი. მაშინ იქ სხვა უხერხულობები იქნება მრავალი. ამიტომ ასეთი მიდგომა მისაღებია. თუ საკითხი დაისმება ვინ უნდა შეცვალოს პრემიერი როცა ის ადგილზე არ არის, ეს ძნელი გადასაწყვეტი არ არის. ის მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ ვის დაევალება ამ მოვალეობის შესრულება დროებით, - რომელ ვიცე-პრემიერს, ან რომელ მოადგილეს. აი, ეს ბლოკი, რეფორმებთან დაკავშირებული, - ეკონომიკური და საფინანსო, - ჩავთვალოთ, რომ პირველ პლანზეა. თუმცა მე ამას მნიშვნელობას არ ვაძლევ. მოდიო, ბლოკებს ნუ დავნომრავთ. დანომვრაც არ არის ჩემი აზრით პარლამენტის საქმე. წარმოვიდგინოთ, ასე, ვიცე-პრემიერი, რომელიც ახლა ასე თუ ისე ხელმძღვანელობს რეფორმებს, მასთან არსებობს შტაბი. თუ შტაბი უხერხულად უღერს, შეიძლება დავარქვათ რეფორმების პრობლემათა კომისია ან სხვა სახელწოდება. შევიმუშაოთ ამ კომისიის დებულება და დავამტკიცოთ



ეს, თუ საჭიროა პარლამენტის სხდომაზე და ეს ბლოკი დაიწყოს სწორედ ამით — სარეფორმო შტაბი ან სარეფორმო კომისია, რომელშიც შევა ყველა თანამდებობის პირი, მათ შორის ვიცე-პრემიერიც, რომლებიც დაკავშირებული არიან რეფორმებთან. მაშინ ყველა პრობლემა მოიხსნება. პრაქტიკულად მე იმის მომხრეც ვიყავი ასეთი შტაბის, ასეთი კომისიის ხელმძღვანელი პრემიერ-მინისტრი ყოფილიყო. მე კიდევ ვიმეორებ, რომ მთელი მინისტრთა კაბინეტის ძირითადი ამოცანა სწორედ რეფორმები გახლავთ. რეფორმა და მთელი ეკონომიკის გადაყვანა ახალ რელსებზე. მაგრამ ხელმძღვანელობა რომ უფრო კონკრეტული იყოს, ამიტომ ჩემი აზრით სჯობს, რომ სწორედ ვიცე-პრემიერთან იყოს ასეთი სპეციალური ინსტიტუტი, ეკონომიკის სამინისტრო ამ ბლოკში. ამის თაობაზე სხვადასხვა აზრია, — რომ ეს ყოფილი საგეგმო კომიტეტი და ა.შ. ჩვენ თუ წარმოგვიდგენია, რომ გარკვეულ ეტაპზე ამ სამინისტრომ უნდა იარსებოს. ყოველ შემთხვევაში აი ის ხალხი, რომელნიც უშუალოდ ჩართულნი არიან ეკონომიკის მართვის პროცესში და, პირველ რიგში, თენგიზ სიგუა და სხვებიც ავლიან, რომ ამ ეტაპზე ამ სამინისტროს არსებობა აუცილებელია. სხვა ისეთი ორგანო, რომელიც მოახერხებდა ერთ ხელში ყოფილიყო კონცენტრირებული ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება. თუმცა ანალიზი შეიძლება სტატისტიკაშიც იყოს, წინადადებები მთავრობისათვის, პრემიერ-მინისტრისათვის, მინისტრთა კაბინეტისათვის და ა.შ. ჯერჯერობით არ არსებობს. აქ სწორედ კონცენტრირებული და კომპლექსური თავმოყრაა. დღეს ეს აუცილებელია. გარკვეული დროის შემდეგ ეს შეიძლება აღარც იყოს საჭირო. ფინანსთა სამინისტროსთან ნაგულისხმევია ფინანსთა სამინისტროსთან და არა სამინისტროები — ასეთია ბატონ რომან გოცირიძის მოსაზრებაც, ბატონ თენგიზ სიგუასი და სხვების, რომ იარსებოს საგადასახადო დეპარტამენტი. აქ ხშირად იხმის ბევრ ქვეყანაში როგორ არის? უმრავლეს ქვეყანაში ეს ფინანსთა სამინისტროები არის, როგორც ერთეული. აქ შეიძლება რომელიღაც ეტაპზე სხვა გადაწყვეტილება მიიღეს, არ ვიცი რამდენად გამართლებული იყო, რომ ეს, როგორც ქვედანაყოფი, შესულიყო სამთავრობო სტრუქტურებში. ჩვენ ვთვლით, რომ ეს უნდა იყოს ფინანსთა სამინისტროს ხელში. ერთ-ერთი ინსტრუმენტი იმისა, რომ ბიუჯეტი სრულდებოდეს. შემოსავლებზე კონტროლი. შემოსავლები არ დაიფაროს, ახლა ამან მიიღო მასობრივი ხასიათი. ამიტომ ფინანსთა სამინისტრო, რომელიც ყველაზე მეტად დაინტერესებულია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებით, ეს ინსტრუმენტი უნდა გააჩნდეს აუცილებლად, რეალურად. მე ასე წარმოგიდგენია, — ეს იქნება კოლეგიის წევრი, ან სხვა რანგში და ფინანსთა სამინისტროსთან იმუშავებს. მე პირადად, ვერ ვეთანხმები მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ

საგარეო-ეკონომიკური კომიტეტი, რომელიც ჩვენ შევექმენით და რომელზეც გარკვეულ იმედებს ვამყარებდით და ახლაც ვამყარებთ, ჩამოვაქვეითოთ ის და დავარქვათ დეპარტამენტი ან სხვა რაღაცა. იცით მოვა დრო, როცა ყველა უწყობა, ყველა სამინისტრო გაივლის ამ სკოლას უცხოეთთან თანამშრომლობისა და იქნებ არ იყოს საჭირო ასეთი კომიტეტი; მაგრამ ახლა ჩვენ პროფესიონალები გვჭირდება, თუნდაც კონსულტაციებისათვის, კოორდინაციისათვის, თუნდაც იმისათვის, რომ საერთაშორისო ორგანოებთან, ინსტიტუტებთან, მხედველობაში მაქვს მსოფლიოს ბანკი და სხვა სავალუტო ფონდი და ეროვნული სტრუქტურები, მათთან თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება შევიძინოთ. და რამდენადაც ექნებათ გარკვეული პირადი კონტაქტები, თუ გნებავთ. არ, ასეთი მუშაობა დაიწყოს. ამიტომ ჩემი აზრით, როგორც საგარეო-ეკონომიკური კომიტეტი, ან სამინისტრო ასეთი ერთეული უნდა შევინარჩუნოთ. ჩვენ ასეთ დასკვნამდე მივედით.

ვაჭრობის სამინისტრო. და აქ თქვენ მიაქცევდით ყურადღებას ბატონმა თენგიზმა ბრძანა, რომ აქ, როგორც დეპარტამენტი, ვაჭრობის სამინისტროში შევა მატერიალურ-ტექნიკური მოჭარბების დეპარტამენტი. მე მგონი ეს გამართლებულია. თქვენ იცით მთელი სისტემა იყო მატერიალურ-ტექნიკური მომარბაგებისა, ამის ნახევარი სამმართველო და მომმარბაგებელ სისტემები აქ იყო სწორედ გაერთიანებული. ახლა მან თავისი მნიშვნელობა დაკარგა და მე მგონი გამართლებული იქნება ვაჭრობის სამინისტროსთან გაერთიანება.

სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი. არის მოსაზრებები დაერქვას სამინისტრო, არის მოსაზრებები შევინარჩუნოთ როგორც არის. ჩემი აზრით სახელწოდებაში არ არის საქმე. თუ საჭიროა, რომ მისი სტატუსი ავამაღლოთ, ალბად შესაბამისად დებულება უნდა დავამუშაოთ და მივცეთ ის უფლებები, რაც საჭიროა ამ უწყებებისათვის, პრინციპში იგი ამ ბლოკში დარჩება.

საბაჟო დეპარტამენტი. მე მგონი ესეც ამ ბლოკში უნდა იყოს. ძალიან მნიშვნელოვანია თავისთავად, რომელმაც თავისი ადგილი ვერ იპოვა, უნდა ვთქვათ პირდაპირ. შემდეგში შეიძლება დაპარაკი, ახლა კი დეპარტამენტი საკმარისია. მე იმის მომხრე ვარ, რომ როცა ჩამოთვლა იქნება, ამას მნიშვნელობა აქვს არა მარტო პრაქტიკული მუშაობისათვის, არამედ იმისათვის, რომ საზოგადოებას წარმოადგენა შექონდეს ვინ, რომელი მოღვაწე, რაზე აგებს პასუხს, რომელ სისტემებზე, რომელ უწყებებზე. ამიტომ ჩემი აზრით აქ უნდა დავმატოს, როგორც ცალკე მონაკვეთი, საბანკო



სისტემები. ახლა მე ვიცი შემდეგებით, რომ ეროვნული ბანკი სიმბარ-  
 ლამენტს ექვემდებარება. მე სხვასთან დაკავშირებითაც მექნება ეს სა-  
 კომბო. ის, რომ პარლამენტი ნიშნავს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და  
 კოლეგიას, ჩემი აზრით ეს არ ნიშნავს იმას, რომ პარლამენტი მართავს  
 ეროვნულ ბანკს. არც მთავრობა არ მართავს. ეს დამოუკიდებელი წარმო-  
 ნაქმნია, მაგრამ ისეთი სისტემა, ისეთი ინსტიტუტია, რომელიც ყოველდ-  
 დღურ კავშირში არის მთავრობასთან, ამ ბანკის გარეშე წარმოუდგენელია  
 ნორმალური ფუნქციონირება ისევე, როგორც სხვა ბანკები, დაკავშირებულია  
 სამთავრობო სტრუქტურებთან. აი, ამიტომ ჩემი აზრით უნდა აღინიშნოს სა-  
 ბანკო სისტემები. ამ ბლოკში ერთიანდებიან საბანკო სისტემები. მე მგო-  
 ნი ან გარეშეაწევი იხილ, რომ ეს გამოითქვას აქ საკონსულტაციო შეხ-  
 ვედრაზე.

სტატისტიკის სამმართველო. სტატისტიკის და ანალიზის არა ბატონო  
 თენგიზ? ასე ითქვას ან სხვა რაღაც მოსაზრება. ის, რომ ჩვენ ვამტყი-  
 ცებთ სტატისტიკის სამმართველოს ხელმძღვანელს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ  
 ის არ შედიოდეს სამთავრობო სტრუქტურაში. აი, ამიტომ ამ ბლოკის შემად-  
 გენელი ნაწილიც უნდა იქონიოს სტატისტიკის სისტემა. სტატისტიკის და ანა-  
 ლიზის სისტემა, - ასე გამოიყურება ეს ბლოკი.

მრეწველობის სამინისტრო. მე ვერ დავეთანხმები იმ მოსაზრებებს,  
 რომელიც აქ გამოითქვას - გავაერთიანოთ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია  
 მრეწველობასთან; ვთქვათ კვების მრეწველობა და ა.შ. არ იქნება ეს სწო-  
 რი. მოვა დრო ალბათ, როცა ერთი მრეწველობის სამინისტრო იქნება და  
 ამით დამთავრდება ყველაფერი. მაგრამ ახლა ეს სწორი არ იქნება, პრაქ-  
 ტიკულად ასეთი მოცულობის დაძლევა ახლა, ერთი სისტემის ხელმძღვანე-  
 ლობით, შეუძლებელია. ამიტომ ეს სამინისტრო უნდა შევინარჩუნოთ.

სათბობისა და ენერგეტიკის. აქ უფრო რთულად არის საქმე. რატომ?  
 სათბობისა და ენერგეტიკის სისტემაში, ყოველ შემთხვევაში აქამდე ასე  
 იყო, ნაგულისხმევია საქვენერგო, გაზის ორი სამმართველო, ერთი ექს-  
 პლუატაცია მეორე მაგისტრალური გაზსადენები, ნავთობის მოპოვებასთან  
 და გადაამუშავებასთან დაკავშირებული სტრუქტურები, საქნახშირი. საქვენერ-  
 გოს ხელმძღვანელობა, თქვენ იცით ერთ-ერთი ძირითადი რგოლია, კატეგო-  
 რიული წინააღმდეგია ასეთი სამინისტროს შექმნისა. და შეიძლება პარ-  
 ლამენტი თუ გადაწყვეტს, კიდევ მოფუსმინოთ მას; ჩემი გამოსვლის შემ-  
 დეგ, რამდენაღ მისაღები იქნება მისი არგუმენტები. ზოგიერთ შიგა მო-  
 დერნიზაციაზე ჩვენ პრინციპული გადაწყვეტილებები მივიღეთ. მაგალითად



ორი სისტემა გაზის მიწოდებისა და ექსპლუატაციისა აუცილებელი არ არის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იქნება ერთი. ერთი რესპუბლიკის გაზით უზრუნველყოფის სისტემა — კორპორაცია ალბათ ან დეპარტამენტი. საქენერგო — დეპარტამენტი; საქნავთი — მხედველობაშია ცალ-ცალკე ყველა. საქნავთის სისტემაში ალბათ ეს კორპორაცია იქნება მოპოვება; გეოფიზიკა, რომელიც ახლაც ცალკე ერთეულად არსებობს; მაგისტრალური ნავთსადგური, რომელიც ახლაც ცალკე ერთეულად არსებობს; ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა; მე ხაზს ვუსვამ კორპორაცია, ე.ი. იმათ ავტონომიას არ ეხება ეს. მაგრამ იქნება საერთო კოორდინაცია, საერთო პოლიტიკა. ბათუმშივე არის გადამტვირთავი ბაზა, რომელიც პრაქტიკულად ყველაფრის ნაღებს ხსნის, აი, ამ ბათუმის ქარხნის მუშაობის შედეგების და სხვა, ე.ი. გატანა ნავთობისა ამ ბაზასთან არის დაკავშირებული. აი, ასეთი კომპლექსი შეიქმნება დაკავშირებული ნავთობთან. გარდა საქენერგოსი, ამ უწყებების ხელმძღვანელები თვლიან, რომ ფუნქციონალური დანიშნულებით სამინისტრო შესაძლებელია იყოს. საქენერგოს მიაჩნია, რომ ეს ხელს შეუშლის. როგორც კომპრომისული, შემდეგ ასეთი წინადადება შემომეტანა, თუ მისი არგუმენტები მისაღები იქნება, თქვენ თუ მოუსმენთ, — იქნება სამინისტრო თუ არა, მე ამასაც პრინციპში მხარს ვუჭერ, კომიტეტი იყოს, პრობლემათა კომიტეტი. ძირითადად კოორდინაციისათვის — აი, ეს ალბათ კიდევ მსჯელობის საგანი უნდა იყოს და საბოლოო გადაწყვეტილებამდე ერთად მივიდეთ. შეიძლება კენჭისყრაზე დაისვას.

არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრო. განსაკუთრებული დავა არ გამოუწვევია ამას.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო. მე დღეს გამოსვლაში მოგახსენეთ, რომ ამ ეტაპზე ამ სამინისტროს შენარჩუნება სწორედ იმ პროცესების ბოლომდე მისაყვანად, რომელიც დაწყებულია, აუცილებელია. გარკვეული დროის შემდეგ ალბათ, ასეთი აუცილებლობა არ იქნება.

კავშირგაბმულობის სამინისტრო არ იწვევს დავას. საჰაერო ტრანსპორტი დეპარტამენტის დონეზე, — დიდი დარგია. საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტი. დღეს მე მოგახსენეთ, 2 დიდი დარგია აქ ძალიან. შეიძლება დეპარტამენტი, შეიძლება სხვა სახელი მოგვეძებნა. პრაქტიკულად ეს ფლოტია, სამოქალაქო ფლოტი. შეიძლება დარჩეს დეპარტამენტი, სახელის შეცვლა ყოველთვის შეიძლება. შემდეგ აქ არის გეოლოგია.

რკინიგზის დეპარტამენტი. იყო აქ წინადადება, რახან არის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, რკინიგზა არანაკლებ მნიშვნელოვანია და შეიძლება იყოს სამინისტრო. სწორია?

### დარბაზიდან. სწორია.

ბატონი ლევანი ზის აქ, ძველი რკინიგზელი და ყველაზე მეტად მისი ხმა ისმის—სწორიაო. ღღევანდელი მამულებების მიხედვით შეიძლება არ იყოს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ასე არ იქნება სულ. მოძრაობა გაიხსნება, ძალიან დიდი ტვირთი იქნება, დიდი მომავალი აქვს რკინიგზას, თუ განვითარდება ჩვენო ურთიერთობა ირანთან, უფრო შორსაც, რუსეთის გადაზიდვები, აქაც გარკვეული პერსპექტივებია. ამიტომ შეიძლება გვიფიქრა სამინისტროზეც. თუ ძირითადად ვუჭერთ მხარს, მაშინ ჩავწერთ სამინისტროს.

გეოდეზიაზე მიიხარით. აი აქ, რესპუბლიკური გაერთიანება, ტექნიკური ზედამხედველობა და სხვა, ეს უნდა დარჩეს დეპარტამენტად. ეს განსაკუთრებული სამსახურია და უნდა შევინარჩუნოთ. გუშინ იყო ასეთი ლაპარაკი აქ საგზაო დეპარტამენტზე. საგზაო მშენებლობაზე. მომავალში ალბათ კიდევ დასჭირდება დაბრუნება, იმდენად მნიშვნელოვანი მიმართულებაა, მაგრამ ჯერჯერობით ამით დავკმაყოფილდეთ.

შემდეგ ერთ-ერთი ბლოკი-იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა. ჩვენ აქ შევიტანეთ ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, მატერიალური რეზერვები და მუდმივი წარმომადგენლობა. მე ვინდა აქ შემოგთავაზოთ ასეთი რამ. ჯერ ერთი, ეს კომიტეტი უნდა დარჩეს, ამას ყველა ვეთანხმებით, ეროვნებათაშორისი ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, რომ სამთავრობო სტრუქტურაში უნდა იყოს, მე ამ მოსაზრებას ვიზიარებ. ახლა ვიცე-პრემიერის ამბავი. აქ დაისვა საკითხი, თუკი თავდაცვის მიმართ გავაკეთებთ რაღაც გამონაკლისს და ამ ეტაპზე არ განვიხილავთ საკადრო საკითხებს და ა.შ., რატომ არ შეიძლება ასეთი გამონაკლისი აი ამ კომიტეტის მიმართაც. მე ვინდა გითხრათ, რომ თუ არის ისევე სტატუსზე და დანიშნულებაზე ლაპარაკი, ჩვენ შევიმუშაოთ ისეთი დებულება, რომელიც ამ კომიტეტს სხვა სამინისტროებზე და კომიტეტებზე მაღლა დააყენებს თავის დარგში. და მას მისცემს უფლებას მოიწვიოს ის, ვინც საჭიროა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. ეს იქნება არა მარტო კოორდინატორი, არამედ განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი კომიტეტიც. და მე ისიც მოგახსენეთ, გადაწყვეტილება არ მნიშვნავს საბოლოო, მაგრამ მე პირადად ვფიქრობ, რომ ამ კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს უშიშროებისა და თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს წევრი. ეს თავისთავად განსაკუთრებული

სტატუსია. ახლა რატომ ერთ გამონაკლისს ვაკეთებ და სხვას არა. მაშინ ძალიან მწვავედ დაისმება საკითხი. დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ვიცე-პრემიერია, პირველი ვიცე-პრემიერია, მოსკოვში წარმომადგენელი ვიცე-პრემიერია. კიდევ არის ერთი რომელიღაც, აი ამიტომ მე მგონი, რომ ფაქტიურად სტატუსი ავწიოთ, ჩვენ ავამაღლოთ და თვითონ კომიტეტი შევინარჩუნოთ სამთავრობო სტრუქტურებში.

კიდევ ერთი მოსაზრება, რომელშიც გთხოვთ მხარი დაგვიჭიროთ. პრინციპულად არ იქნება სწორი რომ სადაზვერვო და საინფორმაციო სამსახური დავტოვოთ, ვთქვათ, მარტო აი, პარლამენტის ამარა. ჩვენ, ვახსოვთ, სახელმწიფო საბჭოზე დავადგინეთ, რომ მას ამტკიცებს სახელმწიფო საბჭო და ის მუშაობს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით. ის პრეზიდენტში არ არის. ჩვენ, მე და ბატონმა თენგიშმა, ვნახეთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყნის სტრუქტურა. ყველა ქვეყანაში სადაზვერვო სამსახურს სხვადასხვანაირად ჰქვია. შედის სამთავრობო სტრუქტურაში. პარლამენტის კონტროლი სადაზვერვო სამსახურზე გარანტირებულია იმით, რომ მისი ხელმძღვანელი დაინიშნება, დამტკიცდება პარლამენტის მიერ, სახელმწიფოს მეთაურის წარდგინებით და შესაბამისი კომისიები აწესებენ მეთვალყურეობას. ასეთი რამ ითქვა. რატომ არ შეიძლება სადაზვერვო სამსახური უშუალოდ დღესვე მიეპაროს სახელმწიფოს მეთაურს და არ შევიდეს ამ სტრუქტურაში. ჩემი არგუმენტი ასეთია, რომ ეს ნიშნავს პრაქტიკულად იმ მდგომარეობის აღდგენას, ისეთივე მდგომარეობის დაწესებას, ისეთივე პრივილეგიების, რომელიც გააჩნია აი ყოფილ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს, რომელიც ცნობილია მარტო ერთად-ერთ კაცს და ზოგჯერ იმასაც არ ცნობდა.

/წამოძახილი დარბაზიდან/.

ეს თქვენ ამბობთ ფართო გაგებით. აი ამიტომ მე თავისთავად ეს ამბავი, რომ დღემორჩილოს სახელმწიფოს მეთაურს და არ შევიდეს სამთავრობო სტრუქტურებში, ეს მე მთლად სწორად არ მიმაჩნია. მე წუდან ვთქვი ისიც, რომ თუ ჭკვიანი კაცია სახელმწიფოს მეთაური და ჭკვიანია სადაზვერვო სამსახურის უფროსი, თვითონ მიხვდებიან რა საკითხები არის ერთმანეთთან შესათანხმებელი, რა არის გასატანი სხვაგან და ამ დონეზე უნდა იყოს განხილული. და თუ არ არიან ჭკვიანები, მაშინ არც ერთი და არც მეორე არ უნდა გვყავდეს. სტრუქტურადაც გამოყოფა დღეს მთლად სწორი არ უნდა იყოს. თუ დამეთანხმებით, მაშინ ესეც აი იმ ბლოკში შევა, რომელიც გადის უშუალოდ პრემიერ-მინისტრზე. აი ის სამსახურები, რომელიც ჩამოგითვალეთ ეხლა.

განათლების სამინისტრო. არ არის სადავო მე მგონი. კულტურის სამინისტრო. როგორ გამოიყოფა ვთქვათ კინემატოგრაფი. ეს ცალკე ვილა-პარაკოთ და ცოტა მოგვიანებით დაფუძრუნდეთ და ცალკე მივიღოთ გადაწყვეტილება ან კანონში ჩაგდოთ. ჯერჯერობით მე ვგულისხმობ, რომ ეს ერთი კომპლექსია.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ცალკეა წარმოდგენილი. საკონსულტაციო საბჭოს მიერ გამოთქმული წინადადება ემთხვევა ჩვენსას, მაგრამ არა ყველა. სოციალური უზრუნველყოფის მე ვფიქრობდი სოციალური დაცვის, მაგრამ სოციალური დაცვა უფრო ფართო ცნებაა. სოციალური უზრუნველყოფის, შრომის და დასაქმების სამინისტრო. შეიძლება სხვანაირადაც იყოს - მარტო სოციალური უზრუნველყოფის, მაგრამ მე ვგულისხმობ, რომ სოციალურ უზრუნველყოფაში და, რა თქმა უნდა, სოციალურ დაცვაში, პირველ რიგში პენსიებისა, დახმარებისა და სხვადასხვა, რა თქმა უნდა შრომისა და დასაქმების პრობლემები უნდა იყოს წარმოდგენილი.

ამავე ბლოკში, ნაგულისხმევი არის სპორტის კომიტეტი, შემოგვთავაზებს სამინისტრო, ბატონმა ჯანსუღმა შემოგვთავაზა. მე ვფიქრობ კომიტეტი საკმარისია ალბათ.

დარბაზიდან. ფიზკულტურისა და სპორტის.

/კამათი დარბაზში/.

ეს ბატონმა ალექსანდრემ შემოგვთავაზა ჩვენ, რომელიც მუშაობს კათედრის გამგედ ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტში, ასე ვთქვათ თუ არ ვცდები. მე დაგბრუნდით წუხედ, შეგხვდი იქ კოლეგებსო და გამოითქვა საერთო მოსაზრებაო, რომ იყოს ეს ერთად. შეიძლება გიდავოთ - შეიძლება იყოს, შეიძლება არა. მთავარია, რომ იყოს პრობლემა წარმოდგენილი კომიტეტით. აქ ჩვენ გადავზოგდით ტურიზმის. მე წედან არ დავასახელებ, ის სხვა ბლოკში იქნება, მაგრამ რახან ძველი ჩანაწერია, უფრო სწორად ტურიზმის დეპარტამენტი. გამოითქვა აზრი არა უსაფუძვლოდ, დასაბუთებულად რომ იყოს ტურიზმის სამინისტრო. თავიდანვე შევექმნათ ტურიზმის სამინისტრო. ეს სიტყვა ასე იყოს, მაგრამ ჩვენი მაშტაბებისათვის იმ გიგანტური პერსპექტივის გათვალისწინებით, რომელზე გააჩნია ამ დარგს, ამ სისტემას და შევიდეს ეს აი, პირველ ბლოკში, დაკავშირებული ეკონომიკასთან, ფინანსებთან და ა.შ. შერდევ აქ ჩვენ გვქონდა ბევრდობი სიტყვის კორპორაცია არა იმიტომ, რომ დავამტკიცოთ მისი ხელმძღვანელობა, არამედ იმიტომ, რომ წარმოდგენა გვქონდეს. აქ შემოგვთავაზებს საკონსულტაციო შეხვედრაზე პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის



ქართული ენციკლოპედია

კორპორაცია და ტელევიზია და რადიო-მაუწყებლობა, ისიც კორპორაცია რატომ, კორპორაციას ვუსვამ ხაზს, იმიტომ, რომ ამით საფუძველი ეყრება სახელმწიფო მონაპოლია რომ დამთავრდეს. ჯერ-ჯერობით სახელმწიფო მონაპოლია თქვენ იცით, მაგრამ თუ იქნება კორპორაციის პრინციპები, მაშინ ექნება გარკვეული წვლილი სახელმწიფოს, მაგრამ მოიძებნება ორგანიზაციები, დაწესებულებები, რომლებიც თავის წვლილს შეიტანენ ამ სისტემების განვითარებასა და უზრუნველყოფაში.

და ციდეც ვრთი, ერთი ბლოკი. ეს არის აგროსამრეწველო, როგორც იყო ადრე ნათქვამი, ახლა სხვა დარგით. მე კვხოვთ მხარი დაუჭიროთ იმას, რომ შეუწინარჩუნოთ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ამ ეტაპზე არა იმიტომ, რომ ჩვენ ინტეგრაციის წინააღმდეგი ვართ, არამედ იმიტომ, რომ სოფლად ამ გარდამავალ ეტაპზე უამრავი პრობლემაა დაგროვებული თითოეულ კომლთან, თითოეულ ნაჭერ მიწასთან, რომელიც გლებმა მიიღო. მე არ ვამბობ შემთხვევით, რომ აჭარის მთიანეთში და სხვაგან გოჯა მიწა შეხვდა გლებს და მეტი არაფერი. აი, იქაც უნდა მივიდეთ, იმასაც უნდა მივწვდეთ. შირაქსაც უნდა მივხედოთ, სადაც შეიძლება 50-100 ჰა შეხვდა გლებს ზოგს მეტი ზოგს ნაკლები. ყველაფერ ამას გათვალისწინება უნდა. შხამქიმიკატების პრობლემა, თესლის პრობლემა და სხვა უამრავი რამ, რომლის იგნორირება ეხლა ჩვენ ძვირად დაგვიჯდება. მე მგონი სწორედ იმისათვის, რომ პრივატიზაციის პროცესი კვების მრეწველობაში განხორციელდეს ნორმალურად და კვების პროდუქტები, როგორც არის ღვინო, ღვინის პროდუქტები, კონიაკი, ჩაი, რომლის წარმოება მცირდება და გადამუშავება მცირდება, ციტრუსები და სხვა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ამ პროდუქტების საშუალებით შემოვიტანოთ სხვა ჩვენთვის საჭირო პროდუქტები. ჩემი აზრით ამ ეტაპზე კვების სამინისტროს შენარჩუნება აუცილებელია. ივარგებს, არ ივარგებს, შეიძლება ვიდავოთ, მე მოგახსენებთ ჩემს აზრს; ჩვენ ამას წინათ შევიკრიბეთ ციტრუსების მოსავლის დაზინავენასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ ჩვენ ამისათვის არა ვართ მზად. მოსავალი ასაღებია და ჩვენ არა ვართ მზად. მე დავსვი კითხვა - გვექონდა თუ არა რაიმე მოლაპარაკება სხვა ქვეყნებთან? ეს უნდა დაგვეწყო გაზაფხულზე და არა დღეს. არავისთან არაფერი მოლაპარაკება არ ყოფილა. ახლა ირკვევა, რომ ყაზახეთში არის ვიდავა, გისაც აქვს სურვილი 1 კგ. ციტრუსში მოგვცეს 3 კგ. მარცვალი. მისაღებია, მაგრამ არავინ ამით არ დაინტერესებულა. ახლა ვეძებთ შექარს იმისათვის, რომ ციტრუსები გადავა-მუშავოთ. მე რე ვიკითხე - გვაქვს თუ არა რაიმე გარიგებები? რამდენი გვაქვს ღვინო, მანჯლა და ამ მასალის საფასურად, სამაგიეროდ, რამდენს შემოვიტანთ მარცვალს და სხვა? ასეთი ანგარიშები არა გვაქვს. ახლა



ყველაფერი ეს ჩავყაროთ ერთ სისტემაში - ეს იქნება ძალიან ძნელი. ნუ ვიჩქარებთ ამაზე. შეერთება შეგვიძლია ყოველთვის. ჯერ-ჯერობით მე მგონი იჩქარება არ შეიძლება. ნაგულისხმევია გარემოს დაცვა ამ ბლოკში იფოს, მაგრამ სხვა მოსაზრებაც არის რომ დაუკავშირდეს მე-2 ან მე-3 ბლოკს. მე გთხოვთ ამასაც ტყე ნუ მივიღებთ. პრემიერ-მინისტრს უნდა შექონდეს უფლება ერთი სისტემა მეორე ბლოკში გადაიტანოს, როცა ეს საჭირო იქნება. ბატონი თენგიზი საკონსულტაციო საბჭოზე აღშფოთდა ერთ საკითხთან დაკავშირებით, რომ ლამის კანცელარიის გამგე დაუუმტკიცეთ და ა.შ. სამინისტრო თუ რომელ ბლოკში იქნება ეს თუ არ გადაწყვიტა, მაშინ რაღა მთავრობაა? ამიტომ მივიღოთ ისუ, რომ შეიძლება დღეს ამ ბლოკში იყოს, ერთი თვის შემდეგ შეიძლება სხვა ბლოკში გადავიტანოთ. და ეს სათანადოდ გამოქვეყნდება.

მიწის რესურსების და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტი.

ღარპაზიდან. რეფორმა არ არის.

რეფორმა არ არის, მიწის რესურსების და კიდევ რაღაცა. ეს ის სისტემა არის, რომელსაც კოლუაშვილის სახელი ექვია. ასე უფრო გასაგებია. არის მოსაზრებები, რომ არ არის საჭირო. მე გთხოვთ არსებული სხვა დანგრევას. ძალიან გთხოვთ ფრთხილად მოვეციდეთ. აი, ეს პრივატიზაციის ტემპები, აგია თუ კარგია, თანისთავად ეს მოვლენა ასეთი დაჩქარებით რომ განხორციელდა; მე მგონი ამ კომიტეტის გარეშე არ ყოფილა. ნურავინ ნუ ჩათვლის, რომ ეს პროცესი დამთავრდა, არ არის ეს დამთავრებული. ჩვენ კიდევ ბევრ წინააღმდეგობებს წაგაწყდებით. ნაშდვილი წინააღმდეგობები, მე ვეტყვით ახალი სამეურნეო წლიდან დაიწყება. აი, ამიტომ ამის გაუქმებაზე თუ არ ვიჩქარებთ, სწორი ვიქნებით ჩემი აზრით.

სატყუო მეურნეობის კომიტეტი. კომიტეტზეა ლაპარაკი. შეიძლება და ყოფილიყო დეპარტამენტი ან სხვა რაღაცა, მაგრამ ტყე ეხლა შეიძლება აღმოჩნდეს კატასტროფის წინაშე. გარანაგების პირობა ტყე. უფრო სწორად დაიწყეთ ეს პროცესი. ამიტომ საჭირო იქნება სწორედ სახელმწიფოს თვალი და ყური იმისათვის, რომ ტყე დავიცვათ და გამოვიყენოთ სწორად. ეს უკვე თქვენი განსასჯელი იყოს.

მე მგონია რომ მოსაზრება ლეოლვილთა და განსახლების კომიტეტი, ასე თქვა არა პაატამ, ეს ძალიან მწვავე პრობლემა არის. ერთიც და მეორეც მე ასე წარმომედგინა, რომ აი, ამ ბლოკში, ყოფილიყო ეს. სწორედ იმიტომ, რომ რაც აუცილებელია დღეს ლეოლვილებისათვის - ფინანსური დახმარება და



სხვა. საფსევით შესაძლებელია ეს რომელ ბლოკსაც გინდათ დააფაღეთ. მაგრამ დაბრუნება, მათი მიწაზე დამკვიდრება, ვთქვათ აჭარრიდან ჩამოსახლების პრობლემა და არა მარტო აჭარრიდან და სხვა. მე მგონი ეს მაინც მიწასთან უნდა იყოს კავშირში, იმ ბლოკთან, რომელიც ასე თუ ისე მიწასთან, ჩვენს მარჩენალთან იყოს მიახლოებული. აი, ასეთი მონაცემები ჩამოყალიბდა იმის გათვალისწინებით, რაზეც ჩვენ ცალკე შეხვედრებში გვექონდა საუბარი და რის შესახებაც ჩვენ წარმოდგენა გვაქვს საკონსულტაციო შეხვედრის შედეგად.

მეცნიერების კომიტეტი, აღბაჟ ლაშარაძეა შევინარჩუნოთ ეს კომიტეტი.

/კამათი დარბაზში/.

ერთი წუთით. იყო წინადადება იმის თაობაზე, რომ პირველი ვიცე-პრემიერის პოსტი დავაწესოთ. მე უკვე გამოვთქვი ძალიან ბევრი უხერხულობები არის აქ, თუ გნებავთ, დაკავშირებული ცალკეულ მოღვაწეებთან და მოდიხნუ შედეგებით ამ სიძნელეს ახლა. მერე კი ცხოვრება გვიჩვენებს. იყო ასეთი მოსაზრებაც-ყველა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თუ არ ვცდები პატონი იოსელიანის მოსაზრება იყო, ყველა დეპარტამენტისა და კორპორაციის ხელმძღვანელი დაამტკიცოს პარლამენტმა. მე კიდევ გავიმეორებ, თუ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ დეპარტამენტი წარმოდგენილი იყოს კაბინეტში, როგორც მთავრობის წევრი, მაშინ დავარქვათ სამინისტრო და თავისთავად გადაწყდება საკითხი. მაგრამ ის, რომ ყველა დეპარტამენტის, კორპორაციის ხელმძღვანელი პარლამენტში ვაჰტკიცოთ, ძალიან გთხოვთ ამას ნუ გავაკეთებთ. და კიდევ ერთი თხოვნა. მოდიხ, ისე ავაწყოთ პარლამენტის მუშაობა და განსაკუთრებით კომისიებისა საკადრო საკითხებში, რომ კირკიმალი, როგორც იტყვიან, არ უნდა იყოს. პარლამენტმა პასუხი უნდა მისთხოვოს იმას, ვისაც ნიშნავს. და ეს პიროვნება თვითონ როგორ გაანაწილებს კადრებს, ვის შეარჩევს, ვის ენდობა, ეს მან უნდა გადაწყვიტოს. თუ ეს მოგვარდა, რაც იყო, რაც ხდება ხოლმე ხანდახან კომისიებში, რომ მინისტრი დარბის იმისათვის, რომ თავისი მოადგილის საკითხი ან სამმართველოს უფროსის საკითხი და სხვა კომისიის თავმჯდომარესთან შეათანხმოს, გეუბნებით, რომ პარლამენტისაგან არაფერი არ დარჩება. ეს არ განმეორდეს. სამინისტრომ უნდა იცოდეს, რომ აქ არის ფხიზელი თვალი, რომელიც არაფრით არ არის შეზღუდული, არავისზე დამოკიდებული არ არის. მე გაძღვეთ გარანტიას, რომ ეს სამინისტროები გაცილებით უკეთ იმუშავებენ და პარლამენტს თავისი ადგილი ექნება.

მე კანცელარიაზე აღარ ვილაპარაკებ, ჩვენ ვთქვით, რომ მას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს ყველგან. ეს დამხმარე სამსახურია და ასახვა აქ სულ არ არის საჭირო.

ებლი ექვთელ კიდევ მინდა დაფიქრებულად თავდაცვის ბლოკის საკითხს, იმიტომ, რომ ბევრი რამ არის დაფიქრებული ამ სისტემასთან. შეიძლება ეს ასე იყოს. პრინციპში გვეთანხმებით და მაღლობელი ვარ მხარდაჭერი-სათვის. იქნებ ასე იყოს, რომ ბლოკი დაგტოვოთ ასე, დანიშვნების საკით-ხი არ განვიხილოთ ამ უახლოესი 1-2 თვის განმავლობაში. ან შეიძლება ვთქვათ, რომ აი, ეს ასე შენარჩუნებულია იმ ვარაუდით, რომ მოგვიანე-ბით პარლამენტი დაუბრუნდება ისევ ამ საკითხს, როგორც სტრუქტურის სა-კითხს, ასევე საკადრო საკითხსაც. ცოტა ბურუსივით არის, მაგრამ ამჯერად ასეთი ბურუსი სჯობია.

პრემიერის შეთავსების საკითხებზე უკვე მოგახსენეთ. აი, აქ პატონ ვახტანგ ხმალიძის წინადადება არის. ახლა აფხაზეთში გამოყენებული არის ასეთი ინსტიტუტი - სახელმწიფო მინისტრი. იგი არის ცხინვალის ზონაში. შეიძლება სხვაგანაც დაგვჭირდეს ასეთი და იქნებ დაკანონდეს. განსაკუთ-რებულ შემთხვევებში, კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად, განსაზღვრული ვადით, პარლამენტის გალაწყვეტილებით შეიძლება დაინიშნოს სახელმწიფო მინისტრი. განისაზღვროს მისი უფლებამოსილება და აპარატი. ეს ალბათ დაგაღება მიეცემა და შემდგომში იქნება წარმოდგენილი. ეს თუ არ ცდებ-ბი პატონ ივლიანემატ დააყენა ამას წინათ, იმასთან დაკავშირებით, რომ ყველაფერი ნათელი არ არის რა უნდა გააკეთოს სახელმწიფო მინისტრმა აფ-ხაზეთში, სამაჩაბლოს ზონაში და ა.შ. თავისთავად თუ დამეთანხმებით ამ მოსაზრებას, მე ამას მოვესალმები. აი, რაც მინდოდა მომეხსენებინა. მე ზოგიერთ სქემებს, რომელიც წარმოადგინეს სხვადასხვა პარტიებმა, გავე-ცანი, ძალიან დიდი განსხვავებები არ არის. დეტალებზე შეიძლება კამათი პრინციპში ის, რაც წარმოდგენილი იყო, ძირითადად ამ მოსაზრებებში აი-სახა.

მე ვერ წარმოვედგინა, რომ მმართველობის, აღარ მახსოვს როგორ არის, საერთოდ მმართველობის კომისია არის, პატონი ირაკლი ხელმძღვა-ნელობს, თუ ადგილობრივი მმართველობის. იქნება ასეთი რამ მოხდეს ან ამ კომისიას მივცეთ საერთოდ მართვის სისტემათა რეფორმის ან მართვის სისტემათა სრულყოფის თუ ასე ვთქვათ, თუ ასეთია....

**დ. შენგველიძე.** ამ კომისიის ზუსტი სახელწოდება არის ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების რეფორმათა კომისია.

ე. შევარდნაძე. მე მინდოდა მეთქვა, — ჩაიწეროს ამ კომისიამ და ევალოს, თუ საჭიროა კიდევ გავაძლიეროთ ეს კომისიები, თუ საჭიროა მას იმის უფლებაც მივცეთ, რაც არა აქვს დღეს. ამ კომისიამ იმუშაოს ასეთ რეფორმაზე და სრულყოფაზე. და ვთქვათ ერთი თვის შემდეგ ასეთი რეფორმის პროექტი შემოგვთავაზოს. შეიძლება ეს იყოს ეტაპობრივი მიდგომა, შეიძლება იყოს ფუნდამენტური მიდგომა, აი, ასეთნაირად გავითვალისწინოთ, რომ ეს კომისია ხელისუფლებასთან ერთად იმუშაოებს და იზრუნებს მმართველობის სისტემის უზრუნველყოფისათვის. აი ასე ჩაიწეროს.

თ. გამყრელიძე. მე ვისარგებლებ იმით, რომ მე-3 მიკროფონი აქ ანთებული არის და იყო ერთი ალტერნატიული წინადადება ბატონო ელუარდ, — ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტთან დეკლარაციებით რამდენადაც ძალიან მნიშვნელოვანი არის ამ კომიტეტის არსებობა საერთოდ და ის ასახავს ფაქტურად აი, ახლა განსაკუთრებით მთელ მსოფლიო პოლიტიკაში გაძლიერებულ ტენდენციას ადამიანთა უფლებათა დაცვისა, როდესაც დღეს ახალი დემოკრატიული ადმინისტრაცია აცხადებს — ეს არის მისი ძირითადი, ასე ვთქვათ, მიმართულება პოლიტიკაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი აი, ამ კომიტეტის უშუალოდ დაქვემდებარება სახელმწიფოს მეთაურისადმი. მაშასადამე რაღაცნაირად ის შედიოდა მინისტრთა კაბინეტში და შედიოდა ადმინისტრაციულ სტრუქტურებში, მაგრამ უშუალოდ ექვემდებარებოდა სახელმწიფოს მეთაურს.

ე. შევარდნაძე. მე მოგახსენებთ ამაზე.

თ. გამყრელიძე. აი, ამ მთელს სქემაში, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურაა. ეს სქემა უნდა იწყებოდეს არა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრით, არამედ სახელმწიფოს მეთაურით, შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და უნდა იწყებოდეს, ასე ვთქვათ, სახელმწიფოს მეთაურით. დაქვემდებარება უშუალოდ მოხდება მაშინ.

ე. შევარდნაძე. მე მგონი ეს კანონითაც განსაზღვრულია. ახლა რაც შეეხება კომიტეტის უშუალოდ დაქვემდებარებას. მე მინდა მოგახსენოთ, რომ თავდაცვისა და უშიშროების საბჭო ეს განსაკუთრებული ორგანო უნდა იყოს, განსაკუთრებული ინსტიტუტი უნდა იყოს და მისი წევრობა თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ის უწყებანი, რომლებიც წარმოადგენილი არიან ამ საბჭოში, გარკვეულად, უშუალოდ ექვემდებარებიან იმ პიროვნებას, რომელიც თავმჯდომარეობს ამ საბჭოს, — სადაზვერვო სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო და ა.შ. ეს ის სამინისტროები და უწყებებია, რომლებიც უზრუნველყოფენ და გარანტიას იძლევიან ქვეყნის



უშიშროებასა და უსაფრთხოებაზე. ეს აძლევთ მათ, ჩემის აზრით, სამ განსაკუთრებულ სტატუსს.

დარბაზიდან. პარლამენტში ხომ არ შეიძლება იყოს კომისიაც და კომიტეტიც.

თ. გამყრელიძე. პარლამენტში რატომ უნდა იყოს! პარლამენტში კი არ უნდა იყოს, უნდა იყოს კომიტეტი აღმასრულებელ სტრუქტურებში, რომელიც დაექვემდებარება უშუალოდ მთავრობის მეთაურს. სახელმწიფოს მეთაური პარლამენტის მეთაური არ არის.

/კამათი დარბაზში/.

თაღმჯღღმარე. ბატონებო, ერთი წუთით. ჩვენ უკვე ორგანიზაციული სირთულე შეგვექმნა. ბოდიშს ვიხდი, გთხოვთ მომისმინოთ. ყურადღება იყოს. ქალბატონო ლუიზა გთხოვთ მომისმინოთ. ეხლა ორგანიზაციული სირთულე შეგვექმნა ჩვენ. აქ წერილები არის, სიტყვას ითხოვენ. მიხეილ ჯიბუტი წიდან უნდა გამოსულიყო და სხვებიც. თუ დაიძრან ერთი საღერდელი, მაშინ ყველას უნდა მივცეთ სიტყვა. მე ბოდიშს ვუხდი ყველას, ვინც იყო ჩაწერილი სიტყვაში და ვერ მივცით სიტყვაში გამოსვლის საშუალება. თანაგრძნობას რომ გვიწევთ, ამისათვის დიდ მაღლობას მოგახსენებთ, და იქნება ეხლა, ვინც ფეხზე დგებართ, მიკროფონებთან, ჩამოაყალიბოთ კენჭისყრამდე მომავალი პროცედურული გზა. თქვენ ამბობთ შეწყდეს და ეს ხალხი ფეხზე დგას.

/კამათი დარბაზში/.

მ. შევარდნაძე. მე გთხოვთ ერთ რამეს. გაიმიჯნოს კარგად შეკითხვა და გამოსვლა.

თაღმჯღღმარე. დიას.

მ. შევარდნაძე. შეკითხვა იყოს შეკითხვა. რა თქმა უნდა გამოსვლა უნდა იყოს გამოსვლა. ჩვენ შეზღუდვებს ვერ დავაწესებთ.

თაღმჯღღმარე. ეხლავე.

მ. შევარდნაძე. შეკითხვა, მხოლოდ შეკითხვა ჩემს მიმართ და ბატონი თენგიზის მიმართ.

თაღმჯღღმარე. ეხლა ვინც ფეხზე დგას, შევთანხმდეთ, დაგკმაყოფილებდეთ 2 ფრაზიანი შეკითხვით.

/წამოძახილი დარბაზიდან/.

თავმჯდომარე. შევთანხმდეთ, მაგრამ მე დეპუტატს შევკითხვას  
ღებას ვერ წავაბრებ.

/კამათი დარბაზში/.

თავმჯდომარე. მე-6 მიკროფონი.

დ.წიერედილი. მაპატიეთ, მაგრამ დეპუტატების მხრიდან ადგილი აქვს  
პარლამენტარების მხრიდან ადგილი აქვს ანაპატიოსან თამაშს. ჩვენ კაცუ-  
რად მოვილაპარაკეთ; ვინაიდან ეს არის დროებითი და გარდამავალი რეგლ-  
მენტი და შემოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან წინადადება, რომ  
2 თვეში მომზადდეს უფრო სრულყოფილი ვარიანტი, კეთილს გენებათ, ვინც  
ებლა მიკროფონთან დგებართ, კონსულტაციებზე უნდა მოსულიყავით, ისიც  
უნდა უზრუნველყოთ თქვენი პარტიის დიდერებს, პარლამენტში რომ ეს შე-  
მაღგენლობა ეხლა არ გამოსულიყო. ასე არ გათავდება ეს მუშაობა.

თავმჯდომარე. გმადლობთ.

დ.წიერედილი. ამიტომ მე მოვითხოვ, რომ გამოვიყენოთ ჩვენი უფლება  
და პირდაპირ კენჭისყრაზე დავაყენოთ საკითხი.

თავმჯდომარე. გმადლობთ. გასაგებია.

/კამათი დარბაზში/.

თავმჯდომარე. ვინც ვებზე დგებართ, ვისაც შევკითხვან გაქვთ, იქნებ  
გაუწიოთ ანგარიში, მე გთხოვთ, ყურადღება იყოს. ეს პროცესი ორი დღე  
მიმდინარეობს - განხილვა. ახლა შევთანხმდეთ, გთხოვთ მომისწინოთ.

გ.ლორთქიფანიძე. ეს აკრძალვა არის.

თავმჯდომარე. აკრძალვა კი არა, ზატონო გიგა, მე გთხოვთ ზატონე-  
ბი, რაბან ასეთი მოთხოვნა არის, დეპუტატები ვებზე დგანან, უმრავლესობის  
წინაშე მე შემოვდივარ თხოვნით თითო წუთიანი შეკითხვა მხოლოდ. თანახმა  
ხართ? დანარჩენებს ვთხოვთ, რომ მეტი აღარ იყოს. მე-5 მიკროფონი. შე-  
კითხვა მხოლოდ.

გამომსჯედილი. მე შევკითხვა არა მაქვს, მაგრამ აღწე განხილვის  
დროს გამოითქვა აზრი სოფლის მეურნეობის სამინისტროში უნდა გაერთიან-  
დეს ვადამიმუშავებელი მრეწველობა. კი ზატონო, კონსულტაციებზე შევთანხმ-  
დით, მაგრამ ზატონმა ეღუარდმა ბრძანა, რომ ეს უნდა გაიყოს. მე აღი-  
გენის წარმომადგენელი ვარ, გარკვეული გამოცდილება მაქვს ინდივიდუალ-  
ური მუშაობის, გლებური მეურნეობის და ვიცი რას ნიშნავს ამისი ცალკე  
გაყოფა. ეს კატეგორიულად მიუღებელი იქნება ადიგენის რაიონისათვის.

იმიტომ, რომ ეს არის მომსახურების სექტორი სოფლის მეურნეობის და დღეს  
ადიგენიდან ვაშლი იზიდება გორში, იმისათვის, რომ გადაამჭრის მდინარე  
მრეწველობა და ინტერესებული არ არის მოახდინოს ამისი გადაშენება.  
ეს უნდა შედიოდეს ერთ ინტერესებში.

თაღმჯღომარე. გასაგებია, მაგრამ გაითვალისწინეთ საკონსულტაციო  
შეთანხმებები და აზრების გამოთქმას ნუღარ... თუ შეკითხვა გაქვთ, კი  
ბატონო.

ე. შევარდნაძე. მე მათხივით ერთი წუთით. მე შემიძლია აქ 24 სა-  
ათი ვიდგე, მაგრამ ბევრი თქვენგანი ხშირად ახსენებს უცხოეთში ასეა  
და ისეა. არის გარკვეული წესი, თუ გაქვთ შეკითხვა იმ პირის მიმართ  
და საქართველში მეთაურის მიმართ, რომელმაც ინფორმაცია წარმოგიდგინათ  
და გამოთქვა თაღისი მოსაზრება, შეკითხვა შემოიტანეთ და გთხოვთ გააკე-  
თეთ ეს დროზე. ეს ერთი. მეორე, თუ კამათია საჭირო ვიკამათოთ. რამდე-  
ნიც გნებავთ, მხოლოდ მაშინ, როცა მე აქედან წავალ და თქვენ დაიკავებთ  
ამ ადგილს და გამოხვალთ საკამათოდ. აი ასეთნაირად. თუ არ დამკვიდრ-  
და რაღაც გარკვეული წესი, ისე არ შეიძლება. კაცი 4 საათი იდგე და  
არ იცი რისთვის დგახარ. ეს არ შეიძლება, რაღაც წესრიგი უნდა იყოს.  
ებლა შეკითხვა ვის აქვს.

თაღმჯღომარე. მე-3 მიკროფონი.

მ. ურიდია. კონსულტაციების დროს კომპრომისების შედეგად მიღწე-  
ული იქნა რამდენიმე კომპრომისი. მაინტერესებს რომელი იქნა გათ-  
ვალისწინებული თქვენს მიერ წარმოდგენილ სტრუქტურაში.

/კამათი დარბაზში/.

თაღმჯღომარე. დარბაზიდან კამათი არ იყო. მაშინ ასე გადაკე-  
თეთ. შეკითხვები დავსვამ, ბატონი ელუარდი ჩამოწერს და ერთნაირად იქ-  
ნება პასუხი. მე-2 მიკროფონი.

ზ. ქვანია. ბატონო ელუარდ, მე მინდა ბატონ ურიდიას აზრი გადაგე-  
ქელო. მე მინდოდა მხოლოდ რეპლიკის სახით გამომეჩქვტ ჩემი განცდიფ-  
რება იმის გამო, რომ მთელი რიგი საკითხები, რაც იყო შეთანხმებული  
კონსულტაციაზე, სამწუხაროდ არ აისახა საბოლოოდ წარმოდგენილ პროექტ-  
ში და განსაკუთრებით ჩემთვის არის სამწუხარო, რომ უკვე რამდენიმე  
თვეა ჩვენ ვერ მივალწიეთ იმას, რომ ელემენტალური ცვლილება მოხდეს,  
გარემოს დაცვის სამინისტრო შევიდეს ეკონომიკურ რეფორმათა ბლოკში.  
უკვე რამდენი თვეა ჩვენ ვაკეთებთ ამ საკითხის დასაბუთებას, ვაყენებთ  
ამ საკითხს და სამწუხაროდ დღესაც, როგორც მე ვხედავ, ჩვენი პოზი-  
ცია აბსოლუტურად იგნორირებულია.

ე.შვიგარდნაძე. არის თუ არა გათვალისწინებული კომპრომისები ვიზიტის  
გეგმვისას რომ ყველა, მაგრამ მე კონსულტაციებს რომ ვახსენებ, ვგულისხ-  
მობ იმ კონსულტაციებს, რომელიც 2 დღის განმავლობაში აქ მიმდინარეობ-  
და. ზოგიერთ თქვენთაგანსა და ჩვენს შორის.

/წამოძახილი დარბაზიდან/.

მე არ ვესმის თქვენ რას ლაპარაკობთ. მოზრდილი მიკროფონთან. ეს შე-  
კითხვა არ არის. მაპატიეთ. მე ვიბასუსებთ თქვენ, კითხვას რომ ვაფცემ  
პასუხს.

თამაზაშვილი. მე-3 მიკროფონი.

მ. ურდია. მუ შეიძლება გავაკეთოთ შესვენება, კონსულტაციებისათვის  
დაგვეჭირდა. აქ სამი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა კონსულტაციები  
რამდენიმე პარტიას შორის, კომპრომისების შედეგად, მიუხედავად იმისა,  
რომ იყო ალტერნატიული ვარიანტი და მოსაზრებები, მაინც საფუძვლად აღებუ-  
ლი იქნა წარმოდგენილი პრეპოზიციები, ოღონდ შევანიღი იქნა გარკვეული შესწო-  
რებები. პატონმა მიხეილ ფიჭუაძემ გააცნოთ ეს შესწორებები და თითქმის  
თანხმობა იქნა მიღებული პატონი სპიკერისაგანაც და თქვენგანაც. თქვენს  
მიერ წარმოდგენილ, მთლიან შინაარსში ჩემის აზრით არც ერთი მათგანი  
არ იყო გათვალისწინებული. თქვენი აზრით თუ რომელიმე არის გათვალის-  
წინებული, გთხოვთ გვიპასუხოთ.

ე.შვიგარდნაძე. ეს შეკითხვა არ არის, ეს უკვე კამათია.

მ. ურდია. შეკითხვაა.

ე.შვიგარდნაძე. მოითმინეთ, მაგაზე ვიბასუსებთ. საერთოდ დაგიწყით  
კამათი, ვერც შეგაფეროთ რა არის ნისაღები და რა არა. მე რომ მოვაბ-  
სენეთ კონსულტაციები გავითვალისწინოთ მეტი, მე მხედველობაში მაქვს  
ეს 2 დღე, რაც ჩვენ ერთმანეთს ვუსმენთ, რაც ღერფვანში ვსაუბრობთ, ჩემს  
ოთახში და მათ შორის რასაც ჩვენ აქ შემოგვსწავრით. ჩვენ ვიყავით 15-20  
წუთი. თადიდან პოლომდე კონსულტაციებზე არ ვიყავით. მე ვგონი, რომ პე-  
რი რამ გათვალისწინებულია. ერთ-ერთი სადავო საკითხი იყო რომ ეროვნე-  
პათრონის ურთიერთობისა და აღამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი შესუ-  
ლიყო სამთავრობო სტრუქტურაში. არის თუ არა ეს გათვალისწინებული? არის

მ. ურდია. არა ამაზე პარტიებს კომპრომისი არ დასწირვებია.

ე.შვიგარდნაძე. მე არ ვიცი პატონო.

მ. ურდია. მაშინ ტყუილად ჩავატარეთ ეს კონსულტაცია.



ე. შევარდნაძე. მაშინ მითხარით რაზეა ლაპარაკი, რომელ კომპრომისზე

მ. ურდია აი, ჩამოგითვალათ ბატონმა მიხეილმა და დავიწყოთ თავი და

ე. შევარდნაძე. თქვენ მითხარით.

მ. ურდია. კი ბატონო. შემცირებულიყო ვიცე-პრემიერების რაოდენობა დარჩენილიყო 3 ვიცე-პრემიერი, გარდა იმ ორისა, რომელზეც არ ვლაპარაკობდით. დეპარტამენტი არ ყოფილიყო 2 სახის. ერთი, რომელიც შედის რადაცაში, მეორე რომელიც არ შედის. ცხადია გამოვიდეს ჯიბუტი ჟობია, მაგრამ მეც შემიძლია. მე ვესწრებოდი იმ კონსულტაციებს და მეც შემიძლია ვთქვა.

თავმჯდომარე. მაშინ იქნებ ჯიბუტს.

ე. შევარდნაძე. იცი რა გითხრათ, მე უნდა მითხრათ, რომ....

მ. ურდია. თქვენ თუ სხვა კონსულტაციებს გულისხმობთ ბატონო ელუარ გაგების პრინციპში იმ კონსულტაციებიდან მე შემიძლია ვუბასუხო იმ შეკითხვას, არც ერთი კომპრომისი ვათვალისწინებუდი არ ყოფილა.

ე. შევარდნაძე. არ არის სწორი. დეპარტამენტი შევიდეს თუ არა სამინისტროში, ამაზე ვიკამათოთ, გამოდით კამათში და თქვენ როგორც გადაწყვეტათ, ისე იქნება. მე ვითხარით, რომ ენერგეტიკის საკითხი - აი ეს დეპარტამენტები საქნახშირში, საქგაზი და სხვა, შევიდეს თუ არ შევიდეს დამოკიდებული იქნება იმაზე დარჩება თუ არა ეს სამინისტრო. თუ დარჩება როგორ წარმოვიდგენიათ თქვენ არსებობდეს ენერგეტიკის სამინისტრო და დეპარტამენტები საქენერგო, გაზი, ნავთი არ შევიდეს ამ სამინისტროში? მე ვერ გამიგია ეს ამბავი, მაშინ ახსენით და გამაგებინეთ. ამიტომ ყველაფერი, რაზეც აქ იყო ლაპარაკი, არ შეიძლება ვათვალისწინებუდი ფორმულიყო. ეს ერთი. მეორე. არის თუ არა სხვა. მე ვითხარით ეროვნებათშორისო კომიტეტის თაობაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე ბატონი სიხარულიძე გამოდიოდა, ბოლოს მოუსწარი. ის აპრობდა - უნდა იყოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო. მე შემოგთავაზებთ კომპრომისული წინადადება სოციალური უზრუნველყოფისა, შრომისა და დასაქმების. შრომისა და დასაქმების ცალკე არ იყოს. არის თუ არა ელემენტი კომპრომისში? არის ელემენტები. ყველაფერი არ არის ვათვალისწინებუდი. იყო ლაპარაკი, რომ პირველ პლანად იყოს აღიარებული ის სისტემა, რომელმაც პასუხი უნდა აგოს რეფორმებზე. ვათვალისწინებუდი არის ესა. მე არ ვიცი, დეკლვილების საკითხებზე გამოსვლები იყო, იყო მოსაზრებები სხვადასხვა, მაგრამ მე ვუბნებით-დამისვით კონკრეტული კითხვები და გაცემით კონკრეტულ პასუხს. რაც შეეხება კამათს, კამათი გავდეს კამათს.



თაღმჯღომარე. შეკითხვები გვაქვს, თუ კამათში მყოფთა გამოსვლა დარბაზიდან. კამათში.

თაღმჯღომარე. მაშინ ბატონო ელუარდ იქნებ ბატონ მიხეილ ჯიბუტს უთხრათ ამ საკონსულტაციო შეთანხმების შეკითხვები. შევთანხმდეთ, რომ თქვენ, ვინც დგახართ მიკროფონებთან, იყოს შეკითხვები. ძალიან გთხოვთ. მე-4 მიკროფონი.

თ. ბასილია. ბატონო ელუარდ, მე ძალიან მაინტერესებს ვინ არის იმ წინადადების ავტორი, რომელიც გვთავაზობს, რომ ეროვნული ბანკი და საბანკო სისტემა შევიდეს სამთავრობო სტრუქტურაში. აქ ითქვამს და ეგ მაინტერესებს. საბანკო სისტემა არ შეიძლება სამთავრობო სტრუქტურაში იყოს ბატონო ელუარდ და გთხოვთ ეს გავითვალისწინოთ წარმოდგენის დროს.

ე. შევარდნაძე. ვეთანხმებით, საზოგადოებამ უნდა იცოდეს გოცირიძესთან აქვს საქმე თუ შევარდნაძესთან. ვამიგეთ აი, ამაზეა ლაპარაკი. რაღაც ფორმა უნდა მოიძებნოს, რომ იცოდეს ყველამ, რომ მთავრობაში აი ამ სისტემასთან ექნება საქმე.

თ. ბასილია. სქემაში ამას ნუ ავსახავთ და სხვაგვარად იყოს.

ე. შევარდნაძე. ინახოთ.

თაღმჯღომარე. მე-5, მე-2.

ი. ხარაჯიშვილი. ზომ არ ჩათვლით მიზანშეწონილად ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის ნაცვლად შეიქმნას საგანგებო სიტუაციათა კომიტეტი ან კომისია. ასეთი წინადადება შემოტანილია.

თაღმჯღომარე. გასაგებია.

ე. შევარდნაძე. შეიძლება მსჯელობა. ასეთი სისტემებიც არსებობს, მაგრამ საგანგებო ცოტა სხვანაირად უდერს. რუსეთში არის ასეთი.

ი. ხარაჯიშვილი. უკრაინაშიც, ბელარუსიაშიც.

ე. შევარდნაძე. უკრაინაშიც ეს მთელი სისტემა არის შეიარაღებულ ძალებთან; ფაქტიურად ეს გასამხედროებული სისტემაა. აქ არ ვიცი ჩვენ შევძლებთ, თუ არა. ამ სტანდარტს მიუახლოვდებით თუ არა. იქნებ ვიფიქროთ.

თაღმჯღომარე. მე-2 მიკროფონი.

მ. გაბაშვილი. ბატონო ელუარდ, თქვენს ჩამონათვალში ერთ-ერთ ბლოკში იყო პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმეთა კორპორაცია. მე საგნები

ვეთანხმები იმ მოდელს, ... მაგრამ ერთი უხერხულობაა ჩნდება. ჩვენ როცა პარლამენტის სტრუქტურები ჩამოგაყალიბეთ, საერთოდ გამოგვჩნდა ეს საკითხი, ვისი საკანონმდებლო მასალით იმუშავებს. რატონაირად უნდა გავითვალისწინოთ, თორემ ამით უხერხულობაში აღმოვჩნდებით. მე არ ვითხოვ რომ ავწიოთ სამინისტროს ან კომიტეტის დონეზე. მაშინ თქვენ, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ, უნდა გადაწყვიტოთ პარლამენტთან ურთოდ რომელ კომისიას ქონდეს უფლებამოსილება საკანონმდებლო ბაზის მომზადების მხრივ. თუნდაც ამ კორპორაციის საარსებოდ, თუნდაც მისი პრივატიზაციისათვის.

**ე.შევიარდნაძე.** ამას ხომ ერთ-ერთ ბლოკს ვუკავშირებთ, რომელსაც ერთ-ერთი ფიცვა-პრემიერი ხელმძღვანელობს, ვგულისხმობთ, რომ იმან უნდა უზრუნველყოს.

**ა.გაბაშვილი.** ის იყო ინიციატორი?

**ე.შევიარდნაძე.** საკანონმდებლო ინიციატივის გამოჭენა ხომ? ეს ერთი და მეორე. თქვენ მართალი ხართ. არავინ არ უკრძალავს კომისიას და აღბაღ გავაპიროვნებთ, რომ ერთ-ერთ კომისიას, რომელსაც მივანიჭებთ ამ ფუნქციას, ეს უფლება მივცეთ ამ საკითხებზე დაკავშირებით პრესასთან, ბეჭდვით სიტყვასთან და ა.შ.

**ა.გაბაშვილი.** საავტორო უფლებები, ეურნალების ინდექსაცია, ბევრი განონია ძალიან.

**ე.შევიარდნაძე.** სავსებით მართალი ხართ.

**თ.გვამყრელიძე.** მე-4 მიკროფონი. მხოლოდ შეკითხვები.

**რ.ლიპარტიელიანი.** ბატონო ედუარდ აგრარული კომისია, რომელიც საკმაოდ კომპეტენტური პიროვნებებით არის დაკომპლექტებული, 2 დღე ინტენსიურად ვმუშაობთ და დავასაბუთეთ, რომ არ შეიძლება დღევანდელ პირობებში ცალკე იყოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გადამამუშავებელი სამინისტრო და მიწის რეფორმის სამინისტრო.

**ე.შევიარდნაძე.** ეს უკვე კამათია.

**რ.ლიპარტიელიანი.** არა, შეკითხვას ვსვამ, და ჩვენ წარმოვადგინეთ. თქვენ თქვით, რომ გავითვალისწინებთ, თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ არაფერს არ ითვალისწინებთ.

**ე.შევიარდნაძე.** მე ჩემი არგუმენტები გითხარით, თქვენი არგუმენტებით გამობრძანდით კამათში.

რ. ლიპარტიანი. კი ბატონო.

თავმჯდომარე. კარგი. შემდეგი.

დ. აშუბრეიშვილი. მე მაინტერესებს რის საფუძველზე ხდება სპორტის სამინისტროს რანგის დაწევა.

ე. შევარდნაძე. თქვენ მიგაჩნიათ, რომ იყოს სამინისტრო?

დ. აშუბრეიშვილი. დიას.

ე. შევარდნაძე. მეც დიდი სიამოვნებით დავუჭერ მხარს, თუ დებუტატები თვლიან, რომ იყოს სამინისტრო, არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს.

თავმჯდომარე. მე-4 მიკროფონი.

ბ. ხურციძე. ჩვენი წერილობითი განცხადება არც ბატონ თენგიზ სიგუასთან. ჩვენ ვაყენებდით საკითხს - იყოს სპორტის სამინისტრო და ტურნიზმის სამინისტრო, ან იყოს ორივე კომიტეტი. ჩვენი თხოვნაა დააკმაყოფილოთ.

ე. შევარდნაძე. გასაგებია. ჩვენ ეს არ გაგვიხილია. თუ თვითონ ბატონი თენგიზი არ არის წინააღმდეგი, ორივე იყოს. ტურნიზმზე გიფხარით. ახლა ირკვევა, რომ უმრავლესობა მხარს უჭერს იმას, რომ სპორტის სამინისტრო იყოს. ბევრ ქვეყანაში არის სპორტის სამინისტრო. თუ იქნება ცუდი არ არის.

თავმჯდომარე. მე-4 და იმედია მოჭრჩვებით შეკითხვებს.

ი. ქადაგიშვილი. უკაცრავად, თვლით თუ არა თქვენ დღევანდელ პირობებში, რომ სოციალური დაცვა უნდა იყოს სამინისტროს ღონეზე.

ე. შევარდნაძე. მე მოგახსენეთ ბატონო ირაკლი და ვიმსჯელოთ ამის შესახებ. როცა ვლამარაკობდით სოციალურ უზრუნველყოფაზე პირველად ითქვა სოცდაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო. მერე აქ ბატონი ზაზა გამოვიდა და ის ამბობდა უზრუნველყოფა არ უნდა დაიკარგოს არავითარ შემთხვევაში. თუ ძალიან გრძელრ სახელია ისე შეიძლება იცით დაცვა. მე მაგალითად მიმაჩნია, რომ დაცვა უფრო ფართო ცნება არის და დაცვა ყოფილიყო გათვალისწინებული. მაგრამ ცალკე სამინისტრო ვქონდეს სოცურ-რუნველყოფას და კიდევ ცალკე სამინისტრო იყოს, მე მგონი ამისათვის...

დარბაზიდან. მე ვგულისხმობ ერთ სამინისტროს, რომელიც სოციალურ საკითხებს დაუთმობს თავის მუშაობა.

თავმჯდომარე. შეიძლება ასეც.



ე. შევივარდნაძე. შეიძლება და ასეც. სოცდაცვისა და უზრუნველყოფის სამინისტრო. ეს გულისხმობს დასაქმებას, შრომასაც და ა.შ. **ბიბლიოთეკა**

თავმჯდომარე. მე-6.

ბ. მჭედიაძე. ეროვნულ-დემოკრატებს დიდი მადლობა სოცდემოკრატების თანადგომისათვის და მეორე. მე მიმარჩია ბატონო ედუარდ შრომისა და სოც-საკითხების. სოცსაკითხებში შედის სოცუზრუნველყოფა და სხვა საკითხები სოციალურ პირობებთან დაკავშირებული ან შრომისა და სოცდაცვის ან შრომისა და სოცსაკითხებისა.

თავმჯდომარე. მე-3.

ე. შევივარდნაძე. მე შევწვევთ, გამათზე გადავდივართ.

თავმჯდომარე. მე მგონი არ დაგვჭირდება.

ნ. კენჭუაშვილი. ბატონო თავმჯდომარე, როგორც თქვენ ჩამოაყალიბეთ აი, ამ მიმართებაში მე ვთხოვ პარლამენტარებს კენჭისყრის დროს სწორედ ასეთი ფორმულირებით იყოს ჩამოყალიბებული და სხვა ვუყაროთ კენჭი. იმიტომ, რომ ეს ყველაფერს ასახავს და ძალიან ბევრის მომცველია. გმადლობთ.

ე. შევივარდნაძე. ბევრი რამ კენჭის ყრითაც შეიძლება გადაწყდეს.

თავმჯდომარე. ბატონო დეპუტატებო!

ე. შევივარდნაძე. არის შეკითხვა?

თავმჯდომარე. ბატონო დეპუტატებო! ძალიან დიდი თხოვნა მაქვს, რადგან ნდობაზე ავაწყვეთ მთელი ეს პროცესი. მითუმეტეს საკითხი მოამზადეს ძალიან გამოცდილმა სახელმწიფო მოღვაწეებმა, ბატონმა ედუარდმა, ბატონმა თენგიზმა, რაღაცეებს ისინი უკეთ ხედავენ. ბევრი რამ მე არ მომწონს, ბევრი რამ თქვენ არ მოგწონთ. მაგრამ მოდიეთ და ვენდოთ. ძირითადად პასუხისმგებლობას ისინი კისრულობენ ქვეყნის და თქვენს წინაშე. კენჭის ყრის გუნებაზე ვართ ყველა, განწყობილი ვართ ამისათვის. მოდი ეხლა ხელახლა გამათს ნუღარ დავიწყებთ.

/გამათი დარბაზში/.

თავმჯდომარე. რას ვუყაროთ კენჭი.

დარბაზიდან. შეიძლება?

თავმჯდომარე. სიტყვა გინდათ?

დარბაზიდან. დიახ. მსვლელობასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარე მე-2 და მე-3.

გ. კობახიძე. როგორც ბატონმა მერაბ ურიდიამ ბრძანა ჯავის გამოსვლაში, ჩვენ ძირითადად საფუძვლად ჩვენი მოლაპარაკებების დროს ავიღეთ სწორედ ის ვარიანტი, რომელიც ბატონმა თენგიზმა და ბატონმა ელუარდმა შემოგვთავაზეს და იქ არის რაღაც მნიშვნელოვანი დეტალები, სადაც თანამობა არ ხერხდება ჯერჯერობით. ბატონ მიხეილს მივცეთ საშუალება გამოვხადეს ჩემონათვალის ვადაკეთოს: ამისა და ამის შემდეგ შეიძლება სადავოც არაფერი არ იყოს. გამაღობთ.

თავმჯდომარე. კარგი აზრია. კამათს მოხსნის მე მგონია.

მ. ჯიბუტა. საქმე იმაშია, რომ აქ ითქვა შემთანხმებულმა კომისიამ მგაღწია ძალიან დიდ შეთანხმებას. ეს იყო ის, თუ რა აღებულებით საფუძვლად სტრუქტურისა. ეს არის ძალიან დიდი პლუსი, ხოლო აბსოლუტური შეთანხმება დეტალებში არ შეიძლება ყოფილიყო. ზოგი რამ გათვალისწინებული იყო ბატონი ელუარდის გამოსვლაში. მაგრამ დარჩა კიდევ სხვა მომენტები, რომელზეც ჩვენ შეთანხმებული ვიყავით. ჩვენ - ვგულისხმობ არა მთავრობის მეთაურსა და ბატონ თენგიზს, არამედ იმ ხალხს, რომლებმაც აქ ვიმუშავეთ შესვენების დროს. მე ამ დეტალების შესახებ იმიტომ მოგახსენებთ, რომ პარლამენტი იყოს ინფორმირებული და როდესაც დადგება ცალკეული საკითხის გადაწყვეტის დრო როგორც ინფორმაციის საფუძველზე იმსჯელოს. პირველი საკითხი იყო იმის შესახებ, რომ თუ შემოტანილი და დარჩენილი იქნებოდა ვიცე-პრემიერების ინსტიტუტი, ვიცე-პრემიერების ინსტიტუტი, შემოღებულიყო პირველი ვიცე-პრემიერის ინსტიტუტიც, რომელიც კურირებას გაუწევდა ეკონომიკურ ბლოკს, სექტორს, მიმართულებას და რომელიც ამ გაგებით მოხსნიდა იმის საშიშროებას, რომ შექმნილიყო ცალკე რაიმე შტაბი, რომელიც ჩაღებოდა პრემიერსა და ვიცე-პრემიერს შორის. იმ ლოგიკით, თუ შტაბში შევადგვე ვიცე-პრემიერი და ამ შტაბს ხელმძღვანელობას გაუწევს ერთი ვიცე-პრემიერი, ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ორ ვიცე-პრემიერს. ამ გაგებით მე ვფიქრობ, რომ პირველი ვიცე-პრემიერის საკითხი დასმული იყო ამ კუთხით. ამასთან ეკონომიკურ ბლოკთან დაკავშირებით იყო ნათქვამი, რომ დარგობრივი ეკონომიკები გაერთიანებული ყოფილიყო ერთ ბლოკში, ხოლო მაკრო-ეკონომიკური ბლოკი, ე.ი. ორი ბლოკი ყოფილიყო ეკონომიკური წარმოდგენილ შემდეგ ითქვა პრინციპის შესახებ, რომ დეპარტამენტები არ შედის სამინისტროში. შეიძლება ეს პრინციპი ავიღოთ და არა. თუ ავიღებთ ამ პრინციპს, უნდა განვახორციელოთ და თუ უარვყოფთ, მაშინ მოხდება ისე, რომ ბევრი საკითხი გადაისინჯება და სხვა დეპარტამენტების საკითხიც დადგება



იმიტომ, რომ მაგალითად, ფინანსთა სამინისტროსთან საგადასახადო ინსპექციის მიმართების საკითხი, მე მგონი ძალიან საკამათოა. იმიტომ, რომ შემთხვევაში აღვნიშნავ, რომ დესაც ისინი ცალ-ცალკე არიან, მაშინ ფინანსთა სამინისტრო აღვნიშნავ ისეთი ბიუჯეტის გეგმას, რაც შეძლება მინიმალურია საბიუჯეტო დეფიციტი. იმიტომ, რომ ეს დეფიციტის საკითხი არის სხვა სამსახურის საქმე. ხოლო იმ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტრო შეაღვინს თავის გეგმას და ამხვე დროს ამ გეგმის შესრულებაზე იქნება პასუხისმგებელი თვითონ. ბიუჯეტი იქნება მაქსიმალური დეფიციტით და გეგმილი. პრინციპში ეს გასათვალისწინებელია და ან ერთი პრინციპი უნდა ავიღოთ ან მეორე. შემდეგ იყო იმის შესახებ ნათქვამი, რომ შრომისა და სოციალური უწყებების სამინისტრო, სათაურზე ამ წუთას არ ვლაპარაკობ, შესულიყო მაკროეკონომიკურ ბლოკში. ასევე საკითხი იმის შესახებ, რომ გარემოს დაცვა, აქაც არ ვლაპარაკობ დასახელებაზე, შესულიყო მაკროეკონომიკურ ბლოკში. აქ არ გუშინებთ ის არის, რომ ეს ფუნქციები ამ წუთას ამ სამინისტროებშია უნდა შეასრულონ... რომელიც არ შემოიზღუდება არც ღარგობრივი და არც სხვა ნიშნით. და თუ ამასაც მივბამთ პერსპექტივას, ეს სამინისტროებიც მუდმივთა რიცხვს განეკუთვნება. იყო ერთი მომენტი ტურიზმთან დაკავშირებით. ნუ სამინისტრო, დეპარტამენტი, ამას ამ წუთას მე არ ვსვამ, ყოფილიყო მაინც მაკროეკონომიკურ ბლოკში. თუმცა აქაც არის ერთი მომენტი. ტურიზმის განხილვის დროს მართო პერსპექტივას ნუ ჩავდებთ, ისიც გავითვალისწინოთ, რომ ამ წუთში ერთი ტურისტი არ ჩამოდის საქართველოში. თუ ამ ბლოკში ჩავდებთ პერსპექტივის საკითხს, მაშინ ის უნდა გავითვალისწინოთ სხვაგანაც. ყოველ შემთხვევაში ეს გამოიწვევს მთლიანად ახალი სამინისტროს ფორმირებას და სხვადასხვა. შემდეგ იყო ერთი პრინციპული საკითხი ქონების მართვასთან დაკავშირებით. აქ ითქვა, რომ ქონების მართვის იყოს სამინისტრო, რამეთუ ამასთან დაკავშირებული კანონი მის იმ ნაწილში, სადაც იქმნება სახელმწიფო ქონების ფონდი, ის სრულდება. ის შეჩერებულია მთელი რიგი მიზეზების გამო იმ გაგებით, რომ ამ წუთას და ამ ეტაპზე არ იყო. იმიტომ სჯობია, რომ ამ ეტაპზე ქონების მართვის სამინისტროს შექმნეს აწეული სტატუსი. შემდეგ ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპული საკითხი, როგორც არის მიმართება, თვითონ ამ სქემას რაც ახლავს. ჩვენ ვდებულობთ სქემას და საკითხს კაბინეტის შესახებ კანონთან მიმართებაში. და ითქვა აქ შეთანხმების საფუძველზე ვინც აქ მონაწილეობდა, რომ ეს კანონი სჯობია რომ ამ ეტაპზე რამოდენიმე დღე ან კვირა, სანამ კომისიები არ განიხილავენ, არ იქნეს მიღებული. თვითონ კანონი მიღებული იქნეს. სქემაში გასარკვევია დეპარტამენტის სხვადასხვა და სხვა მიმართება და აგრეთვე არის გასარკვევი ის ბლოკი, რომელსაც ჩვენ არ ვიხილავთ ამ წუთას. რაც შეეხება



თავდაცვის სამინისტროს, უნდა გაიზარდოს თავდაცვის სამინისტროს და  
კავშირებით ჩვენ მას ვამტკიცებთ სქემაში, თუ მას სტატუსს ვუნარჩუნებთ  
და ამ ბლოკის საქმეს ვდებთ ცალკე. იყო საკითხი დაკავშირებული ზედა-  
მხედველობის დეპარტამენტთან. ეს ისეთი მომენტია, რომ შეიძლება იყოს  
საზედამხედველო ინსპექცია, რომელსაც თვითონ მთავრობა დააკომპლექტებს  
და ამ შემთხვევაში გადის პარლამენტის დამტკიცებისა და ამ სქემის გა-  
რეთ დადგება. ასევე იყო ლაპარაკი მატერიალური რეზერვების დეპარტა-  
მენტის შესახებ, რომ მას დეპარტამენტის სტატუსი ჩამოშორდეს, განიხი-  
ლოს მთავრობამ და შეიქმნას მატერიალური რეზერვების ფონდი. აი, ეს ძი-  
რითადად. მე თუ რამე ვამომჩრია, აქ ბატონ ირაკლის ჰქონდა ჩანიშნული  
მომენტები. მთავარი, მე მაინც ის მინდა ვთქვა, რომ აქ რამე დოკუმენ-  
ტის შედგენა არ მოესწრო იმიტომ, რომ უცებ დაიწყო სხდომა. ეს არის უბ-  
რალო ჩანაწერები, რაც მე ვთქვი. შეიძლება რაღაცეები ვამომჩრია. ასევე  
იწერდა ბატონი ელუარდი, ბატონი თენგიზიც. ამიტომ ეს სამუშაო რამე  
ოქმით არაა გაფორმებული და ამიტომ ეს უხერხული მომენტი თუ წარმოიშვა,  
არის უფრო ტექნიკური და არა გამიზნული. მე ასე ვფიქრობ.

თავმჯდომარე. გამაღობთ. მე-6. ხშირად გამოდის და ვერ ვაძლევთ  
სიტყვას. მერე მე-2.

თ. მდინარაძე. გასაგებია დღეს როგორ მდგომარეობაში ვართ ჩვენ.  
ისიც გასაგებია, რომ ჩვენ აქ რაც არ უნდა ვიკამათოთ, ყველა ვერ იქ-  
ნება კმაყოფილი. რაღაც-რაღაც, რომელიმე პარტია უკმაყოფილი იქნება. თუ  
რატომ, მე ამას ქვემოთ ვიტყვი ცოტა. ამიტომ მე მგონია, რომ დღეს ეს  
კანონპროექტი უნდა მივიღოთ პირველ კითხვაში. დავნიშნოთ ის მინისტრე-  
ბი, რომელიც დღეს აუცილებელია და საჭიროა. ოღონდ მეორე კითხვის მი-  
დებამდე მე ვფიქრობ, რომ აუცილებლად ჩვენი პრემიერი უნდა წარდგეს  
ჩვენი პარლამენტის წინაშე და აუცილებლად საზოგადოების წინაშე, თუ რო-  
გორ ფიქრობს იგი გადაწყვეტოს არსებული სოცეკონომიკური პრობლემები. თუ  
ეს არ იქნა შანამდე, ჩვენ ვერც ერთ პუნქტზე ვერ შევთანხმდებით. იმი-  
ტომ, რომ პრემიერი ფიქრობს სხვანაირად, დეპუტატი კი სხვანაირად. თუ  
იქნება ერთი შეთანხმებული მიმართულება ამ პრობლემების გადასაწყვეტად,  
მაშინ ჩვენ ამ პრობლემებს უფრო ადვილად შევთანხმდებით. ეს ჩვენ რომ  
გაგვეკეთებინა, ეს პროცედურა ნახევარ საათში მორჩებოდა. აქ არის  
კიდევ მეორე უკმაყოფილობის გრძნობა ის, რომ აქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ  
პრივატიზაცია სად ჩატარდა, ეს იყო ერთადერთი დადებითი მოვლენა. მე  
ვთვლი, რომ ეს იყო უარყოფითი მოვლენა. ამის გამოსწორებაც შეიძლება.  
ამაზე ჩვენ შეგვიძლია კონკრეტული შესწორებები შევიტანოთ ჩვენს მუშა-  
ობაში. იგივე შეიძლება ითქვას რეფორმების დარქარებაზე. რეფორმები ჯერ





არ უნდა დაჩქარდეს. იმიტომ, რომ ჯერ ჩვენ არა გვაქვს არც ჩვენი მთელი, არც ქონება აღნუსხული, არც კონცეფციები, როგორ უნდა გავატაროთ ეს პრივატიზაციის მთელი, რომ არ გაღრმავდეს ის სოციალურ-ეკონომიკური არსებული კრიზისი. ამიტომ მე შემომავსებს წინადადება, რომ დღეს ეს მივიღოთ პირველ კითხვაში, მერე მოვისმინოთ პრემიერ-მინისტრის მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით და ამის მერე კომისიებში ადვილად იქნება ყველაფერი შეთანხმებული.

თავმჯდომარე. მე-3, მე-4 მიკროფონები.

გ. კობახიძე. ორი მომენტით მინდა შევავსო ბატონო მიხეილ ჯიბუტის გამოსვლა. ერთი, რომ კორპორაციები სქემის გარეთ უნდა დარჩენილიყო, ამაზე შევთანხმდით ჩვენ კონსულტაციების დროს და მე მგონი ბატონი თენგიზი ამას დაეთანხმა. ეს ერთი. და მეორე საკადრო საკითხს ეხებოდა. სახელმწიფოს მოწყობის შესახებ ჩვენს კანონში მხოლოდ ჩამონათვალი არის დაცე-პრემიერების და მინისტრებისა. კონსულტაციების დროს ჩვენ ჯგუფად შევთანხმდით იმაზე, რომ დეპარტამენტების ხელმძღვანელებიც უნდა დანიშნულიყვნენ პარლამენტზე. შემდეგ ბატონმა ედუარდმა ესეთი რაღაც შემოგვთავაზა, რომ თავისი მნიშვნელობის და შინაარსის მიხედვით შეიძლება აქ დაყოფა მომხდარიყო: ნაწილი დანიშნულიყო პარლამენტის მიერ და ნაწილი უშუალოდ თვითონ პრემიერ-მინისტრის მიერ. ძლბად ეს ჩამონათვალი უნდა გაკეთდეს კონკრეტულად. კერძოდ, ეხლა მე კორპორაციას მინდა შევეხო, როგორც ყველაზე დაბალს ამ შემთხვევაში. ტელერადიო კორპორაცია. აქ ალბათ უპრიანი იქნება მისი ხელმძღვანელი დანიშნოს პარლამენტმა კორპორაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე. და აი, ეს უნდა გაკეთდეს ცალკე. გმადლობთ.

თავმჯდომარე. მე-4 მიკროფონი.

ი. სარიშვილი. ბატონო სპიკერო მე მაქვს ასეთი წინადადება. ეხლა ბატონმა მიხეილმა ჩამოთვალა ის საკითხები, რაზეც იქნა მიღწეული შეთანხმება და ისიც, რაზეც ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება. ყველა დასმულ საკითხს ჰყავს მომხრეებიც და ავტორები. როგორც ასეთი აქ პარტია არაფერ შუაშია იმიტომ, რომ ცალ-ცალკე პიროვნებებზე და ცალ-ცალკე მსოფლმხედველობებზე არის აქ ლაპარაკი. მე ვთხოვ პარლამენტსაც, საკუთარ თავსაც და ყველას, რაბან ვთქვით, რომ ეს არის დროებითი და აქ რამდენიმე თვეზეა ლაპარაკი, რაშიც ჩვენ ეხლა ვართ და თუ მაინც ვინმე თვლის, რომ ის შეხედულება ვერ იქნა გათვალისწინებული, აუცილებლად კენჭისყრაზე უნდა დაგვეს. ეხლა კამათს მე მგონი აზრი არა აქვს. ის კონკრეტული პირი წამოდგეს, დააყენოს ესა თუ ის საკითხი კენჭისყრაზე ცალკე



იმით, რომ დღეს ჩვენ ძალიან კარგი იქნება ეს სტრუქტურა ამ სახით მივიღოთ. გმადლობთ.

თამაზაშვილი. გმადლობთ. მე-3 მიკროფონი.

ი. ხაინაძე. მე მინდა ნაწილობრივ გავაგრძელო ის, რაც ეხლა თქვა ქალბატონმა ირინამ. ოღონდ მე ცოტა განსხვავებული პოზიცია მაქვს. ის, რაც არის წარმოდგენილი, პრინციპში ეწინააღმდეგება ჩემს წარმოდგენებს საქართველოში შთაფრობისა და მინისტრთა კაბინეტის თაობაზე. პირადად ჩემთვის მიუღებელია, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რაც თქვა სახელმწიფოს მეთაურმა და პრემიერ-მინისტრმა, მე ვიქნები თანახმა დროებით მხარი დავუჭირო ამ შეთავაზებულ კანონპროექტს, ისევე და ისევე გამომდინარე იმ ვითარებიდან, რომელიც არის საქართველოში. თუ დღესვე პარლამენტი მიიღებს პარალელურად იმ დადგენილებას, როდის უბრუნდება იგი კვლავ ამ საკითხის განხილვას. პირველად ჩემთვის მისაღები იქნება ის, რომ 19 თებერვალს ეს საკითხი კვლავ დგება დღის წესრიგში პარლამენტში. გმადლობთ.

თამაზაშვილი. გმადლობთ. მე მგონი...

/კამათი დარბაზში/.

თამაზაშვილი. გარკვეული ანგარიში ეტაპობრივი მუშაობის შესახებ, კომისიები ამ საკითხით იქნებიან ბატონო ივლიანე დაკავებული და ამდენად ვადის ჩაწერა მე არ ვიცი რამდენად უპრიანია ამ შემთხვევაში, მაგრამ ეტაპობრივი პარლამენტს ამის უფლებაც აქვს და გარკვეული დროის შემდეგ იგი მოისმენს პრინციპულ ანგარიშს, ალბათ.

/კამათი დარბაზში/.

თამაზაშვილი. მე-3 მიკროფონი.

მ. ზანდუღიაძე. ბატონებო მე ვიცი რომ თუ ჩვენ მუხლობრივად დავიწყებთ კენჭის ყრას, კიდევ წავა დებატები და დროს დავკარგავთ და ამიტომ ერთ წუთიან განცხადებას გავაკეთებ. აქ დაისვა საკითხი კომიტეტი იყო და სამინისტროდ გადაკეთდაო. მე ვიკითხე რომელი უფრო მეტია - სამინისტრო თუ კომიტეტი. ზოგმა ერთი, ზოგმა მეორე თქვა. ამის გასანეიტრალებლად გაიხსენეთ უბრალოდ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი უფრო მეტი იყო თუ სამინისტრო. ბატონებო რა სტატუსს მივცემთ, იმაზეა მთავარი დანიშვნა. რაც შეეხება ბატონ ივლიანეს განმარტებას, დღეს ვერც ერთი დეპუტატი ვერ ადგება და ვერ დაასაბუთებს ვერც მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით, ვერც მეცნიერული თვალსაზრისით, ვერც ერთი სხვა კრიტერიუმით, რომელი სამინისტროს სჯობია, რამდენი უნდა იყოს ან არ უნდა იყოს. ამისათვის ჩვენ არა ვართ მზად, არც ერთი ჩვენთაგანი. რაც შეეხება 19 თებერვალი იყოს ეს თუ 23



თებერვალი, მე ვფიქრობ, რომ კომისიებში გაგრძელდეს ეს მუშაობა და თუ რომელიმე კომისია დაასაბუთებს ყოველმხრივ, რომ საქართველოში აჯობებს ეს სტრუქტურა, ეს სამინისტრო ან ამ სამინისტროს მაგივრად სხვა იყოს, შემთავიდან ბერიოლულად, განვიხილოთ, არავინ ჩვენ ამას არ გვიკრძალავს. დღეს საქართველოს უჭირს და ამ დებატების გაგრძელებას, მე მგონი, აზრად არა აქვს, რაც შემოგვთავაზებს და რაც ვილაპარაკეთ დავამთავროთ და ეხლა კენჭი ვუყაროთ. გმადლობთ.

თავმჯდომარე. გასაგებია. მე-2 და მე-5.

ზ. ნოდარდიდელი. მწვანეთა პარტია. მე მინდა დავუჭირო მხარი ბატონ ივლიანე ხაინდრავას დათქმული თარიღის თაობაზე. ამას მგონი აქ ბევრი წარმომადგენლები უჭერენ მხარს. ამავე დროს დავთქვათ თარიღი იმისათვის, რომ მთავრობამ ჩაგვაბატონოს ან გარეში აი, იმ გარკვეული გაწეული მუშაობისათვის და აგრეთვე დაუინებით უკვე არა მარტო მწვანეთა პარტიის ფრაქციის სახელით, არამედ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სახელით გარემოს დაცვის სტრუქტურების მაკროეკონომიკურ ბლოკში გადატანასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარე. გმადლობთ. მე-5.

გ. გოდერძიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ რამეში მხარს ვუჭერ ბატონ ივლიანე ხაინდრავას, ვწუხვარ, რომ დღეს ვერ დავეთანხმები იმ თარიღის დადგენაში, თუ როდის გადაგრძელდებთ ამ საკითხზე მუშაობას, ეს ჩაგვაყენებს ძალიან დიდ უხერხულობაში, ეს ჩვენ უნდა გვაჩვენოს ხვალინდელმა დღემ და ხვალინდელი დღიდან გამომდინარე საჭიროებამ. სრულიად ვეთანხმები ქალბატონ ირინა სარიშვილს და გთხოვთ მისი წინადადება დავაყენოთ კენჭისყრაზე.

თავმჯდომარე. გმადლობთ.

/კამათი დარბაზში/.

თავმჯდომარე. ყველა ამ აზრისა ვართ. გარკვეული პრეტენზიები ვისგანაც ითქვა ისინიც გვეთანხმებიან. ბატონმა ივლიანემ ის თქვა, რომ ბევრი რამეა ნდობის საფუძველზე, რომ ვენლოთ ამ წარმოდგენილს.

/ხმაური დარბაზში/.

თავმჯდომარე. კი ბატონო. არის წინადადება ეხლა ბატონ თენგიზს მოეუსმინოთ. ბოდიშს მოგიხდით ყველას.

ფ. სიგუა. პირველ რიგში მე მინდა ბატონ მიხეილ ჯიბუტს გავცე პასუხი. ფრაქციებთან და კომისიებთან წინასწარი შეთანხმებაც იყო. კერძოდ რა, - ტურიზმი გადმოდის ეკონომიკურ ბლოკში და გარემოს დაცვაც

გადმოდის ეკონომიკურ ბლოკში. ეს უქვენი რეკომენდაციებში იყო. შედეგად მე ვეთანხმები იმ აზრსაც, რომ არ შეიძლება აღრევა იმ დეპარტამენტების რომლებიც დამოუკიდებლად არსებობენ და იგივე დეპარტამენტების სახელწოდებით იყოს რაღაც სტრუქტურული ერთეული, რომელიც შედის სამინისტროში ალბად აქ ჩვენ ახალი დასახელება უნდა მოვიგონოთ. მაგალითად, საგადასახადო დეპარტამენტი. ჯერჯერობით როგორც სტრუქტურაშია იგი შედის ფინანსთა სამინისტროში. ამ დროს ჩვენ გვაქვს დამოუკიდებელი დეპარტამენტებიც. მაშინ აქ სამმართველო ან მთავარი სამმართველო, ან რაღაც სხვა დასახელება უნდა მოუძებნოთ, რომელსაც შემოგვთავაზებთ, ჩვენთვის ეს მისაღები იქნება.

**დარბაზიდან. ინსპექცია.**

ინსპექცია, სამმართველო ეს მსჯელობის საგანია. ინსპექცია კი ბატონო. მე ვერ დავეთანხმები მთელ რიგ წინადადებებს. მე ჩავიწერე აგერ და ავედი 25-26 სამინისტრომდე. არ შეიძლება ამის გაკეთება. ჩვენ ვუბრუნდებით ძველ სტრუქტურებს. გუშინ აქ გვეჩხუბებოდით 18 ბევრიაო და დღეს რაც აქ გამოითქვა სურვილი სამინისტროების სტატუსამდე აყვანისა, გამოვიდა 26 სამინისტრომდე. არ შეიძლება ამის გაკეთება. უაღრესად დიპტივს ვცემ რკინიგზას, მაგრამ დღეს რკინიგზის სამინისტრო არ არის არც ერთ ყოფილ რესპუბლიკაში, რუსეთშიც კი.

**/კამათი დარბაზში/.**

ტრანსპორტის სამინისტროს და მოსდგილენებად ითვლებიან საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის, აგერა მაქვს სტრუქტურა და გიჩვენებთ. არსად არ არის სამინისტრო. გადმოცემით რესპუბლიკების სტრუქტურებს, 14-ჯერ უფრო ნაკლებია რკინიგზის სიგრძე ვიდრე უკრაინის, 10-ჯერ უფრო ნაკლები ვიდრე ბელორუსიის, თითქმის 15-ჯერ ნაკლები ვიდრე ყაზახეთს. არც ერთ რესპუბლიკაში არ არის სამინისტრო. გავაცეთოთ ჩვენ ქართველებმა, იმიტომ, რომ ქართული რკინიგზაა, არ შეიძლება ასეთი მიდგომა, ბატონო. ეკონომიკური მიდგომა უნდა იყოს და არა ისე.

**/კამათი დარბაზში/.**

მაგაზე არ არის ლაპარაკი, კაპიკი იქნება, სახელი მოგწონს სამინისტროსი? აბა? რა უფლება, ვინ ართმევს უფლებას, ოღონდ რამე გააკეთონ.

**/კამათი დარბაზში/.**

ნუ გვიტაცებს სახელი სამინისტრო. მაშინ მე გკითხავთ, ტვირთბრუნვაში რა წილი აქვს დღეს რკინიგზას, საავტომობილო ტრანსპორტს და საზღვაო ტრანსპორტს.

**დარბაზიდან. 70 პროცენტი.**

ვისა? რკინიგზას? რომელი წლის მონაცემებს მეუბნებით.

დარბაზიდან. ეხლანდელი.

70% არის. ხანჯტომობილო ტრანსპორტის წილი. მე ძალიან გთხოვთ ვილაპარაკოთ რეალური ციფრებით. დღეს რკინიგზის წილი საერთოდ 20%-ს არ აღემატება.

დარბაზიდან. როგორ გეჭაღრებათ.

როგორ და ასე.

თავმჯდომარე. ბატონო დეპუტატებო!

თ.სიგუა. ხვალ მე მთავარმთავო ზუსტ ცნობას. 1992 წ. 10 თვეში რომელი სახის ტრანსპორტმა რამდენი ტვირთი გადაიტანა. საზღვაო ტრანსპორტი გამოვიდა წინა პოზიციებზე. ეხლა ძირითადად ჩვენი ტვირთი შემოვა ევროპიდან. საზღვაო ტრანსპორტის მეშვეობით ბათუმში და ფოთში. ფოთს ჩვენ ტყუილად არ ვადიდებთ. 40 მილიონია ტვირთბრუნვა ფოთისა. იცვლება ეს მიდგომები.

/კამათი დარბაზში/.

თავმჯდომარე. ბატონებო. არის აზრი, რომ შესვენება გამოვაცხადოთ.

თ.სიგუა. სანამ შესვენებას გამოაცხადებდეთ, მე გთხოვთ დღეს კენჭს ნუ უყრით. ამ საღამოს ჩვენ კიდევ ვიმუშავებთ ამ სქემაზე და ხვალ დღის სხდომაზე უკვე საბოლოო ვარიანტზე შევთანხმდეთ.



შესვენების შემდეგ

**ს.ხლოძე:** თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის სპიკერი გ.გოგუაძე.

**თავმჯდომარე.** დაფიქსირდა ადგილები. ყველას არ მიუღია რეგისტრაციის მოწვევა. ვადაგრძელოთ და შემდეგ კვლავ იქნება. ეხლა ერთი განცხადებისათვის მე-4 მიკროფონი. ქალბატონ ირინა სარიშვილს აქვს ერთი განცხადება.

**ი.სარიშვილი.** პირველ რიგში მე ბატონ სპიკერთან მაქვს შეკითხვა. ჩვენ ეხლა ვაყენებთ კენჭისყრაზე ამ სტრუქტურას თუ არ ვაყენებთ?

**თავმჯდომარე.** მოგახსენებთ.

**ი.სარიშვილი.** თუ ასე მარტივად წყდება, რომ ვაყენებთ კენჭისყრაზე, მაშინ სათქმელი არაფერი არა მაქვს. საქმე იმაშია, რომ ბატონ პრემიერმა და ზოგიერთმა მხარეც დაუჭირა, გამოთქვა ესეთი მოსაზრება, რომ დღეს სადამთი კიდეც იქნება ჩატარებული მუშაობა და ტვალისათვის იქნება სტრუქტურის დამტკიცება გადატანილი.

**თავმჯდომარე.** მოგახსენებთ, არის ასეთი მოსაზრება: სახელმწიფოს მეთაური, პრემიერ-მინისტრი სრულყოფენ დეპარტამენტების, სამინისტროების გამიჯვნისა და სტრუქტურის საკითხს რაც მოვისმინეთ, ძირითადში მისი პრინციპის თვალსაზრისით, აი, ამ დებულებას, კანონის პროექტს ვუყაროთ კენჭი, იქნება ასე შევთანხმდეთ. თავს არავინ არ გახვევთ, რა თქმა უნდა, ვუყაროთ კენჭი და აი ამ კორექტივს ვაგვაცნობენ კანონის საბოლოო დამტკიცებისას. შეიძლება თუ არა ასე შევთანხმდეთ?

/ხმა დარბაზიდან/.

**ე.ი.** ერთი წამით ქალბატონო ირინა, პასუხი საკმარისია?

**ი.სარიშვილი.** საკმარისია. მაგრამ ალბათ ბევრს ექნება ასეთი სურვილი. აი, აქედან გამომდინარე მე მინდა კიდეც ერთხელ გავიმეორო ჩემს აწასწინანდელ გამოსვლაში გამოთქმული თხოვნა და კიდეც ერთხელ გაუსვათ ხაზი იმას, თუ რას ნიშნავს სწრაფად სტრუქტურების დამტკიცება სწრაფად სტრუქტურების დამტკიცება ჩვენ გვაძლევს საშუალებას, ასევე სწრაფად აუცილებელი და სასწრაფო ცვლილებები შევიტანოთ არა მთავრობის სტრუქტურებში, არამედ კადრებში. ალბათ ნებიერ თუ უნებურად, ვინც აჭიანურებს ამ პროცესს, ის პრაქტიკულად ტოვებს იმ ძველ კადრებს, რომლის დატოვებაც, იმ რაღაც ნაწილზე მაქვს ლაპარაკი, არაფრით არ შეიძლება.



მე არ მინდა დაფიქსირო, რა თქმა უნდა, რომ ბატონ პრემიერს ძველი კადრების დატოვება სურს და ამიტომ სთქვა ეს. მაგრამ ჩვენ ამას დავუფიქრებთ, ყველამ გავითვალისწინოთ და თუ ვინმეს რამე პრინციპული აქვს, ისეთი, რომელიც არ აისახა ამ სტრუქტურებში ცალკე, კი არ ვიკამათოთ, გამოვიდეს თქვას, რომ დადგეს ეს საკითხი ცალკე კენჭისყრაზე. თუ გავაქვს, კენჭისყრა გავა, თუ ვერა, ვერ გავა. ამის შემდეგ, თუ ესეც არ გახდა საჭირო, მაშინ მთლიანად ვუყაროთ კენჭი ამ სტრუქტურას.

თავმჯდომარე. ბატონ აკაკი ასათიანს ვთხოვ.

ასათიანი. მე მინდა დავეთანხმო ქალბატონ ირინას. მაგრამ მინ-

და ერთი რამე ვთქვა, რომ ზოგადად თუ ჩამოვყალიბდებით რასთან გვაქვს საქმე. არის ორი ვარიანტი. ან ჩვენ რეფორმისტულ გზას ვადგებით, შესაბამისი სტრუქტურა უნდა მივიღოთ, შესაბამისი ხალხებით უნდა დავაჯამებ-ლექტოთ. ან ჩვენ ვადგებით მეორე გზას. მე არ ვამბობ ერთი კატგია და მეორე ცუდია, არის მეორე გზაც. მე პირადად ვთვლი, რომ ამ ეტაპზე შეიძლება ეს გამართლებულიც იყოს. აი, ეს მდგომარეობაც, რაც არის შექმნილი ქვეყანაში, როგორმე ზამთარი გადავატარებინოთ ხალხს არა, რაღაც ნაირად მოვუაროთ აფხაზეთს, შიდა ქართლს, რუსეთთან ურთიერთობა გაირკვეს. თუ ჩვენ ვადგებით მეორე გზას, ეს გასაგებია, ამ სტრუქტურით. ეს არ არის, რა თქმა უნდა, სტრუქტურა მუშაობს, რა თქმა უნდა და ის გამოხატავს მიმართულებას, რომელსაც ადგება ხელისუფლება. ჩვენ ვადგებით მეორე გზას. ბატონმა ივლიანემ პრძანა და მე უნდა დავეთანხმო. ჩვენთვისაც მიუღებელია, ტრადიციონალისტებისთვისაც ეს სქემა, სტრუქტურა. ამაზე ჩვენი კავშირიც მუშაობს, სხვებიც. ამას დიდი მუშაობა სჭირდება. ჩვენ არ დავიჟინებთ, რომ ალტერნატიული კანონი.... ჩვენ შეიძლება დავუდგეთ, ვიმუშაოთ, თუ ამ გზას ვადგებით. მე საერთოდ არ მესმის ამ სტრუქტურის რატომ ვამტკიცებთ ამ სახით. რატომ ვამბობთ დავამტკიცოთ ისე, როგორც არის წარმოდგენილი იმ სახით. ცოტ - ცოტა შევალამაზოთ, ვი-დაცაგავყოთ, ვიდაცა შევავროთ. მე არ მესმის არც ეხლა და არც მაშინ მესმოდა მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსი. ბატონ თენგიზს და მეც ერთხელ უკვე მოგვიწია სტრუქტურებზე მუშაობა და რაღაც ნაბიჯები გადაიდგა, ხომ. არ მესმის რატომ იყოფა სპორტი და ტურიზმი. ვთქვათ რაღაცეები რატომ ერთდება, რატომ იქცა რაღაცეები დეპარტამენტებად, რატომ იქცა სამინისტროდ. მე წინააღმდეგი ვარ ბევრისა. ზოგი ამბობს მნიშვნელობა აქვსო, არა აქვსო - ზოგი ამბობს. მე ვთვლი, რომ აქვს მნიშვნელობა....

თავმჯდომარე. გმალობი, ბატონო აკაკი. მე-3.

ი. შენგელია. ბატონო ვახტანგ, თქვენ ასე დასვით საკითხი: კენჭი რას ვუყაროთ, სტრუქტურას თუ კანონს. კი, მაგრამ ჩვენ სტრუქტურაზე ვლაპარაკობდით. ჯერჯერობით ხომ არ აჯობებს, რომ კანონის განხილვისაგან თავი შევიკავოთ. ჩვენ კანონი საერთოდ არ განვიხილია, ჩვენ მხოლოდ სტრუქტურაზე ვსაუბრობდით. ამიტომ, ეს ორი გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან იმიტომ, რომ არ შეიძლება სტრუქტურას ვინმე დავედოთ და უცებ კანონს ვუყაროთ კენჭი. ეს შეუძლებელია.

თავმჯდომარე. გასაგებია. ბატონი ზურაბ მურვანიძე და ბატონი ბორის ლომსაძე. მე-3, მე-4.

ზ. მურვანიძე. ჩვენ კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიას აქვს განცხადება; კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის განცხადება: ვღებულობთ რა მხედველობაში ქვეყანაში შექმნილ უაღრესად რთულ მდგომარეობას, შემოვდივართ წინადადებით: პარლამენტმა გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში, გადასცეს მთელი ძალაუფლება სახელმწიფოს მეთაურს და შეაჩეროს თავისი უფლებამოსილება 100 დღით. ამის უფლებას ჩვენ ვაძლევს საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლი. ამ წინადადებას ჩვენ ვაყენებდით 9 ნოემბერს და ველოდით, რომ თუ პარლამენტი დაიწყებოდა სწრაფი ძვრები, რომელიც საქართველოს სჭირდებოდა, მაშინ ჩვენ ამ განცხადებას არ გავაძეებდით. ვაკეთებთ დღეს, იმიტომ, რომ ყოველ დღე ვხედავთ, რომ პარლამენტში ვიანურდება მუშაობა. გმალობით.

თავმჯდომარე. მე-4 მიკროფონი.

ბ. ლომსაძე. მე, როგორც მოქალაქე, და როგორც დემუტატი, ვამბობ მთავარად, მოვრჩით. ხალხს უნდა, რომ ჩვენ მოვრჩით რაღაცას მაინც. 3 თვით მოვილაპარაკეთ, არა? რა ასეთი გასაჭირად და ქორექტივა ერთი. დღეს იღუპება მეცნიერება. შეიძლება არასპეციალისტმა ზერელედ შეხედოს ამ მდგომარეობას. ცდის ჩატარება შეუძლებელია, მით უმეტეს, იმპორტული ხელსაწყოებისა. ყველაფერი არის გაჩერებული და ფუჭდება და პარტახდება და იქურდება. მეცნიერების სამინისტროს ნუ შევხედავთ დღეს ზერელედ. დღეს ისე გვიჭირს, რომ რაღაცა უნდა გადავარჩინოთ. რაღაცის გადარჩენის საკითხი დგას. მეცნიერების სამინისტრო უნდა შევინარჩუნოთ. მერე შევამიწმინოთ, თუ არ ვარგა მივიღოთ ზომები, მაგრამ როდესაც 200-300 ორგანიზაცია საკავშირო დაქვემდებარების და კიდევ სხვადასხვა დღეს უპატრონოდაა დარჩენილი, სად წავა ეს დოვლათი? რატომ არ ფიქრობთ, რომ ამაზე თითოეული ჩვენგანი ვაგებთ პასუხს. აქ შენობებია, ხელსაწყოებია, კადრებია, ათასი რაღაცაა, ათასი კომპონენტია. ნუ დავლუბავთ იმ მცირეოდენს, რაც დღეს გაგვაჩნია. ჩემი წინადადებაა მეცნიერების სამინისტროს



შენარჩუნება და, ბოლოს, ტრანსპორტის სამინისტროზე იყო ლაპარაკი, ინტერ-  
ესაც კი ესმის. მოითანა ზღვიით ტვირთი, გადმოტვირთეს მატარებელზე, მა-  
ტარებელიდან მსხრქანაზე და ა.შ. ეს არის ერთიანი ორგანიზმი, ერთიანი  
სისტემა და სამარცხვინოდ ჩვენი მსმენელებისათვის. ახლა პოპულიზმზე  
ვლაპარაკობ უკვე. ჩვენ აქ ვდგავით რამდენი სახის ტრანსპორტის სამი-  
ნისტრო და უწყება ესწრება და ყველა იტყვის.

თავმჯდომარე. მე-5 მიკროფონი.

გამომსვლელი. ბატონო თავმჯდომარე! ბატონმა ნოდარ ნათაძემ მთხო-  
ვა გადმოგცეთ, რომ თავისგან დამოუკიდებელი მოზებების გამო დღეს ვერ  
ესწრება სადამოს სხდომას და გთხოვთ, რომ გაითვალისწინოთ, რომ სახელმ-  
წიფო სტრუქტურებში ცხივანლის რეგიონის კომისიას, რომელსაც ალბათ ახ-  
ლო მომავალში პევერი აუცილებელი საქმე ექნება გასაკეთებელი. გზადლობთ.

თავმჯდომარე. ბატონო დეპუტატებო მაშ ვითვალისწინებთ ყველა თქვენ  
თავანის, ყველას პოზიციას; აზრს, წინადადებას, ამ არსებული შენიშვნე-  
ბით, დათმობებით, კომპრომისებით, კონსულტაციების შედეგადაც, შეჯერებით  
და არის ასეთი წინადადება, რომ კენჭი ვუყაროთ სტრუქტურას. კანონის  
შესახებ ხვალ გვექნება მსჯელობა. ხვალ ალბათ, მოგისმენთ ინფორმაციას  
კორექტივის სახით, რა იქნა გათვალისწინებული ამ საბოლოო რედაქციის  
სახით. დღეს ვუყაროთ მაშინ ამ სახით. მოვემზადოთ კენჭისყრისათვის.

ჯერ რეგისტრაცია გავიაროთ. რეგისტრაციისათვის გთხოვთ ჩართოთ.  
პარლამენტი უფლებამოსილია კენჭისყრაზე დააყენოს საკითხი.

ვინ არის მომხრე წარმოდგენილი სტრუქტურა მიღებულ იქნეს, გთხოვთ.

გამომსვლელი. ასე ხომ არ შეიძლება დღეს ვუყაროთ წარმოდგენილი  
სტრუქტურას, ჩამოთვალეთ ბოლოს და ბოლოს სადამდე მივედით და იმას  
ვუყაროთ კენჭი.

თავმჯდომარე. იცით რა არის? ახლა ხელახლა უნდა დავიწყოთ. ჩვენ  
ვთქვით, რომ ძირითადად ორი დღეა დებატები გრძელდება. ჩვენ არ გედა-  
ვებით. პრეტენციები ცალკეულ საკითხებზე არის, მაგრამ რახან შევთანხ-  
მდით, მოდი ბოლომდე შევთანხმდეთ, და დაფუჭიროთ მხარი. კენჭი ვუყაროთ.  
/დარბაზიდან/. ჩვენ ასე პრინციპულად ნუ დავსვამთ საკითხს. შეთანხ-  
მებისათვის დაგჭირდება დღეები და შეიძლება უფრო მეტიც. მე გეუბნე-  
ბით დეტალებზე. აქ არ ამოიწურება სადავო პრობლემები და საკითხები.  
თუ ამ მსჯელობების შედეგად შევთანხმდებით, რომ ძირითადად გამომდინარე  
იმ ვითარებიდან, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, თითოეული წუთი რომ არ  
ითმენს, როგორც იყო თქვენგან დიდსულოვნად განცხადებული, რომ ვიცით,

ბევრი რამ არ მოგვწონს, ბევრი რამ შესაცვლელია, მაგრამ რაბან-დრო-  
ებიითა ეს, ამიტომ, ამ დათმობაზეც მივდივართ, ამ კომპრომისებით, ამ  
აზრით ვუყარათ კენჭი. მე არაფი თარ შეცდომაში თქვენ არ შემყაუხართ.  
ბატონ ელჟარდს მოვუსმიონოთ.

მ. შევარდნაძე. ბატონმა ვახტანგმა ბრძანა, მე მგონი, ლაპარაკი  
უნდა იყოს იმაზე, რამ ვუყრით კენჭს და, მე მგონი, ასე არ უნდა იდგეს  
საკითხი. მე ერთი საათი ვილაპარაკე და დაახლოებით ის სქემა დავხატე,  
ჩამოვაცალიბე, რომელზეც ჩვენ პრემიერ-მინისტრთან შევთანხმდით. გან-  
საკუთრებული წინააღმდეგობა არ შეგვხვებოდა. ის, რაც ბატონმა ჯიბუტმა  
ბრძანა და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში, მე მიმაჩნია, რომ ზოგიერთი  
რამის გათვალისწინება, ამალამ თუ დავჯდებით, კიდევ შეიძლება. ამიტომ  
შეიძლებოდა ასე - ძირითადად რაც მოგახსენეთ, თუ ეს მისაღებია, მე,  
მაგალითად, არ მიმაჩნია პრინციპულ საკითხად ეკოლოგიის სამინისტრო  
რომელ პლოკში იქნება, თუ მწვანეთა პარტიას მიაჩნია, რომ უნდა იყოს  
მეორე პლოკში თუ მესამეში. გადავიტანთ, ეს არაა პრობლემა, ეს არ იქ-  
ნება სადავო. ანდა უნდა იყოს თუ არა რკინიგზის დეპარტამენტი თუ სამი-  
ნისტრო ან სპორტის კომიტეტი თუ სამინისტრო. ამალამ დავჯდებით, ვილაპა-  
რაკებთ. ახლა ძირითადად ლაპარაკი. კომიტეტი იქნება თუ სამინისტრო  
იქნება, ეს არ არის; ალბათ, არსებითი საკითხი. თუ ძირითადად ვუყრით  
კენჭს, ამალამ მე და ბატონი თენგიზი დავჯდებით, ვიმუშავებთ და ის  
კორექტივები, რისი შეტანაც ჩვენ მიგვაჩნია შესაძლებლად, ამ კორექტი-  
ვებს ხვალ წარმოგვიდგენთ. ეს თუ არის მისაღები და თუ არ არის მისა-  
ღები, მაშინ მართალია ბატონი კაკო ასათიანი, როცა ამბობდა, რომ სხვა  
რადაცა შევქმნათ, სრულიად ახალი სისტემა. ამას დასჭირდება ერთი-ორი  
წლის მუშაობა.

თავმჯდომარე. მეგობრებო, მივიღოთ ჩვენ კიდევ ერთხელ ვიმეორებთ,  
უმცირესობის აზრს ყოველთვის პატივისცემით ვეკიდებით და ჩემი თხოვნა  
არის კონსენსუსის პრინციპით, მეგობრულად ვთხოვთ, საქართველოს ახლან-  
დელი მდგომარეობის გათვალისწინებით. ვუყაროთ კენჭი. ვინ არის მომხრე  
მივიღოთ? კენჭისყრის პროცესში განცხადებებისათვის სიტყვას ვერ გაძ-  
ღვთ ამიტომ არ გეწყინოთ. /კენჭისყრა: მომხრეა 120, წინააღმდეგი 21,  
თავი შეიკავა 23-მა. 164/. მაღლობელი ვართ ნდობისათვის, ანგარიშის  
გაწევისათვის და ყველა ადამიანური თვისებებისათვის. მე-2, მე-5.

მ. გაბაშვილი. ბატონო სპიკერო, მე მაქვს ასეთი წინადადება პარლამენტთან. რადგან ახლა პრინციპში გადაწყვეტილია მხარდაჭერა დროებითი  
სტრუქტურისა და რადგან აქ ბევრი ლაპარაკი იყო იმაზე, რომ გარკვეული

ვადის შემდეგ ახალი სტრუქტურის პროექტი დამუშავდეს, ბატონო ირაკლი შენგელაიას კომისიის და სხვა კომისიების თანხმობით, მე გთავაზობთ, რომ დღეს ან ხვალ კანონის განხილვისას, კანონში ამას ნუ შევიტანთ, მივიღოთ სპეციალური დადგენილება პარლამენტის, რომ რაღაც ვადაში, დაახლოებით 4 თვეში, იქნება მოსმენილი ამ კაბინეტის, ამ შემადგენლობის ანგარიში და პარალელურად აუცილებლად იქნება ახალი პროექტის განხილვა და მიღება. მაშინაც ხომ აღარ იქნება ასეთი სასწრაფო ყოველდღიური გაჭირვების... მინისტრები იქნებიან, იმუშავებენ, მაგრამ დავთქვათ ვადა და ეს მივიღოთ პარლამენტის დადგენილებით, რომელიც კანონში არ შევა, კანონში ამის ჩაწერა არ არის საჭირო. ამ წინადადებას გთავაზობთ. ეს ძალიან უბრალო საკითხია და გთხოვთ, თუ გინდათ, ამასაც ვუყაროთ კენჭი, ამ წინადადებას.

თავმჯდომარე. მე ვგონი, წინადადება თავისთავად მისაღებია.

ა. გაბაშვილი. ბატონო ვახტანგ! მე მინდა დავაფიქსირო ჩვენი შეთანხმება. რამდენადაც მე, თუ სწორად გავიგე, ხვალ წარმოდგენილ კორექტივებთან ერთად კენჭი ეყრება ყველა სადავო საკითხს. ასე თუ ისე მნიშვნელოვანი საკითხები მაქვს, რა თქმა უნდა, მხედველობაში. ასეა ხომ?

თავმჯდომარე. ხვალ კანონს განვიხილავთ და ის კორექტივები, რაც იქნა მიღებული სტრუქტურაში - გათვალისწინებული, ამის შესახებ მოხსენდება სახელმწიფო მეთაურისაგან პარლამენტს. თუ ისეთი პრინციპული მნიშვნელობა მიიღო...

ფ. საყვარელიძე. კენჭისყრაზე დავაყენოთ იქნება ეს საკითხი.

თავმჯდომარე. კეთილი. ბატონო პორის, მე-4 მიკროფონი.

ბ. ლომსაძე. ბატონო თავმჯდომარე, შეიქმნა ვაკის უბნის სისტემა პედაგოგიურ-სამეცნიერო კადრების ატესტაციის და გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს ლიკვიდირებული უნდა იქნას. სათანადო მსხვილ სამეცნიერო დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი საბჭოები და საბჭოების გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო.

თავმჯდომარე. მე-4 მიკროფონი.

ი. ქადაგიშვილი. შეკითხვა არის ბატონ პრემიერთან. ბატონო თენგიზ, შეკითხვის წესით იმიტომ ვსვამთ, რომ შეიძლება ინფორმაცია უფრო არასწორი იყოს, თქვენ გაქვთ... რომ ბატონი ვაჟა ჯინჯიხაძე, ფინანსთა მინისტრი, მიემგზავრება დღეს საფრანგეთში და მისი მგზავრობის მიზანი არის საფრანგეთში ქართული ფულის მოჭრასთან დაკავშირებული საკითხები.



გთხოვთ ამასთან დაკავშირებით თუ რაიმე ინფორმაცია გაქვთ, განგვიმტყობინეთ.

**თ. სიგუა.** მოგახსენებთ. გადაწყვეტილება იყო მიღებული, რომ დღეს კი არა, 11 რიცხვში, ბატონი ვაჟა ჯინჯიხაძე, ფინანსთა მინისტრი, ბატონი ჯონი ბეცურიაძე, იუსტიციის მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უნდა გამგზავრებულიყვნენ პარიზში, რათა საბოლოოდ ხელი მოეწერათ ქართული პასპორტების, პიკადობის მოწმობების და ვალუტის ბეჭდვის დაწყებისათვის, მაგრამ კაბინეტის ფორმირებასთან დაკავშირებით ეს გამგზავრება არ მოხდა. თუმცა დღეს სწორედ მოვიდა წერილი საფრანგეთიდან, სადაც გვსაყვედურობენ, რატომ აგვიანებთო. ყველა მოდელი და მაკეტები მზად არის და აღბათ, თუ მოხერხდა 20-ში, ყოველ შემთხვევაში 25-ამდე აუცილებელი იქნება დელეგაციის იქ გამგზავრება.

**ი. ქადაგიშვილი.** ეს ორი პრობლემა არის იქ გადაბმული. მე რაღაცნაირად მქონდა ურთიერთობა ამ ფულის ბეჭდვასთან დაკავშირებულ კამპანიასთან. იმის გამო, რომ არის სხვადასხვა წინადადებები და კერძოდ, კონკრეტულად, ბევრგან ის ითქვა, რომ საფრანგეთში ფულის ბეჭდვის პრობლემა გაცილებით უფრო წამგებიანი არის საქართველოსათვის, ვიდრე ინგლისელებს ვარიანტი. სხვადასხვა მოსაზრებები არის. ხომ შეიძლება ბატონო თენგიზ, ასე რომ დადგეს საკითხი, რომ პარლამენტმა გარკვეულად თავისი შეხება და თავისი პოზიცია გამოამუშავოს ამასთან დაკავშირებით.

**თ. სიგუა.** ბატონო ირაკლი, ყველაფერი დაგვიანებულია. თუ ახლა პარლამენტი, მაგალითად, საკითხს დასვამს, ჩვენ ვეუბნება 1993 წელს ქართული ფული და ვინც ეს გითხრათ... მოგემართათ კითხვით და მიიღებდით პასუხს, რომ საფრანგეთის ფირმა ერთი და იგივე ხარისხის, ერთი და იგივე დაცვის, ფულის დაცვა მაქვს მხედველობაში ბანკნოტების დაცვის ხარისხის მიხედვით, გვიბეჭდავს ორ და სამ მილიონ დოლარად, ინგლისის ფირმა ორ და შვიდ მილიონ დოლარად, ეს ერთი.

**მეორე.** საფრანგეთის ფინანსთა მინისტრთან არის წინასწარი მოლაპარაკება, რომ მთლიანი ღირებულებათა პასპორტების დაბეჭდვის, ჩვენი ქართული ვალუტის დაბეჭდვის და პირადობის მოწმობების დაბეჭდვის, რაც დაახლოებით ექვსნახევარ-შვიდ მილიონ დოლარს შეადგენს, მთლიანად დაკრედიტებული იქნება საფრანგეთის მხარის მიერ. ჩვენ დღეს თავისუფალი ვალუტა არა გვაქვს. საფრანგეთის მხარე გარანტიას იძლევა, რომ მთელი ოპერაციებს ბეჭდვისა საფრანგეთის ფინანსთა სამინისტრო და საფრანგეთის ბანკი. დააკრედიტებს, სხვა გარანტია არავითარ ფირმას ჩვენთვის არ მიუცია.

ი. ქალაგიშვილი. და თქვენ ბატონო თენგიზ, გქონდათ, ვთქვამთ ინტერვიუს  
ლისთან მოლაპარაკება?

თ. სიგუა. რასაკვირველია. ინგლისის მხარე იყო ჩვენთან. ველაპარაკეთ, ვესაუბრეთ. ეს არის მსოფლიოს ცნობილი ფირმა, მაგრამ აქ ყველაფერი განსაზღვრა ორმა მომენტმა. ერთმა, დაბეჭდვის უფრო სიიარაღი, დაახლოებით 500000 დოლარით და მეორე განსაზღვრა იმან, რომ საფრანგეთის მხარე გვაძლევს კრედიტს თვითონ ამ ოპერაციებზე და პასპორტებზეც, ფულზეც და პირადობის მოწმობაზეც და ფულს ხარისხიც იგივე იქნება. ნიმუშები ვანახეთ ჩვენ იმ ინგლისურ ფირმას და მას პრეტენზია არა აქვს. ერთი რაღაც აღმოჩნდა, რომ ეს ინგლისური ფირმა თავად ქალაქს ყიდულობს საფრანგეთში.

ი. ქალაგიშვილი. ვაჟა ჯინჯიბაძე რომ მიპრძანდება, ის გამგზავრება გადაიდო, არა?

თ. სიგუა. თერთმეტში უნდა გამგზავრებულიყვნენ და კაპიტეტის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით ეს წასვლა გადაიდო.

ი. ქალაგიშვილი. გმადლობთ.

ლ. შაკიაშვილი. ბატონო სპიკერო მე აბსოლუტურად ვიზიარებ, ვუერთდები ბატონი კოტე გაბაშვილის წინადადებას. ჩვენი დეპუტატების უდიდესმა ნაწილმა, თითქმის ყველამ, დღეს გავუწიეთ ანგარიში ჩვენს ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებას, ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის თხოვნას და მიუხედავად დიდი შინაგანი წინააღმდეგობისა, და მე ვიცი, რომ აქ ბევრი ზის ისეთი, რომელიც ამ სტრუქტურებს სრულიად არ ეთანხმება, მაგრამ კენჭისყრაში ჩვენ დადებითი ხმები მივუცით. მე კატეგორიულად გთხოვთ კენჭისყრაზე დააყენოთ გაბაშვილის მიერ წარმოსთქმული წინადადება იმის თაობაზე, რომ ხვალ აუცილებლად მივიღოთ დადგენილება. ბატონმა სახელმწიფოს მეთაურმა ჩვენ გვთხოვთ ორი-სამი თვე. კი, ბატონო, ჩვენ კიდევ ერთ თვეს დავამატებთ და მაქსიმუმ ოთხ თვეში ჩვენ ხელახლა დავუბრუნდებით ამ საკითხს და ეს იქნება დროებითი. ძალიან გთხოვთ კენჭი ვუყაროთ ამ წინადადებას.

თავმჯდომარე. მე-4 მიკროფონი.

გ. კორძაძე. ბატონო თენგიზ, გთხოვთ მაშინ ზუსტი ცნობები მოგვაწოდოთ ქართული ფულის ესკიზისა და სახელწოდების შესახებ და მოგახსენებთ, რომ ლიტვაში ხელახლა დაიბეჭდა ეროვნული ვალუტის ნიშნები და გთხოვთ, თქვათ.

თ. ს. ი. გუბა. თქვენ ხომ არც ერთს არ გინახიათ. მოისმინეთ ჯერ პასუხი, ნუ ნერვიულობთ, დაწყნარდით, დაბრძანდით, მოისმინეთ პასუხი და მერე ინვესტიულები. საქართველოში შექმნილი იყო ძალიან მაღალავტორიტეტული სამეცნიერო კომისია, რომელშიც შედიოდნენ ჩვენი ცნობილი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, ფინანსისტები, ლინგვისტები. მათ ეს მუშაობა დაიწყეს წლის დასაწყისში. დიდი დავისა და ბჭობის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ მომავალ ქართულ ფულს დაერქვას „ლარი“. ეს არის ძველი ქართული სიტყვა „მოლარის“ ფუძე არის სიტყვა „ლარი“. იყო წინადადება, რომ დარჩენილიყო მანეთი, მაგრამ კომისიამ უარყო თითქმის ერთხმად. თქმი გაფორმებულია და კომისიის ყველა წევრი აწერს ამას ხელს, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დაერქვას „ლარი“.

მეორე, ბანკნოტების რომელიც იქნება დაბეჭდილი 5000, შემოდან ვიწყებ, 2500, 1000, 500, 100, 50, 10, გამოსახულებები მთლიანად დაფარული იქნება ქართული ორნამენტით, მაგრამ ძირითადი გამოსახულებებით. 5000-დან ვიწყებ: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ჯაქარია ფალიაშვილი და ნიკალა ფროსმანაშვილი. კომისიამ რეკომენდაციაში ჩაწერა, თუ საჭირო გახდა კვლევ ახალი ღირებულებების ბანკნოტის მოჭრა, რეკომენდაციას აძლევენ ვაჟა ფშაველას. ფული არის ძალიან მაღალი ხარისხის. ექსპერტებმა მაღალი შეფასება მისცეს, დაცვის მაღალი გარანტიით იბეჭდება ძალიან მაღალი ხარისხის ქაღალდზე. თქვენ რაც ბრძანეთ, რომ ლიტვამ და მოლდავეთმა... იმათ არ ექონდათ ჩაფიქრებული, რომ ეს საბოლოო ვალუტა იქნებოდა. ამიტომ, თვითონ ნახატაც არასახარბიელოა და დაცვასაც ძალიან დაბალი ხარისხი აქვს. ჩვენი ფული განსხვავდება მათგან.

თ. ვ. ი. ჯღომაძე. უკაცრავად. შეკითხვა არის შემოსული: ეს ლარი დობრისაგან ხომ არ არის „ღრს“ მოცილებით.

თ. ს. ი. გუბა. არა, ლარი არის ძველი, ქართული სიტყვა, რომლის ფუძეზეა ვთქვათ, სიტყვები: „მოლარე“, „სალარი“ და ასე შემდეგ. ეს სიტყვები ნახმარი აქვს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

თ. ვ. ი. ჯღომაძე. მე-2 და მე-5.

დაბრძანდნენ. მე მინდა დავუბრუნდე ლუიზა შაკიაშვილის მიერ დაყენებულ საკითხს. კენჭი ვუყაროთ ბატონ კოტე გაბაშვილის წინადადებას და შემდეგ მე მინდა გამოვიტანო 3-წუთიანი ინფორმაცია.

თ. ვ. ი. ჯღომაძე. არის წინადადება, არაერთგზის დაყენებული წინადადება, რომ გარკვეულ დროის შემდეგ, 3 თუ 4 თვის შემდეგ, ჩვენს მიერ ნდობით აღჭურვილმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საფუძვლიანი ანგარიში



წარმოდგინოს პარლამენტის წინაშე. ასეთნაირად დავსვით საკითხი როგორ დავსვათ? არაუგვიანეს ოთხი თვისა. /დარბაზიდან/. არა, ამაში არაფერი მიუღებელი არ არის. როგორ გავაკეთოთ სხვანაირი ფორმულირება, ოთხი თვის შემდეგ რას ვაპირებთ. მე-3 მიკროფონი.

**დ. ბერძენიშვილი.** ბატონო ვახტანგ, მთავარი ბატონი კოტეს წინადადებაში ის კი ხტ არის, რომ მაინცდამაინც ანგარიში ჩავვაბაროს მთავრობამ. ჩვენ ნებისმიერ დროს შეგვიძლია მოვთხოვოთ მთავრობას ანგარიში და ის ვალდებულია ჩავვაბაროს. აქ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ის დროებითი სტრუქტურა, რომელიც ჩვენ დღეს მივიღეთ, რომ ეს ნამდვილად დროებითია, ეს დაფიქსირდეს იმ დადგენილებით, რომ 3 თვის შემდეგ ბატონი ირაკლი შენგელაიას კომისიამ, სხვა შესაბამისმა კომისიებმა წარმოადგინონ პროექტი საქართველოს ხელისუფლების სტრუქტურების.

**თ. ვამჯღღმარე.** ე. ი. ფორმულირება ჩამოვაყალიბოთ საბოლოოდ.

**დ. ბერძენიშვილი.** დავთქვათ ვადა როგორც შევთანხმდებით, ვთქვათ, არაუგვიანეს 3 თვისა ან 4 თვისა.

**თ. ვამჯღღმარე.** მესმის, მაგრამ....

**დ. ბერძენიშვილი.** მე-2 სესიის პირველსავე სხდომებზე პარლამენტში წარმოდგენილ იქნეს საქართველოს ხელისუფლების სტრუქტურების პროექტი.

**თ. ვამჯღღმარე.** ბატონი ირაკლი შენგელაიას ვთხოვოთ. სად არის ბატონი ირაკლი? ფორმულირება ბატონო ირაკლი როგორ შეძლება ჩამოვაყალიბოთ?

**ი. შენგელაია.** ალბათ, პარლამენტმა უნდა მიიღოს ცნობად, რომ შემოთავაზებული სტრუქტურა, რომელიც მიღებულია პარლამენტის მიერ, არის დროებითი. დაევალოს შესაბამის საპარლამენტო კომისიას რეფორმების წარმოდგენა საგაზაფხულო სესიის პირველსავე სხდომებზე და არ ვიცი კიდევ რა დამატება იქნება.

**თ. ვამჯღღმარე.** მე-4 მიკროფონი.

**ი. შენგელაია.** მე არ ვიცი რომელი თქვენთაგანი დათანხმდება, რომ დაიკავოს ვიცე-პრემიერის ან სხვა პოსტი, როცა იცის, რომ იქნება ორთვიანი ან სამთვიანი ვადით. ეს უნდა იყოს, ალბათ, ასეთნაირად, რომ მიღებულ იქნეს ცნობად ან დაევალოს ხელისუფლებას, სახელმწიფოს მეთაურს, პრემიერ-მინისტრს, შესაბამის კომისიას ანგარიშთან ერთად 4 თვის შემდეგ თუ 3 თვის შემდეგ წარმოადგინოს საფუძვლიანი მოხსენებები ხელისუფლების მართვის სისტემების სრულყოფისა ან რეფორმისა, ან როგორც

გნებავთ ისე იქნოს, ხოლო დროებით, ამ სიტყვას ნუ ვიხმარებ. დროებითი იყო ერთი მთავრობა უკვე. ახლა თუ კიდევ დროებითია... მაშინ...

ა. ასათიანი. სწორია. დროებითი არ არის, ბატონ ელუარდს ვეთანხმები, მაგრამ მაინც სჯობია ბატონმა ირაკლიმ რაც ბრძანა, ისე გაგრძელდეს, რომ გაზაფხულს სესიის პირველსავე დღეებზე შესაბამისმა კომისიამ სახელმწიფოს მეთაურთან ერთად და მთავრობასთან ერთად წარმოადგინოს კანონი მთავრობის /მინისტრთა კაბინეტის/ შესახებ და სტრუქტურა. კანონპროექტი. დიახ.

ი. შენგელაია. მაგრამ, გავითვალისწინოთ ერთი გარემოებაც. საშემოდგომო სესია მთავრდება დეკემბერში, საგაზაფხულო იწყება თებერვალში და გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ვიდრე პარლამენტის სხდომაზე გამოვა შესაბამისი კანონპროექტი, მას სჭირდება შეთანხმება ფრაქციებთან, მას სჭირდება შეთანხმება დეპუტატთა კორპუსთან და მხოლოდ ამის შემდეგ საგაზაფხულო სესიაზე ეს უნდა იყოს გასათვალისწინებელი.

თაგმაჯლომარი. სტრუქტურისა და კანონის სრულყოფის შესახებ. იქნებ ხვალ მოგაწვდით ამ ფორმულირებას და დავამტკიცოთ ხვალ. კეთილი პრინციპში თუ ასეთი სახით, როგორც ჩამოყალიბდა სიტყვა „დროებითი“ გარეშე, გთხოვთ ხელის აწევით გვიჩვენოთ. გთხოვთ გვიჩვენოთ. არა, ... მოვემზადოთ კენჭისყრისათვის. არ უნდა რეგისტრაცია. რეგისტრირებულია. ვი არის მომხრე? /კენჭისყრა: მომხრეა 154, წინააღმდეგი - 9, თავი შეეკავა ერთმა/.

ახლა, ჩვენ შევთანხმდეთ. სხვადასხვაში ჩაწერილი არიან ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი, აჭარის დეპუტატია, გიორგი პარამიძე, კიდევ არიან მსურველები: ირინა სარიშვილი. თქვენ სხვადასხვა ხომ არ გნებავთ? მე-4 მიკროფონი.

მ. აფხაძე. მე უწინარეს ყოვლისა მინდა მოგილოცოთ ყველას განხილულ საკითხის რგვლივ, სტრუქტურის ირგვლივ გადაწყვეტილების მიღება. ახლა დაინიშნება სამინისტროების ხელმძღვანელები, მაგრამ მე მაწუხებს სხვა რამ და მაფიქრებს სხვა რამ. ის, რომ მაგალითად პურის, ხორცის, კარაქის, შაქრის ყიდვისათვის ყველა იყო დაკავებული. პრემიერ-მინისტრიც, ვიცე-პრემიერებიც, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტიც, კვების მრეწველობის მინისტრიც და სხვა ბევრი კიდევ. ამავე დროს არც ხორცი, არც შაქარი, არც კარაქი, არც პური არ არის, მოგეხსენებათ. აქ ხომ არ გამეორდება იგივე, როდესაც წარმოდგენილი იყო სქემა, მაგალითად, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტი უკვე დეპარტამენტად





იყო წარმოდგენილი ვაჭრობის სამინისტროსთან. ყველაზე მეტად დაზარალებულ მდგომარეობაში იგი იყო, როდესაც ყველაზე მეტად დაზარალებულ მდგომარეობაში იგი იყო, როდესაც ყველაზე მეტად მას უნდა ეხებოდეს შესყიდვა. ამიტომ იყო, რომ მე წინადადებით გამოვედი, რომ იქნებ სჯობდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ყოფილიყო. ძალიან კარგი საქმე გაკეთდა, რომ იგი დამოუკიდებელ კომიტეტად არის წარმოდგენილი. მე კვლავ ვაყენებ საკითხს. შეასრულებს თუ არა ეს კომიტეტი, მიეცემა შესაძლებლობა, რომ ამ კომიტეტმა გააკეთოს ყველაფერი, რაც საჭიროა. თუ ისევ სხვები იღლიან უფრო მეტად ამ პროდუქციის შესაძენად და ისევ არ გვიქნება ეს პროდუქცია, თუ ეს კომიტეტი და მისი ხელმძღვანელობა გააკეთებს.

თავმჯდომარე. გადავიღეთ დღის წესრიგზე და სხვადასხვაში თქვენი ინტერესები გაფართოვდება. მეორე საკითხზე - აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის შესასწავლი კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ, ქალბატონი რუსუდენ ბერძენი მოგვახსენებს, ამის შემდეგ იქნება სხვადასხვა.

რ. ბერძენიძე. ბატონებო, როგორც ქალბატონმა ადა მარშაინამ ბრძანა, და ეს სწორია, ეს კომისია არის არა აფხაზეთის მდგომარეობის შემსწავლელი, არამედ გაგრის მოვლენების შემსწავლელი კომისია. აფხაზეთის შესახებ, ცალკე კომისიის შექმნის შესახებ, სწორედ ქალბატონი ადა მარშაინა ხვალ წარმოგვიდგენს თავის მოსაზრებებს.

რაც შეეხება გაგრის მოვლენების შემსწავლელ კომისიას, დადგენილება ასეთია: საქართველოს პარლამენტი ადგენს: შეიქმნას გაგრის მოვლენების შემსწავლელი პარლამენტის კომისია, პირველი კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ: თავმჯდომარე - რაულ კუპრავა - ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მოადგილეები: ალექსანდრე ჯიქია - ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ადა მარშაინა - რესპუბლიკური პარტია; წევრები: დემურ ბახტაძე - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, მალხაზ ბარამიძე - დემოკრატიული პარტია, ედგუჯა გვაზავა - მწვანეთა პარტია, პანტელეიმონ გიორგაძე - საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია, გიგო გელოვანი - საქართველოს რადიკალურ-მონარქისტული კავშირი, თენგიზ დიხაშინჯია - „ქარტია-91“, როსტომ ლოლიძე - პლეკი „მშვიდობა“, არჩილ იოსელიანი - საქართველოს სოციალური სამართლიანობის პარტია, ნუგზარ კვაჭაძე - სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება, როინ ლიპარტელიანი - სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი,



ღვეან მესხი - საქართველოს სახალხო ფრონტი, რომან მიმინოშვილი - საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინებრს კავშირი, ამირან ხაღა-რია - საქართველოს სახელმწიფოებრივი ეროვნული მთლიანობის პარტია, მამული ვლენტი - კონსერვატიულ-მონარქისტული პარტია, კონსტანტინე სა-ლია - ბლოკი "ერთობა", გერმანე ფაცაცია - ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, ირაკლი წერეთელი - საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ივერი ჭელიძე - დამოუკიდებელ დემუტატთა ჯგუფი.

თავმჯდომარე. მივიღოთ ამ სახით? შეიძლება არა? მე-3.

დ. ბერძენიშვილი. ქალბატონო რუსუდან, თუ შეიძლება ჩვენ მივიღოთ განმარტება, კონკრეტულად რას სწავლობს ეს კომისია.

რ. ბერიძე. გაგრის ტრადიციას. საპარლამენტო გამოძიება გატრაში მომხდარ ტრადიციასთან დაკავშირებით.

დ. ბერძენიშვილი. გასაგებია.

თავმჯდომარე. გმადლობთ. კენჭი ვუყაროთ. მე ვგონი შეიძლება ხელის აწევით, ბატონო ივლიანე. გთხოვთ დაუშვათ. წინააღმდეგი ვინ არის? ერთი. თავი ვინ შეიკავა? ერთმა. მიღებულია საკითხი. მე-3 მიკროფონი.

ა. მარშანი. ქალბატონ ლუიზა შაკიაშვილს უნდოდა ძალიან, თან დავალება აქვს მიღებული ამომრჩეველებისაგან.

თავმჯდომარე. ვუყაროთ კენჭი.

რ. ბერიძე. ბატონებო, ბატონმა კაკო ასათიანმა პრძანა აფხაზეთში... ესარგებლო ტრიზუნასთან ყოფნით და აფხაზეთის საკითხი რომ შევისწავ-ლოთ... გადაწყვეტილების შესახებ გარკვეული პროექტი გმასთან დაკავ-შირებით მომზადებული გვაქვს და იქნებ, თუ გნებავთ დღეს, თუ გნებავთ ხვალ ამაზე ვიმსჯელოთ.

თავმჯდომარე. ქალბატონი ლუიზა დავამატეთ. წინააღმდეგი ხომ არავინ არის? თავი ხომ არ შეიკავა ვინმემ? მე-3, მე-2.

ი. ხაინდრაძე. ბატონო სპიკერო, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უნდა გით-ხრათ, რომ დადგენილების მიღება ასეთი წესით არ შეიძლება და სპიკერის ასეთი მოქმედება ვერავითარი მაგალითია პარლამენტისათვის.

თავმჯდომარე. გმადლობთ. მე-2, მე-5.

ფ. საყვარელიძე. რა თქმა უნდა, არა ვარ არანაირად წინააღმდეგი. პირიქით, მხარს ვუჭერ ამ კომისიის შექმნას, მაგრამ დროზეა საჭირო, რომ გვექონდეს დებულება, იურიდიული კომისიის მისამართით ვამბობ, დროებითი



საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ. ვინაიდან საკამათო საკითხი შეიძლება თუ არა ჩვენ შევექმნათ დროებითი საგამოძიებო კომისია მაშინ, როდესაც პროკურატურას აღძრული აქვს საქმე რომელიმე ფაქტთან დაკავშირებით. საკამათო საკითხია ეს.

თადეაშვილი. კეთილი, ბატონებო, გადავდივართ დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე, რომელსაც ჰქვია „სხვადასხვა“. მე მინდა წინასწარ მაინც შევახსენოთ ერთმანეთს, რომ ეს ძალიან ფაქიზი საკითხია, ზოგჯერ ძალიან მწვავეა საკითხი, მაგრამ სახელმწიფოებრივი დონე არა აქვს საკითხს, განცხადებებსაც და პარლამენტზე უნდა იხილებოდეს განზოგადებული მნიშვნელობის სატკივარი, რომელიც ყველასთვის მნიშვნელოვანია, ყველასთვის მძიმეა. მე ამას საგანგებოდ ვუსვამ ხაზს და თხოვნა არის განცხადებებისათვის „სხვადასხვაში“ რეგლამენტი არ დავარდვიოთ. 3 წუთით შემოვიფარგლოთ. დიდი თხოვნა იქნება, რაც არ უნდა მწვავე განცხადებები იყოს, ერთმანეთს შორის კამათი პოლემიკის საგნად ნუ იქნება. ვისაც დაევალება მისი შესრულება, ალბათ, გაითვალხსწინებს, სამდივნო ჩაინიშნავს, ჩაიწერს; რაც ძალიან აუცილებელია გადაუდებელია, აქვე იქნება პასუხი გაცემული. ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი. შემდეგი გამოვა ბადრი ნაკაშიძე. ყველას ეძლევა 3-3 წუთი.

ჯ. ჩარკვიანი. მე არ ვიცი 3 წუთში ჩავეტევი თუ არა, მაგრამ დამიგროვდა, აგერ ერთი კვირაა დამატეს პარლამენტის სახელზე გამოგზავნილი თხოვნის ბატონები, რა თქმა უნდა, ეს თქვენს სახელზეა, მაგრამ მოხუცეს მე გამეცნო თქვენთვის და მოკლედ რაღაცეებს გეტყვით. პირველი, თბილისის კრწანისის საგზაო მეურნეობის სამმართველოს ბარაკის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება გახლავთ. იქ 18 ოჯახი მცირეწლოვანი ბავშვებით ცხოვრობენ აუტანელ პირობებში. 85 წელს გამოიყო თითქოს მათთვის ფართი, მაგრამ ამ ფართს თითქოს იქამდე არ მიუღწევია. აქ წერენ თითქოს 1989 წელს გაფიცვა მოაწყვეს, რკინიგზა გადაკეტეს, თითქოს 90 წელს უნდა შეეყვანათ მათთვის აშენებულ სახლში, დღემდე მშენებლობაც არ დაწყებულა იქ. ასფალტის სახარში დანადგარია რაღაც ქარხანასადგომი, უჭაერობა, მოკლედ ძალიან ცუდ დღეში არიან. მე მეზმის და წერენ კიდევაც აქ, რომ დღეს ბევრს უჭირს საქართველოში და უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში არიან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს მათი განცხადება განხილვის ღირსი მაინც გახლავთ. მე ამას გადავცემ ბატონ ნიკოლევიშვილს, სამდივნოს გადავცემ და იმათ თვითონ იციან ვხს-ვისცენ.

ახლა, აქ, მეგობრებო, ცნობა არის. ხელს აწერს ქალაქის პროკურორი ბატონი ქურდაძე, აქ წერია მოქალაქეების ებრაელიძის, დუმბაძის, ხუნწარიას, ვარნაძის, ხაღურის, კაციტაძის კოლექტიური განცხადების

შედეგების შესწავლის შესახებ ჩემთან იყო ბატონი ამირან გუბაშვილი. ეს გახლავთ ცნობილი ესტრადის მსახიობი. აქ წერია: საქართველოს მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის კულტურისა და სასახლის ყოფილი მუშაკებმა: ებრაღიმე, ლუმბაძემ, ხუნწარიამ, ვაჩნაძემ, ხაღურმა, კაციაძემ კოლექტიური განცხადებით მიმართეს საქართველოს პროფკავშირების დამოუკიდებელ კონფედერაციას მათი შრომითი უფლებების შელახვის, სამუშაოს და უკანონოდ... შესახებ და შოიბხოვენ აღდგენას. 1990 წელს ესენი გაგდებულები არიან სამსახურიდან და დღემდე ვერ აღიდგინეს თავი. ხოლო ბატონი პროკურორი ბოლოს დასძენს: მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნათა თანახმად დაისვას საკითხი სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე განიხილოს სხდომაზე კულტურისა და ტექნიკის ყოფილი მუშაკების კანონით გათვალისწინებული აღდგენის საკითხი. ეს არ კეთდება, ვეგოპრეპო, ამას ვერ მიაღწიეს ვერაფერს. სად არ იბრძვიან, აქ უამრავი რაღაცა არის. ეს აუცილებელია, რომ ამაზე რეაქცია მოვახდინოთ. აქვე ერთი რამ მინდა გიხატო. ამ საკითხზე დავის გაგრძელება მე არ მინდოდა, მაგრამ არა მაქვს უფლება არ წაგიკითხოთ პარლამენტის სახელზე შემოსული ერთი დოკუმენტიც, რომელსაც აწერია ნაძალადევის რაიონის განათლების განყოფილებას. საქართველოს პარლამენტის 1992 წლის 11 ნოემბერს პარლამენტის სესიის სხდომაზე დებუტატ გიზო კორძაძის მიერ გაკეთდა არასწორი ინფორმაცია, რომ თიბქოს 143-ე საშუალო სკოლიდან 3 მასწავლებელი სამსახურიდან გათავისუფლდა "ზვიადისკობის" მოტივით, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ნაძალადევის რაიონის განათლების განყოფილება გაცნობებთ, რომ 143-ე საშუალო სკოლიდან განათლების საბჭოს 1992 წლის გადაწყვეტილებით თანამდებობიდან განთავისუფლებული იქნა სკოლის დირექტორი გივი ავლოხაშვილი და დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ნაირა დოლიძე სკოლის სასწავლო პროცესის ჩაშლისათვის და არაღამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის.

რაც შეეხება დირექტორის მოადგილეს სასწავლო ნაწილში... წერეთლის თანამდებობიდან გათავისუფლებას, იგი ამ დროისათვის იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე და მისი საკითხი განხილული იქნება სამსახურში გამოცხადების შემდეგ. განათლების საბჭოზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა დირექციის წევრების პოლიტიკურ შეხედულებებზე და ცხადია, ისინი გავლენას ვერ იქონიებდნენ განათლებას საბჭოს გადაწყვეტილებაზე. ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ დებუტატ გიზო კორძაძის მიერ გაკეთებულმა ცრუ ინფორმაციამ არაჯანსაღი ზეგავლენა იქონია პედაგოგიურ კოლექტივზე, რაც სკოლაში ძაბავს სიტუაციას და ხელს უშლის სასწავლო პროცესის ნორმალურ

ჩატარებას. ესეც, რა თქმა უნდა, შესამოწმებელია.

თავმჯდომარე. ბატონო დეპუტატებო, მე მესმის, რომ თქვენ დაიღალეთ, გთხოვთ დაბრძანდეთ ადგილებზე და რეგისტრაციას ჩავატარებთ სხდომის დახურვის წინ. ძალიან გთხოვთ დაბრძანდეთ. ბატონო ჯანსუღს მინდა შევახსენო რეგლამენტი, უნდა დავიცვათ. ახლა აჭარის დეპუტატიდან 3-წუთიანი განცხადება აქვს ნაკაშიძეს. ყველას მოგცემთ განცხადებებისათვის. შემდეგ ბარამიძე გამოდის. ყველას 3-3 წუთიანი.

ბ. ნაკაშიძე. ბატონებო, საქართველოს პარლამენტისათვის და, ბუნებრივია, როგორც მთლიანად საქართველოსათვის დღეს ყველაზე მტკივნეული და პრობლემატური საკითხი არის აფხაზეთში მიმდინარე პროცესები რაც, რა თქმა უნდა მაქსიმალურად უშეცდომოდ და საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი პოლიტიკური საზღვრების ფარგლებში უნდა გადაწყდეს. ამასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 16 ნოემბერს იბერვიზიის საინფორმაციო გამოშვებაში და შემდეგ 17 ნოემბერს საქართველოს რადიოს საინფორმაციო გამოშვებით გადაიცა აშკარად პროვოკაციული ინფორმაცია, უფრო სწორად დეზინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს არის საქართველოს პარლამენტის დეპუტატი. ავადმყოფობის მომიზეზებით არ ესწრება საქართველოს პარლამენტის სხდომებს და ამ დროს იმყოფება მოსკოვში გარკვეული მიზნებით, ამავე ინფორმაციით გადმოიცა, რომ აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის წევრი

ლევან ქლენტი აწარმოებს თითქოს ფარულ მოლაპარაკებებს ვლადისლავ არძინბასთან. ამავე ინფორმაციით გადმოიცა, რომ ბათუმში თითქოს ჩამოფრინდა ჩეჩნეთის მთავრობის დელეგაცია 3 წევრის შემადგენლობით და აწარმოებდა ფარული მოლაპარაკება აჭარის ხელისუფლებასთან. ამავე ინფორმაციით გადმოიცა, რომ თითქოს აჭარის წევრებმა დელეგაციას ეკრძალებათ საგადაღებულო სამხედრო სამსახურის მონააჭარის ფარგლებს გარეთ და ა.შ. და ეს მაშინ, როდესაც აჭარის მოსახლეობა და თვით ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ერთგვაროდნად აფასებს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს, როგორც ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიას. ფაქტიურად, პოლიტიკურად, ეკონომიკურად, მატერიალურად და, თუ ვნებავთ, ზეორაულრადაც უწევს მხარს საქართველოს ჭეშმარიტად ეროვნული ინტერესების გამარტვებას აფხაზეთში. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ აღნიშნული ინფორმაციები თვით იბერვიზიისა და საქართველოს რადიოს ინიციატივითაა, მაგრამ, როგორც ჩანს, მავანი და მავანი საკმაოდ წარმატებით იყენებს ინფორმაციის ამ საშუალებებს აშკარად ყალბი და პროვოკაციული განცხადებებისათვის. და თუ ამ პროვოკაციებს

არაფინ-წამლევა, ეს ჩხუტა და ისევ აჭარაში მცხოვრები ხალხისა და სე-  
ლისუფლებების დამსახურებაა, რაც დასტურდება აჭარაში დღეისათვის შენარ-  
ჩუნებული პოლიტიკური სტაბილურობისა და მშვიდობიან... ამასთან დღეს,  
როდესაც საქართველოში შექმნილია ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური ვითარ-  
ება, ფაქტიურად სახელმწიფო იმყოფება საომარ ვითარებაში, ასეთი ინ-  
ფორმაციის გავრცელება პოლიტიკური დივერსიის ტოლფასია და აქედან გა-  
მომდინარე საქართველოს პარლამენტიც დეფაქტო ჯგუფი გთხოვთ შეიქმნას  
სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი, დროებითი კომისია, შეისწავლოს აღნიშ-  
ნული ფაქტი, რათა მას გაუკეთდეს შესაბამისი რეაგირება. გმადლობთ  
მოსმენისათვის.

თაღმჯღომარე. გიორგი ბარამიძე. შემდეგი გამოვლა ირინა სარიშვილი

გ. ბარამიძე. ჩემი გამოსვლაც აფხაზეთის პრობლემას ეხება. აღბათ,  
უმეტესობას მოგახსენებთ, რომ 17 რიცხვში განთავისუფლებულ იქნა 31  
ქართველი მებრძოლი, რომლებიც ცხვედ იმყოფებოდნენ გულაუთაში და მე მინ  
და აქვე დაგძინებ, რომ ეს საქმე დიდი დამსახურებაა იმ კომიტეტისა, რომ-  
ლის თაობაზე ასეთი დიდი დისკუსია იყო ჩვენთან და პირადად სანდრო კავ-  
სადისა და ამასთან დაკავშირებით მე მინდა ვთქვამ, რომ ის მებრძოლებო,  
რომლებიც განთავისუფლდნენ და აგრეთვე ის ხალხი, რომელიც იბრძვის  
დღეს აფხაზეთში, მათი სურვილი იყო, მთხოვეს, რომ დაჩქარდეს სამხედრო  
ვიღობების დაწესების საკითხი, რადგანაც ყოველი მორალური მხარდაჭერა  
იმ აღამდინებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. მე არ დამზადებია ეს  
აზრი. ეს თვითონ მემორების აზრია და მე ვფიქრობ ეს მნიშვნელოვანია  
და მთხოვეს გადმოვიცა. .... მნიშვნელოვანი საკითხი არის. ჩვენი იქ  
ყოფნის დროს არაერთ პრობლემას წაგაწყდით. აღბათ ეს პრობლემები მოხ-  
სენებული იყო ბატონი ედუარდის და სხვა დეპუტატების გამოსვლებშიც,  
მაგრამ მე მინდა აგრეთვე ხაზი გავუსვა იმ მიხედვით მდგომარეობას, რაც  
არის შექმნილი სოხუმის აეროპორტში. ლაპარაკი არის ამ აეროპორტის მო-  
მარაგების საკითხებიდან დაწყებული და დამთავრებული კონტროლზე. იქ  
აბსოლუტურად უკონტროლოდ ხდება გატვლა მემორებისა იარაღით, აღჭურვი-  
ლობით და კაციშვილი ამას არ აკონტროლებს და სასურველია, რაც შეიძლე-  
ბა სწრაფად დაწესდეს შესაბამისი კონტროლი იმისათვის, რათა აღიკვეთოს  
სოხუმიდან იარაღის გატანა და დეზერტირობა. ეს გარკვეულწილად მნიშვ-  
ნელოვნად, ჩემი აზრით, მოატარებს დისკომპლენის საკითხს იმ ნაწილებ-  
ში, რომლებიც განლაგებულია სოხუმში. შემდეგი საკითხი: 17 ნდემბერს,  
როგორც ზოგმა იცის, გამოცხადებული იყო იბერვიზიით, დაკავებულ იქნენ  
სოხუმის აეროპორტში, მე მინდა ხაზი გავუსვა, სამხედრო პოლიციის თა-  
ნამშრომლები, რომელთაც ვქონდათ მცდელობა გადმოეტანათ თბილისში ნა-



ძარცვი და ეს მეტად მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი ფაქტი არის, რადგან კაპიტანი და ზემდეგი მაგრამ მე მინდა ხაზი გავუსვა, რომ მე მათთვის დარწმუნებული ვარ, რომ ეს საქმე მხოლოდ ამ კაპიტანს და ზემდეგს არ ეხება და მათი ჩადენილი არ არის. და საქმეს ისე ვატყობ, ამ ორი დღის განმავლობაში არის მცდელობა იმისა, რომ სწორედ გადაბრალდეს იმ პირთვინებს, რომლებიც იყვნენ ფაქტიურად ბრმა შემსრულებლები ამ დანაშაულისა, რბილად რომ ვთქვათ. მე მინდა, რომ ეს საკითხი განსაკუთრებული მსჯელობის საკითხი გახდეს ჩვენი პარლამენტისა და ბოლო საკითხი: მე მინდა თქვენი ყურადღება შევატერო იმ ფაქტზე, რომ რეალურად დღესდღეობით მოქმედი სტრუქტურა აფხაზეთში, კერძოდ, ქალაქ სოხუმში, მე რაც დავინახე, ჩემს თვალსაზრისს ვამბობ, ეს არის ბატონი გოგა ხაინდრავა და მისი მეთაურობით ის მცირე სტრუქტურა, რომელიც დღესდღეობით, ასე თუ ისე, აფხაზებს იქ საკითხებს. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ საჭიროა განმტკიცდეს მისი უფლებამოსილებები, რადგანაც ის ადამიანები და პირადად ბატონი გოგაც ჩემი თვალსაზრისით არიან მეტად მოწადინებული, პატისონად და თავგანწირულად ეკიდებიან საქმეს და მათ მხარდაჭერა სჭირდებათ.

თავმჯდომარე. ირინა სარიშვილი.

ი. სარიშვილი. მე ვიყენებ დეპუტატის უფლებას. ტელევიზიამ სამწუხაროდ ყურადღება არ მიაქცია. საქმე ეხება იმ გახმაურებულ ამბავს, აი იმ ცნობილ სამეფულად დაკავშირებით, ჭამაც ისეთი აუიოტაუი გამოიწვია. სატელევიზიო პროგრამაში, საინფორმაციო პროგრამა „მაცნემ“ აი ამ სამეფულის მიერ საჩივრის შეტანის პირველივე დღეს, მაშინ, როდესაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს წაკითხულიც არ ჰქონდა ეს საჩივარი, საკმაოდ, ჩემი აზრით, ჯენდენციურად და ისე გამოჩნდა, რომ თითქოს მე ცუდად მქონდა საქმე და ხვალ თუ არა ზევ ციხეში ამომავლინებდნენ თავს ცილისწამებისათვის. ასეთი აზრი დარჩა ძალიან ბევრს. ამას არა უშავს, უზრუნველს აქვს ალბათ თავისი დამოკიდებულების გამომჟღავნების უფლება, მაგრამ მე ვაოცდები ის ფაქტი, რომ 2 დღის წინ ბატონმა გენერალურმა პროკურორმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ იგი უარს ამბობს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, ვინაიდან ეს არის სასამართლოს საქმეო. საფსებით ვეთანხმები, მხოლოდ გაუგებარია, რატომ იმ დღესვე არ გაკეთდა ეს განცხადება და ტელევიზია რატომღაც მე-2 თუ მე-3 დღეა თავს იკავებს ამ ინფორმაციის გაშვებისაგან. თუ ეხლა არაწაიბრ ვმეც არ გამოვთქვამ, მხოლოდ მიჩნდება ასეთი აზრი, რომ არ არის გამორიცხული, რომ ეს ინფორმაცია რასაც გამოიწვევს მოსახლეობაში. ეს არის უდავოდ იმის მაჩვენებელი მოსახლეობისათვის, სწორად თუ არასწორად, ეს სხვა საქმეა, რომ მტკიცებები არსებობს და ამის გამო სისხლის



სამართლის საქმე შეიძლება აღარ იქნეს აღძრული ჩემს წინააღმდეგ, მუტებს, რომ ის ცნობილი სამეული აღარ აქტიურობს და აღარ აპირებს გამყვებს ბატონი პროკურორის რჩევას და ახლა ხელმეორედ სარჩელი შეიტანოს სასამართლოში. მე გამოვიყენე ჩემი დებუტატის უფლება სამწუხაროდ მე მომიხდა ამ ინფორმაციის გაშუქება ტელევიზიით. გამაღოზთ.

თავმჯდომარე. დებუტატი ნოღაიდელი, შემდეგ დებუტატი მესხი.

ზ. ნოღაიდელი. მწვანეთა პარტია. მე მიხდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ მნიშვნელოვან საკითხს. მე წარმოვაღგენ საქართველოს მწვანეთა ღრაქციას პარლამენტში. საქმის კურსში ბრძანდებით ალბათ, რომ სახიფათო მასშტაბები მიიღო ნავთობსადენი მიღების დაზიანებამ, განსაკუთრებით საჭიფათო მდგომარეობა არის ლანჩხუთისა და ზესტაფონის რაიონებში. მე დღეს ველაპარაკე ლანჩხუთის რაიონის გამგებელს და ნავთობსადენის ასეთი უწყება არსებობს საქნავთობში - ბატონ წერეთელს. მათგან მივიღე ის ინფორმაცია ამდგომარეობაც არის იქ. განსაკუთრებით რთული მდგომარეობა არის შექმნილი ლანჩხუთის რეგიონში - გამოკონიღმა ნავთობმა დაზიანა 100 ჰექტარი მიწა. ნავთობი და ნავთობპროდუქტები მოხვდა მდ. სუფსაში და აგრეთვე პალახსკომის ტბაში და განადგურების პირას არის კოლხეთის ტაობების უნიკალური ეკოსისტემა და ჩვენის აზრით ეს მოითხოვს უსწრაფეს რეაგირებას. ამისათვის ვთხოვთ, რომ შეიქმნას საგამოძიებო კომისია, ღროებითი კომისია, რომელიც განიხილავს ამ ფაქტებს. ჩემთან საუბრისას ბატონმა თამაზ წერეთელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ რამიღენიმე საქმე პროკურატურის მიერ აღძრულია და ზოგიერთი დამნაშავეც დასჯილია, მაგრამ სასჯული არააღეცვატური და მოითხოვს ვამკაცრებას ასეთნაირი დანაშაულებებისათვის და მე ვთხოვთ, რომ მივიღოთ სათანადო გადაწყვეტილება. გამაღოზთ.

თავმჯდომარე. დებუტატი მესხი, შემდეგი გამოვა დებუტატი მამალაძე

უ. მამალაძე. ბატონო დებუტატებო მე მიხდა მოგახსენოთ გარკვეული ფაქტების შესახებ. მე არჩეული ვარ მწვანეთა პარტიის სიით მე-4 ოლქიდან. ეს არის ქვემო ქართლი. იქ არის მეტად რთული ვითარება შექმნილი. მე მიხდა შევეხო ჩვენს სასაზღვრო ზონას სომხეთთან. ეს საზღვარი არ არის დაცული. საერთოდ მოშლილი არის სხვათა სისტემა და არის ფაქტები იმისა, რომ უსაზღვრო რაიღენობით გაედინება სომხეთის მიმართულებით საწვავი, ფქვილი, სხვადასხვა პროდუქტები, ხე-ტყე, მოგეხსენებათ სპეციალური დადგენილებაც კი იყო ამ პროდუქტების შესახებ მიღებული მინისტრთა კაბინეტის მიერ და აკრძალული იყო მათი გატანა. მაგრამ



იქ არის უორდაპირ მათემატიკური სტრუქტურები შექმნილი. არსებული საჯარო ფორმირებები, ეს იქნება კანონიერი ფორმირებები თუ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, უორდაპირ აცილებენ ასეთ ტრანსპორტს, რომლებსაც აღნიშნული პროდუქტები გააქვთ სომხეთის მიმართულებით. ასევე მოგებს სენებათ ბოლნისის რაიონში და ღმანისის რაიონში არის გზები, რომლებიც არ არის ცენტრალური ტრასისა, სოფლებზე გადახს ეს გზები და ამ გზების მეშვეობით ისინი ახერხებენ, რომ საბაჟოს აცილდნენ და გადაიტანონ აღნიშნული პროდუქტები მეზობელ ქვეყანაში. ეს მეტად ძაბავს სიტუაციას, რადგანაც იქ მოსახლეობა არის ტერორის ქვეშ მოქცეული. მოგებსენებათ იქ ძირითადად აზერბაიჯანის მოსახლეობა ცხოვრობს. ისინი არიან აღმფრთვებული, რადგანაც იქ სხვადასხვა შემთხვევებს აქვს ადგილი. მე ვინდა აღვნიშნო ის ფაქტი, - იმდენი რაოდენობით გადის საწვავი მეზობელ ქვეყანაში, რომ ღმანისში, ბოლნისში და სხვა რაიონებში ვერ მოახერხებს საწვავის უქონლობის გამო კარტოფილის ამოღება და ზოგ ადგილებში კარტოფილი დაღუპა კიდევაც. ეს იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნულ ადგილებში ადგილობრივი ხელისუფლება არ ღვას სათანადო ღონეზე. მე ვინდა მივმართო ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ მართლაც მიაქციონ ამ პრობლემას დიდი ყურადღება და დაიცვან იქ მოსახლეობის ინტერესები. მართალია ძნელია ამგვარ სტრუქტურებთან რაღაც ზრძოლის ხერხების მოძებნა, მაგრამ არსებობს სამინისტროები, არსებობს საბაჟო სამსახური, რომელმაც უნდა მიაქციოს ამას ყურადღება. მეტად რთული ვითარებაა შექმნილი ფქვილის გატანასთან დაკავშირებით, ფონდირებული ფქვილიც კი გადის. არის ფაქტების ამის შესახებ და ამ ფაქტების მოგროვება შეიძლება. კარგი იქნება თუ ადგილობრივ დებუტატებთან ერთად შეიქმნება გარკვეული კომისია, სხვა პიროვნებებიც ჩაერთვებიან ამ საქმეში და გამოიძიებენ ამ ფაქტებს. მე ვინდა მივმართო სათანადო უწყებებს, რომ დაცული იყოს მოსახლეობის ინტერესები ამ რეგიონში. გმადლობთ.

დავით ჯღერძაძე. პერძენიშვილი, შემდეგ ჯეირანაშვილი. ძალიანა გთხოვთ დებუტატებს, ღიღი ღრო არ დაგვრჩია დღევანდელი სხდომის დასასრულამდე, ალბათ, 10 წუთში მოვრჩებით და გთხოვთ რეგისტრაციამდე დავიცვალოთ.

დ. პერძენიშვილი. პატონო ვახტანგ მე მხოლოდ რამდენიმე სიტყვით შევებები პატონ პადრი ნაკაშიძის გამოსვლას. ჯერ ვრთი ძალიან ვინდა გთხოვო პარლამენტს, ყველა დებუტატს, რეგიონალური პრინციპით დებუტატის წარმოდგენას ჩვენ მთვეშვით. აქ თითქმის არ არის მეტნაკლებად გავლენიანი პარტია თუ ბლოკი, სადაც, არ იყოს წარმოდგენილი აჭარის



რევიონიდან დეპუტატი. ვთქვით ზურაბ ნოლაიძელი, ეხლა გამოვედგეთ იერარქიული შკალით შევფასებთ, ის ყველაზე დიდი დეპუტატია აჭარის, მდგომარეობა არ ამბობს და არც მას უთქვამს, რომ ის არის დეპუტატი აჭარიდან და არც ჩვენ ვამბობთ. ძალიან გთხოვთ ამას ხაზს ნუ გავუსვამთ და თუ მაინც და მაინც ლაპარაკია, იყოს აბაშიძის დეპუტაცია, აჭარის ხელისუფლების მომხრე დეპუტატი, მიეცეს მას ასეთი კვალიფიკაცია. მე ერთი კითხვბ მინდა დავსვა. მე არ ვიცი რა გადასცა იბერვიზიამ და ამჟამად ის ნაკლებად მაინტერესებს რაშია მტყუანი და რაში მართალი. მე სხვა რამ მაინტერესებს. მინდა ვკითხო იმ ხალხს, ვისი სახელითაც ბატონი ბადრი გამოვიდა, როდის ეღიროება საქართველოს პარლამენტს უცვლელად დამდგარი ბატონი ასლან აბაშიძის სტუმრობა.

თავმჯდომარე. უკაცრავად, დაბრძანდით, მე არ გაძღვეთ სიტყვას. დაბრძანდით. მე გეყვირთ როდეს უნდა უბასუხოთ. ბატონო დავით გუშინ ასეთი კოლექტიური წერილი იყო აჭარის დეპუტაციის სახელით, ყველა ისინი აწერდნენ ხელს და ასე ერქვა.

/წამოძახილი დარბაზიდან/.

მადროვით. დაბრძანდით და მოგცემთ სიტყვას. რა არის ეს! ბატონო თამაზ თქვენც გმართებთ, სპიკერი იღებს ხომ შენიშვნებს, თქვენც მიიღეთ. მოვიდა წერილი, გინდა დეპუტაცია დაარქვით, ეინდა დეპუტატთა ჯგუფი. ჩვენ არაფერი დასამადლი არა გვაქვს. გუშინ მწვავე და ცხარე დღე იყო. დღეს იბერვიზიამ გადასცა, შეარბილა. დღეს ფაქტმა უფრო დარბირებული სახე მიიღო და ჩვენ უნდა ვცვალოთ ყველაფერი, ერთმანეთის ატანა და ყველაფრის გაფრთხილება. იმასაც მოუსმინეთ, თქვენც მოგისმენთ, ყველას მოფუსმენთ, საქმე ერთი ვაკეთოთ და რაღაც შერიგებისაკენ და სიმშვიდისაკენ უნდა წაქმართოთ ყველაფერი. სხვაგვარად არ შეიძლება, თქვენც კარგად იცით. მე არც ერთ მხარეს არ ველოლიავები და ეს ადვილი არ გეგონოთ. თქვენ არ გეგონოთ ეს იაფფასიანი შემრიგებლობა. ამიგომ მე გთხოვთ, რომ საქმეა მძიმე და მწარე, თქვენ ხომ არ იქნებით წინააღმდეგი, რომ მოფუსმინოთ, თქვენ რომ იყოთ, არ მისცემთ სიტყვას თუ რა? მე ბოდიშს ვუხდი ბატონ მურვანიძეს. ჯერ ჯეირანაშვილი, შემდეგ მურვანიძე. მე-5 მიკროფონი.

ნ. ჯეირანაშვილი. ბატონო სპიკერო, ბატონო პრეზიერო, თქვენ მოვმართავთ პირადად. მოგეხსენებათ ლტოლვილები აფხაზეთიდან არიან კახეთში, კერძოდ გურჯაანში 372 ლტოლვილი გახლავთ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაატარა ღონისძიება და შეგროვებულ იქნა 180 000 ფული დახმარებისათვის, რათა გადაცემოდათ ლტოლვილებს. მაგრამ როგორც იქ ადგილობრივმა ბანკის გამგებულმა მითხრა, ეს ფული ცენტრალიზაციის წესით უნდა გადმოირიცხოს თბილისში და შემდგომ უნდა განაწილდეს თანაბ-



რად ყველა ლტოლვილზე. მე შემომბექვს წინადადება - ის ფული, რომელიც გურჯაანში შეიკრიბა, უშუალოდ იქ განაწილდეს ლტოლვილებზე. მაგრამ ეს საფინანსო თუ საბანკო სისტემა რომ არ დაირღვეს, ამიტომ ისინი თავს იკავებენ. თუ შეიძლება ამაზე თქვენ გააკეთეთ რეაგირება.

თ.სიგუა. არსებობს საერთო ცენტრალური ფონდი ლტოლვილების. თუ ამ ფონდში ჩარიცხეს, მაშინ ის საერთოდ განაწილდება ყველა ლტოლვილზე და უკვე გამოტანა ძნელია. ვიდაცამ ეტყობა დაუშვა შეცდომა და ის თანხა ჩარიცხა ლტოლვილების დახმარების ერთიან ფონდში.

ნ.ჯეირანაშვილი. დიახ, ეს თანხა ჩარიცხული არის ლტოლვილთა დახმარების ფონდში. ამიტომ გთხოვთ, რომ ეს თანხა დაუბრუნდეს უკან გურჯაანში მყოფ ლტოლვილებს.

თ.სიგუა. ის თქვენი ბანკი, ალბათ აგრობანკია, უნდა დაუკავშირდეს ცენტრალურ ბანკს და გაარკვიოს ყველაფერი. შეცდომა იყო დაშვებული, ეს თანხა არ უნდა ჩაერიცხათ ამ ფონდში.

ნ.ჯეირანაშვილი. გასაგებია. მოგეხსენებათ რომ ოქტომბრის თვეში, როდესაც რთველი მიმდინარეობდა, მოსახლეობამ შეიტანა ყურძენი სახელმწიფო დამზადებაში. მაგრამ ღღემღე დიდ ნაწილს მოსახლეობისას არ მიუღია ჩაბარებული ყურძენის თანხა. იმის შემდეგ გაძვირდა ცხოვრება, ხელფასები ორმაგი გახდა, და ეს საკითხი აინტერესებს მშრომელებს - მისაღები თანხა თუ გაუორმაგდებათ.

თ.სიგუა. რა ვიცი. მე ვიცი, რომ ნაწილი ასიგნაციების საშუალებით იღებს თანხას, ნაწილს ეხსნებოდა შემნახველ საღაროში წიგნაკი და იქ ირიცხებოდა ეს თანხა.

ნ.ჯეირანაშვილი. და ის ნაწილიც არ მიუღია უმრავლესობას. ფულის ნიშნების უკმარისობის გამო ძალიან დიდ ნაწილს არ მიუღია ის ნაწილიც კი და თუ შეიძლება ამაზეც გააკეთოთ რეაგირება.

თ.სიგუა. /მიკროფონის გარეშე საუბრობს, არ ისმის/.

ნ.ჯეირანაშვილი. მესამეც და დავამთავრებ ამით. მე მგონი გამოგზავნა არა მარტო გურჯაანის, არამედ მთელი იმ რეგიონის მოსახლეობის აზრს. დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პურის სხვადასხვა ხარისხებში. არსებობს 4 ხარისხის პური - უმაღლესი, პირველი, მეორე, მესამე. ყველა პური იყიდება უმაღლეს ხარისხში და ცხადია, რომ ის უმაღლესი ხარისხიც, არ არის. ამიტომ მოსახლეობა მოითხოვს, რომ პური იყოს ერთი ხარისხის ან ორი. გარდა ამისა ნუ იქნება 850 გრ. 750 გრ. და ა.შ. იყოს

თავმჯდომარე. დაბრძანდით. გთხოვთ.

ზ. ვიურვანიძე. მე მირჩევნია დაველოდო.

თავმჯდომარე. ბრძანეთ.

ზ. ვიურვანიძე. გმაღლობთ. საქმე ეხება იმას, რომ ამ გაჭირვების

უამს მოქალაქეებს, ქალაქშიც და რაიონებშიც არა აქვთ საშუალება იარონ ფეხით შუალამისას. ჩვენ გადავიტანეთ ერთი საათი. თუ არის იმის საშუალება რომ გადავიტანოთ პირიქით გათენებისაკენ 2 საათით, მაშინ ხალხს ექნება საშუალება ფეხით მისვლა სახლში მოასწრონ დღე მაინც. ეს პირველი და ამასთან დაკავშირებით: თუ არის დათვლილი რამდენი მოიგო საქართველო იმითი რომ 1 საათით ადრე დაავიანა და უფრო ჩქარა დავაღამეთ. ჩემი გამოთვლებით ჩვენ უფრო მეტი წავაგებთ ენერგეტიკული თვალსაზრისით, ვიდრე მოვიგებთ. იქნებ სხვა მოსაზრებაც არსებობს? დილას ხალხი იღვიძებს და არიან სახლში, შუქი არ სწირდებათ, მოდიან სამსახურში. დამე მიდიან, არის 5 საათი და უკვე სანთელი არის ანთებული. იქ სადაც სინათლე არ არის. სხვა ადგილას არის სინათლე ანთებული. მე ვგონია უფრო მეტს ვხარჯავთ. თუ შესაძლებელი არის პარლამენტმა ეს საკითხი განიხილოს და პირველი სოციალური დახმარება გაუწიონ ხალხს. გმაღლობთ.

თავმჯდომარე. ვადაეცეს სათანადო კომისიას. ბატონო დეპუტატებო კიდევ ერთხელ დიდ პოლიშს გიხდით, კიდევ ერთხელ, დაიდალეთ, დაიქანცეთ, ხვალ ვეშაობას განვაახლებთ ჩვენ 12 საათზე. გმაღლობთ.

პ. კოლუაზვილის სიტყვა, რომლითაც არ გამოსულა სსდომაზე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა  
კაბინეტის სტრუქტურის შესახებ

1. სპეციალისტების გაანგარიშებით ბოლო 70 წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის სტრუქტურა საქართველოში 30-ჯერ შეიცვალა. /აშშ-ი სოფლის მეურნეობის სამინისტრო უცვლელად ფუნქციონირებს 1889 წლიდან/.

ჩემი აზრით უნდა გადავიდეთ განვითარებული ქვეყნების სისტემაზე, სადაც აგრარული სექტორის განვითარებაზე პასუხს აგებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომლის სპეციალისტები ცენტრში და ადგილებზე ხელს უწყობენ და აკოორდინირებენ მეცნიერებისა და განათლების განვითარებას, კონკრეტულ დახმარებას უწევენ ფერმერულ მეურნეობებს, ფერმერთა ასოციაციებს თუ კოოპერატივებს ახალი პროდუქტიული ჯიშების, ტექნოლოგიების დანერგვაში ასტიმულირებენ ყველაზე უფრო პერსპექტიული სახის პროდუქციის წარმოებას, ეკოლოგიურად უვნებელი, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვას, სუბსიდირებას და ა.შ.

ახლანდელ ეტაპზე სამინისტროს წინაშე დგას უმთავრესი ამოცანა - აგრარული რეფორმისა. ვიმაჩნია, რომ აგროსამრეწველო ინტეგრაციის უგულვებელყოფამ ბოლო ორ-ორნახევარ წელიწადში თითქმის მოშალა დარგთაშორისი კავშირები, მეტად უარყოფითად იმოქმედა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე. ვფიქრობ ასე დატოვება კიდევ უფრო მეტ ზიანს მოგვტანს. ამივომ კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დღევანდელი სამინისტრო შეიძლება დარჩეს მხოლოდ, როგორც დეპარტამენტი სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

2. მსოფლიოს ყველა მაღალგანვითარებულ ქვეყანას გააჩნია მიწის კადასტრის ავტომატიზებული სისტემები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სტრატეგიული პრობლემების გადაჭრაში. მიწათსარგებლობის მართვის მექანიზმზე თანამედროვე წარმოდგენა გულისხმობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ინტერესების გათვალისწინებას ბუნების დაცვის, ეკოლოგიური ბალანსის, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის საკითხებზე აქცენტის აუცილებელი გადატანით. მსხვილმასშტაბიანი კადასტრულ-აგროეკოლოგიური კვლევა-ძიების გარეშე შეუძლებელია მიწების რაციონალური გამოყენება და დაცვის უზრუნველყოფა. ეს მოკლე დასაბუთებაც საკმარისია იმისათვის, რომ ფუნქციონირებდეს მიწის რესურსების და კადასტრის /აშშ ფუნქციონირებს



ფედერალური მიწების დეპარტამენტი, ხოლო შემოთავაზებული სახელწოდებითს... და ა.შ./ . როგორც არის ისე უნდა დარჩეს სატყეო კომიტეტი, რომელსაც აღბათ დასაბუთება აღარ სჭირდება ჩვენი ტყეების ყოვლისმომცველი მნიშვნელობის გამო.

3. ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია დავტოვოთ საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტი, თუნდაც სასურსათო დანიშნულების პროდუქციის იმპორტის მოუწესრიგებლობის გამო.

ՏՅ ԼՆՈՒՄԻ ՔՅՄԱՆՔՆԵՐ	
В этом деле вступило	№ 0000 11208
магистрант	( 84 )
г. 1903	18 " 8 1903 г.